# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი | 29 დეკემბერი — 4 იანვარი №269 (3493) | ფასი 1 ლარი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექტორ რაულ კუპერი საქართველოს შეცდომაა!



## ფეხბურთით დაავადებულთა დაავადებული ფეხბურთი



## რად გინდათ არგენტინელი, როცა გყავთ ქართველი?!

## ფრანგებმა გორგოძეს პირველობა ჩამოართვეს



ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ლიდერთან იხილეთ მე-14 გვერდზე



# IRBომბი!

## შვიდკაცა რაგბის მსოფლიო თასის ეტაპს თბილისი აღარ უმასპინძლებს

# რატომ?

სარბიელელები გილოცავთ ახალ, 2009 წელს!
მშვიდობას და ბედნიერებას გისურვებთ!

# ექტორ რაულ კუპერი საქართველოს შეცდომაა!

## მსოფლიო ფეხბურთს ახალი შიდსი ემუქრება

**მაია ჯიჯავა,** რომი — თბილისი

**პოპულარული იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტის" რომის რედაქციის ხელმძღვანელ რუჯერო პალომბოსთან ამ ექსკლუზიური ინტერვიუს პირველი ნახევარი წინა „სარბიელში" შემოგთავაზეთ. ახლა კი ინტერვიუს მეორე ნაწილს ვბეჭდავთ და ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის უფრო საინტერესო ამბებს აქ უფრო ამოიკითხავთ. კალჩოპოლი, საგაზეთო ბიზნესი, იტალიური ფეხბურთი, სპორტი და რეკლამა, საშიში დაავადების საფრთხეები, ქართული რეალობა... რუჯერო პალომბო ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება...**



**— დამნაშავე პრეზიდენტები და კლუბები, რომლებიც ხელმძღვანელების გამო ისჯებიან: „იუვე", „პერუჯა", „ფიორენტინა"... ალბათ ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად დაისაჯა და ფლორენციული კლუბის პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის დანაშაულიც ყველაზე ბუნდოვანია იტალიურ ფეხბურთში...**

— ასეა. ჩეკი გორი მოჯისგან და გაუჩისგან რადიკალურად განსხვავებული პიროვნებაა. მას პირფერობა არ სჩვევია, ალბათ ამიტომაც მოუხდა ციხეში ორჯერ ჩაჯდომა.

**— რას გულისხმობთ? ჩეკი გორის დანაშაული უფრო აშკარა იყო?**

— არა, პირიქით. ალბათ გაუჩისა და მოჯის ფონზე შეეძლოთ, ჩეკი გორი საერთოდ უდანაშაულოდ ეცნოთ. დავიწყებ იმით, რომ ვიტორიო ინტელიგენტური ოჯახის წევრია. მისი მთავარი საქმიანობა ფილმების პროდიუსერობა იყო, სადაც მან მართლა დიდი წარმატება მოუტანა ჩვენს ქვეყანას. მისი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფილმი: „ფოსტალიონი", „ცხოვრება მშვენიერია" და „ხმელთაშუა ზღვა" ოსკარის მფლობელები არიან. ფეხბურთში ჩეკი გორი ფლორენციის უსაზღვრო სიყვარულმა მოიყვანა. რა თქმა უნდა, მან შეცდომები დაუშვა, თუმცა ეს უნებური, საქმეში გამოუცდელობის და სხვისი ნდობის გამო გამოწვეული შეცდომები უფრო იყო, ვიდრე წინასწარ დაგეგმილი აფიორა. მისი დანაშაული კლუბის არასწორი ფინანსური მართვა იყო და არაფერი ჰქონდა საერთო სპორტული სახის დანაშაულთან. ამიტომაც მიმაჩნია, რომ „იუვესა" და „ფიორენტინას" შემთხვევები სრულიად განსხვავებულია.

**— იტალიაში თითქმის ყველა დიდი კლუბის პრეზიდენტი პირდაპირ თუ ირიბად პოლიტიკაშია ჩართული. რეალურად, ეს მათთვის, როგორც პოლიტიკური ფიგურისთვის, ზარალის მომტანი ხომ არ არის?**

— ასე იქნებოდა, იტალიის ნაცვლად სხვა ქვეყანაზე რომ ყოფილიყო საუბარი, მაგრამ რადგან აპენინებზე ფეხბურთი ნაციონალური დაავადებაა, აქ ამ სფეროს უფრო მეტი პოპულარობა და ძალაუფლება მოაქვს როგორც პოლიტიკოსებისთვის, ასევე ბიზნესმენებისთვის. აი, მაგალითად, სილვიო ბერლუსკონი უფრო „მილანის" პრეზიდენტობით გახდა ცნობილი, ვიდრე ქვეყნის პრემიერ-მინისტრობით. „ინტერის" პრეზიდენტი თავად არ არის პოლიტიკაში ჩართული, თუმცა უდიდესი ნავთობმაგნატია და ძმა პოლიტიკოსი ჰყავს. ანიელების ოჯახი, „იუვენტუსი" და „ფიატი", რომელი ერთი ჩამოვთვალო... ბიზნესი და პოლიტიკა — ეს არის ორი სფერო, რომელიც იტალიაში ხშირად კვეთს ერთმანეთს, თუმცა ჩვენი პრემიერის შემთხვევაში ეს ორი სფერო ერთ მთლიანობად იქცა და დიდ გაურკვევლობასაც ქმნის...

შემთხვევითი არ არის, იტალიაში გრანდებად ყოველთვის „მილანი", „ინტერი" და „იუვე" რომ ითვლებიან. ამ კლუბებს ყველაზე მეტი ფული აქვთ და შესაბამისად, შედეგიც ყველაზე დიდი აქვთ.

**— არის შემთხვევები, როდესაც ფეხბურთი და ბიზნესმენობა ერთად არ ამართლებს. მაგალითად, „რომას" აწ გარდაცვლილ პრეზიდენტ ფრანკო სენსის ისტორია...**

— გეთანხმებით. ფრანკო სენსი რომის ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო და ფეხბურთმა გააკოტრა. ის მთელ თავის თანხას „რომაში" დებდა, მოგება კი არც ისე დიდი ჰქონდა. საკუთარი თანამშრომლებიც ხშირად ატყუებდნენ... ერთი სიტყვით, სხვადასხვა პრობლემის გამო „რომაც" და სენსის ოჯახიც ხშირად დაზარალდა, თუმცა ფრანკოს იმდენად უყვარდა ფეხბურთი, რომ არასდროს უფიქრია გუნდის გაყიდვაზე.

**— მოდით, სილვიო ბერლუსკონიზე ვისაუბროთ, როგორც „მილანის" მეპატრონეზე და არა როგორც იტალიის პირველ პირზე...**

— სილვიო ბერლუსკონი იტალიის ნაკრების და „მილანის" უდიდესი ტიფოზია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ის ფეხბურთის გიჟია. პოლიტიკოსობამდე გაცილებით ადრე „მილანი" მისი ნომერ პირველი მიზანი იყო. მან დაისახა ამ გუნდის ხელში ჩაგდება და შეძლო კიდეც. ბერლუსკონიმ პრაქტიკულად გაკოტრებული, მიწასთან გასწორებული კლუბი ჩაიბარა და მისგან რაც დააყენა, ყველა ვხედავთ. რა თქმა უნდა, თავიდან სილვიოც ბევრ შეცდომას უშვებდა, მაგრამ რომ იტყვიან, შეცდომებზე სწავლობენო და ასეც მოხდა. როგორც საფეხბურთო ხელმძღვანელი, ბერლუსკონი საუკეთესოთა შორის საუკეთესოა.

მას ძალიან ძლიერი ინტუიცია აქვს. აი, მაგალითად, „მილანი" იტალიის თასიდან არიგო საკის „პარმამ" გააგდო, მაშინ ის ჯერ კიდევ უცნობი მწვრთნელი იყო. სილვიომ უმალ დაინახა საკის შესაძლებლობები, ძალიან მოეწონა და თავისთან მუშაობა შესთავაზა. საკის და „მილანის" გრანდიოზული ისტორია კი ყველასთვის ცნობილია. იგივე მოხდა ფაბიო კაპელოს შემთხვევაშიც, რომელიც ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, სილვიოს ტელევიზიის, „მედიასეტის" მენეჯერად მუშაობდა, ანუ აღარაფერი აკავშირებდა ფეხბურთთან. სწორედ ბერლუსკონიმ დაარწმუნა ის, ფეხბურთში მწვრთნელად დაბრუნებულიყო. საბოლოოდ კი, კაპელო დადგა მწვრთნელი, რომელმაც ოთხჯერ მოიგო სკუდეტო „მილანთან", ერთხელ „რომასთან", მადრიდის „რეალთან"... ახლა ინგლისის ნაკრების თავკაცია და უკვე გააუმჯობესა მათი თამაში. ეს არ იქნებოდა, რომ არა ბერლუსკონის ინტუიცია.

**— ადრიანო გალიანიზე რას იტყვით?**

— გალიანი ბერლუსკონის სხვა გრანდიოზული აღმოჩენაა. ისინი ჯერ კიდევ იმ დროიდან მეგობრობდნენ, როდესაც არც ერთი არაფერს წარმოადგენდა. რაც უფრო ერთვებოდა პოლიტიკაში სილვიო, მით უფრო საჭირო ხდებოდა „მილანის" ერთგული კაცისთვის ჩაბარება. „მილანის" დარი დიდი კლუბი ყოველდღიურ კონტროლს საჭიროებს და ასეთი ადამიანი, რაღა თქმა უნდა, მისი ერთგული გალიანი აღმოჩნდა, რომელსაც ბერლუსკონიმ ბევრი რამ ასწავლა და მანაც გაამართლა. ახლა კი ადრიანო გალიანი თავად არის იტალიური ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც რეალურად მართავს „მილანს".

**— რადგან „მილანზე" ვსაუბრობთ, მინდა, თქვენი აზრი გავიგო დევიდ ბექჰემის შეძენაზე. რამდენად სჭირდება ის გუნდს?**

— სამწუხაროდ, ფეხბურთი აღარ არის მარტო სპორტი და მინდორზე ბურთის გორება, ის დიდი ბიზნესია. „მილანის" ხელმძღვანელობა კი ასეთი საქმეების ექსპერტია. დევიდ ბექჰემი, ისევე, როგორც თავის დროზე რონალდო, ფეხბურთის თამაშზე მეტად უფრო სარეკლამო მიზნით შეიძინეს. ორივე დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში და მაღალი დონის ვარსკვლავები არიან. ეს კი მათი ავტოგრაფებიანი დიდი რაოდენობით მაისურების, ბურთების და სურათების რეალიზებას ნიშნავს. თუ ერთ დროს სატელევიზიო რეკლამებში მსახიობებს ვხედავდით, ახლა მათ ადგილს სულ უფრო ხშირად იკავებენ ფეხბურთელები. ისეთი მდიდარი კლუბისთვის კი, როგორიც „მილანია", მილიონების გადახდა მსგავს ფეხბურთელებში არაფერს ნიშნავს. მით უმეტეს, რომ შემდეგ მათი დახმარებით კიდევ უფრო მეტი ფული შემოდის.

**— რონალდინიოც სარეკლამო მიზნით შეიძინეს?**

— ბევრი ასეც ფიქრობდა, რადგან ბოლო დროს „ბარსელონაში" თავისებური ხასიათის გამო ცოტათი მოშვებული იყო, თუმცა მას ასაკი უწყობს ხელს და რეკლამის გარდა მინდორზეც პოულობს თავის თავს. ანუ იმის თქმა მინდა, რომ „მილანის" ხელმძღვანელობა ნამდვილად გენიალურ ნაბიჯებს დგამს — ისინი ხშირად ყიდულობენ კრიზისში მყოფ ვარსკვლავებს, რომელთაგან გარანტირებული აქვთ რეკლამა და შემოსავლები, თუმცა ასევე ზრუნავენ თამაშში მათ დაბრუნებაზე. რონალდინიომ ორივე შემთხვევაში გაამართლა, რონალდომ — მხოლოდ რეკლამაში. ბექჰემს მომავალი გვიჩვენებს. ფაქტი კი ერთია, „მილანი" წაგებული არ რჩება.

**— „მილანი" კრიზისში მყოფი ვარსკვლავების გარდა, არჩევანს ახალგაზრდებზეც აკეთებს...**

— ამის ნათელი მაგალითია კაკა, რომელიც ღიღებული შენაძენი და აღმოჩენაა. მსგავსი ოპერაციის გამეორება სცადეს პატოს შემთხვევაშიც. მან ჯერჯერობით ვერ გაამართლა, თუმცა ჯერ 20 წლისაც არ არის და ყველაფერი წინ აქვს.

**— ინოვაციების მიუხედავად, „მილანი" მაინც ტრადიციების მიმდევარი გუნდია. მას ყოველთვის**



კახა კალაძე და ლევან მჭედლიძე



სტეფანო ბორგონოვო უმძიმეს დღეშია



სილვიო ბერლუსკონი

ჰყავდა ფეხბურთელები, რომლებმაც მთელი ცხოვრება ამ კლუბს მიუძღვნეს: ფრანკო ბარეზი, ბილი კოსტაკურტა, პაოლო მალდინი, რომელიც დღემდე თამაშობს...

— სწორედ ეს არის „მილანის" წარმატების საიდუმლო. ის ერთდროულად ახლის მაძიებელი და ტრადიციების მიმდევარია. ფეხბურთელი რომ მთელ კარიერას ერთ გუნდში გაატარებს და შემდეგაც ამ კლუბში სხვადასხვა თანამდებობაზე რჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ თავს კარგად გრძნობს. ფეხბურთელებისთვის „მილანი" უბრალოდ გუნდი და სამუშაო კი არა, მათი ოჯახია. ამიტომაც უჭირს ყველას იქიდან წასვლა...

მალდინების ოჯახი კი ცალკე ისტორიაა. მათი კარიერა „მილანთან" არის გადაჯაჭვული და ვიმედოვნებ, მომავალშიც ასე იქნება პაოლოს ბიჭის, კრისტიანოს სახით, რომელიც უკვე „მილანის" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს და საკმაოდ კარგადაც.

**— არ შემიძლია, არ შევეხო „რომას". ახლა ამ გუნდის ყველაზე დიდი მისწრაფება ჩემპიონთა ლიგაა, რადგან ფინალი რომში, „ოლიმპიკოზე" უნდა გაიმართოს. აქვს „რომას" წარმატების შანსი?**

— „რომას" კრიზისი ფრანჩესკო ტოტის ტრავმასთან იყო დაკავშირებული. რა თქმა უნდა, მათ ჰყავთ ბევრი კარგი ფეხბურთელი, თუნდაც იგივე დე როსი, მექსეში, აკვილანი, ვუჩინიჩი... მაგრამ „როსოჯალი" მაინც ტოტიზეა დამოკიდებული. ამას დაერთო კლუბის პრეზიდენტის, ფრანკო სენსის გარდაცვალებაც. სენსი ძალიან ახლოს იყო ფეხბურთელებთან და ტიფოზებთანაც, ყველას გაუძნელდა მის გარდაცვალებასთან შეგუება. ამით იმის თქმა მინდა, რომ როგორც მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი ამბობს, მათ უფრო ფსიქოლოგიური კრიზისი აქვთ. „რომასთვის" ამ სეზონში სკუდეტო უკვე დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს, სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ თავიანთ ენერგიას ჩემპიონთა ლიგას მოახმარენ. ფინალის „ოლიმპიკოზე" გამართვა მათთვის დამატებითი სტიმულია და დარწმუნებული ვარ, მაქსიმუმს გააკეთებენ. შესაძლებელია, მონდომებით და მუშაობით გაიმარჯვონ კიდეც.

**— იტალიურ ფეხბურთს ახალი საფრთხე დაემუქრა, ამჯერად ამის მიზეზი უცნობი და ამ ეტაპზე განუკურნებადი დაავადება, SLA-დ წოდებული „სკლეროზი ლატერალე ამიოტროფიკაა". ეს არის დაავადება, რომელიც 40 წელს გადაცილებულ ყოფილ ფეხბურთელებს ემართებათ. ოფიციალური მონაცემებით, ორმოცდაათზე მეტი ყოფილი ფეხბურთელია ავად, ამდენივე უკვე გარდაიცვალა. არაოფიციალური მონაცემებით კი, მსხვერპლი გაცილებით დიდია. ცნობილი ფეხბურთელებიდან საზოგადოებისთვის იტალიის ნაკრებისა და „ფიორენტინას" თავდამსხმელ სტეფანო ბორგონოვოს შემთხვევაა ცნობილი. რამდენად დიდია საფრთხე და არის თუ არა ეს დაავადება ფეხბურთთან კავშირში?**

— საფრთხე არსებობს და ეს ძალიან სერიოზული საკითხია. ის ფაქტი, რომ SLA არ გამოვლენილა



ექტორ რაულ კუპერი



თემურ ქეცბაია

სპორტის არცერთ სხვა სახეობაში, გვაფიქრებინებს, რომ ეს დაავადება აუცილებლად უკავშირდება ფეხბურთს. მართალია, ბევრი ცდილობს, ამ კავშირზე არ ისაუბროს, მაგრამ ამისთვის თავის არიდება შეუძლებელია. რეალობა ისაა, რომ არსებობს დიდი საფრთხე, რაც საჭიროებს გამოკვლევებს. პირველი — რატომ ავადდებიან ფეხბურთელები, რა იწვევს დაავადებას და მეორე — როგორ და რა გზით შეიძლება მკურნალობა.

რაც შეეხება სტეფანოს, მე დავეთანხმები რობერტო ბაჯოს და ვიტყვი, რომ ის არის ჩვენი დროის გმირი, რადგან ბორგონოვომ თავისი სატკივარი საზოგადოებამდე მოიტანა. ამით კი დაგვანახა, რომ უნდა ვიბრძოლოთ და, რაც მთავარია, ინვესტიციები ჩავდოთ ამ დაავადების გამოსაკვლევად. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ფეხბურთი მართლა იწვევს ამ საშინელ დაავადებას. ეს ხომ უდიდეს ზარალს მოუტანს მსოფლიოს ნომერ პირველ სპორტს.

**— ბორგონოვოს მეუღლემ პრესასთან განაცხადა, რომ სტეფანოს აზრით, ეს დაავადება არ უკავშირდება ფეხბურთს...**

— მე მესმის სტეფანოსი, მას არანორმალურად უყვარს ფეხბურთი და მისთვის ძალიან მტკივნეულია დაიჯეროს, რომ ასეთ დღეში მისმა საყვარელმა საქმემ ჩააგდო. თუმცა ფაქტები თავისას ამბობენ. არ შეიძლება, სტატისტიკა იტყუებოდეს. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ SLA ფეხბურთთან არის კავშირში.

**— ფეხბურთელებში SLA-თი დაავადების გამომწვევი მიზეზების სხვადასხვა ვარაუდი არსებობს...**

— ამ ეტაპზე ექიმები სამ ვერსიაზე მუშაობენ. პირველი: ტრავმების შემთხვევაში სხვადასხვა წამლების ან დოპინგის გამოყენება. პირადად მიმაჩნია, რომ ეს უფრო წამლებს უკავშირდება, ვიდრე დოპინგს, რადგან დოპინგს სპორტის სხვა სახეობებშიც ხმარობენ. მეორე: ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ტრავმების სიმრავლე ან თავური დარტყმებით გამოწვეული ტვინის ტრავმები.

მესამე: მინდვრის საფარის მოსავლელად ტოქსიკური ნივთიერებების შემცველი ხსნარების გამოყენება.

ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში ექიმები გოლფის მოედნის საფარით დაინტერესდნენ, რადგან როგორც ცნობილია, ფეხბურთის მოედანზე მეტად ამ ტოქსიკურ ნივთიერებებს გოლფის მოედანზე იყენებენ.

**— თუმცა გოლფში არ გამოვლენილა SLA-ს შემთხვევები...**

— ასე დარწმუნებულნი ვერ ვიქნებით. კვლევები ახლა დაიწყო და ადვილი შესაძლებელია, კავშირი აქაც გამოჩნდეს.

**— SLA-ს საფრთხე მარტო იტალიელ და იტალიაში მოთამაშე ფეხბურთელებს ემუქრებათ თუ სხვა ქვეყნებშიც მსგავსი სიტუაციაა?**

— დარწმუნებული ვარ, სხვა ქვეყნებში მეტ-ნაკლებად ანალოგიური სიტუაციაა. როგორც ვიცი, ინგლისშიც გარდაიცვალა ფეხბურთელი ამ დაავადებით. უბრალოდ, იტალიელებს ყველა საკითხზე ხმამაღლა და ბევრი საუბარი გვჩვევია. დანარჩენი ქვეყნები კი ალბათ ამ შემთხვევებს ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ. რამდენიმე წელიწადში ამ დაავადებაზე უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება. ცუდი შედარებაა, მაგრამ ცოტათი შიდსს ჰგავს, რომლის არსებობის თაობაზე თავიდან არავინ იცოდა და საუბარსაც გაურბოდნენ. დაახლოებით ასე ხდება ახლა SLA-ს შემთხვევაშიც.

**— როგორც ქართული პრესის წარმომადგენელმა, მინდა, ქართულ ფეხბურთზეც გესაუბროთ. თუ იცნობთ ქართულ ფეხბურთს?**

— მეტ-ნაკლებად ვერკვევი თქვენს ფეხბურთში. ვიცი, რომ იტალიელებივით ძალიან გიყვართ სპორტის ეს სახეობა, თუმცა ამ ეტაპზე სერიოზულ წარმატებებს ვერ აღწევთ. ამის მიზეზი კი, პირველ რიგში, საქართველოს ჩემპიონატის სისუსტეა. მართალია, გყავთ ფეხბურთელები, რომლებიც ევროპის კარგ გუნდებში თამაშობენ, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ სერიოზული მიზნების მისაღწევად ქვეყნის შიდა ჩემპიონატისთვის მეტი ყურადღება და ინვესტიციაა საჭირო.

ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ იტალიის წამყვან გუნდებზე, მენეჯმენტსა და პოლიტიკაზე, რაც ნათელი მაგალითია იმისა, რომ დღეს ფეხბურთში მარტო ბურთის გორებით წარმატებას ვერ მიაღწევ. აქ დიდი ფული, რეკლამა და სტიმულია საჭირო. ასე რომ, საქართველოს ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის დიდი ფული და ძალისხმევა უმნიშვნელოვანესია. ყველამ ერთად უნდა იმუშაოთ ამ საკითხზე, მთავრობამ, ფედერაციამ, ტელევიზიამ, ჟურნალ-გაზეთებმა, ინტერნეტმა და ქომაგებმა.

**— რა შეგიძლიათ გვითხრათ იტალიაში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებზე?**

— ორივე ძალიან მომწონს. კახა კალაძე უკვე „მილანის" დიდი ოჯახის ნაწილად იქცა და მაღალი დონის ფეხბურთელია. ლევან მჭედლიძე კი ჯერ ახალგაზრდაა და მთავარია, სწორად გამოიყენოს თავისი პოტენციალი და ბევრი იმუშაოს...

საერთოდ, მინდა აღვნიშნო რომ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დასავლეთ ევროპისთვის ახალგაზრდა ტალანტების მოწოდებაში. საქართველო, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი... რომელი ერთი ვთქვა. ამ ქვეყნებმა არა ერთი დიდებული აღმოჩენა აჩუქეს მსოფლიოს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, ასევე ამ ქვეყნებში ფეხბურთის კიდევ უფრო მეტად განვითარებისთვის.

**— საქართველოს ნაკრების თავკაცი იტალიელებისთვის კარგად ნაცნობი ექტორ რაულ კუპერია. რას იტყოდით მასზე?**

— თუ საქართველოს და საერთოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დანარჩენი ევროპისთვის ახალი ტალანტების მოწოდებას დადებითად ვუფასებ, განსხვავებულად ვუყურებ ამ ქვეყნების არჩევანს მწვრთნელების თაობაზე. კუპერის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ის მართლაც კარგი და გამოცდილი თავკაცია, თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ თქვენი არჩევანი მცდარია. ალბათ უფრო მეტად უნდა ენდოთ საკუთარ მწვრთნელებს. ამის დასტურია, ისიც რომ აქამდე საქართველოს ნაკრებში ვერც ფრანგმა და ვერც გერმანელმა თავკაცმა ვერ გაამართლა მაშინ, როდესაც მსოფლიოსთვის უცნობი კვიპროსის პატარა გუნდის ქართველმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ მთელი ევროპა გააოცა და აალაპარაკა. ქართველი თავკაცის დამსახურებაა ამ კლუბის კარგი თამაში ჩემპიონთა ლიგაში. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოს და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს აქვთ დიდი პოტენციალი არა მარტო ფეხბურთელების, არამედ მწვრთნელების აღმოჩენაშიც.

**— ანუ საქართველომ როგორც ფეხბურთელების, ასევე საკუთარი მწვრთნელების გაზრდაზეც უნდა იზრუნოს...**

— რა თქმა უნდა, ეს აუცილებლად მოიტანს შედეგს. აქვე მინდა ერთი ფაქტი აღვნიშნო, რომელიც ფეხბურთთან არანაირ კავშირში არ არის, მაგრამ გონებაში ჩამრჩა. ზაფხულის ოლიმპიადაზე საქართველოს ჰყავდა პლაჟის ფრენბურთელთა გუნდი, რომელშიც არც ერთი ქართველი არ თამაშობდა. ასეთმა გუნდმა წარმატება რომც მოგიტანოს, დიდ ემოციას ვერც მოთამაშეებს და ვერც გულშემატკივარს ვერ მიანიჭებს. ამით კი არ გაკრიტიკებთ, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ მაქსიმალურად უნდა ეცადოთ, საკუთარი რესურსები გააძლიეროთ, მით უმეტეს, ამის დიდი პოტენციალი გაქვთ, რადგან სპორტული ქვეყანა ხართ.

**— კეთილი. ვის გულშემატკივრობს ფეხბურთში რუჯერო პალომბო?**

— ყველა იტალიურ გუნდს და იტალიის ნაკრებს.

**— თავად თუ ხართ სპორტით დაკავებული?**

— ახალგაზრდობაში ფეხბურთს და ჩოგბურთს ვთამაშობდი. ახლა, ასაკის შესაფერისად, გოლფმა გამიტაცა.

**— დაოჯახებული ხართ? შვილები თუ გყავთ?**

— შვილები, სამწუხაროდ, არ მყავს. ორჯერ დავოჯახდი, მეორედ რამდენიმე თვის წინ. ბავშვები ძალიან მიყვარს, მყავს ორი დისშვილი, რომლებიც საკუთარი შვილებივით მიყვარს.

**— დიდი მადლობა თქვენ და „გაძეტა დელო სპორტის" რედაქციას!**

— მადლობა „სარბიელს", ჩვენი ფეხბურთის მიმართ ასეთი ინტერესისთვის.



უგო სანჩესი

# ეჰტორ რაულ კუპერის უარი ალმერიას



სარბიელის არქივიდან

ეჰტორ რაულ კუპერი

**ეჰტორ რაულ კუპერი** ესპანური „ალმერიას“ სამიზნე გახდა, თუმცა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა ამ წინადადებისგან თავი შორს დაიჭირა.

„ალმერიას“ ხელმძღვანელობამ კუპერისგან უარი რომ მიიღო, სხვა კანდიდატებზე დიდხანს, ეტყობა, აღარც უფიქრია, რაკილა ორ დღეში ლეგენდარული მექსიკელი უგო სანჩესი დანიშნა თავკაცად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის განცხადებით, კუპერი კონტრაქტის გასვლამდე არსად წასვლაზე არ ფიქრობს და მეტიც, ქართული მხარის სურვილი თუ იქნება, მომდევნო შესარჩევ ციკლშიც დარჩება ნაკრების მწვრთნელად.

*სიმართლე რომ ვთქვათ, ესპანური კლუბის მიერ ეჰტორ რაულ კუპერით დაინტერესება გასაკვირი არც ყოფილა. არგენტინელმა სპეციალისტმა ხომ სწორედ ამ ქვეყანაში მუშაობით გაითქვა სახელი.*

*კუპერი ესპანეთში 1997 წელს ჩავიდა, „მალიორკას“ ჩაუდგა სათავეში და პირველივე სეზონში ქვეყნის თასის ფინალში გაიყვანა გუნდი. მომდევნო სეზონში იყო თასების მფლობელთა თასის ფინალი, სადაც იტალიურ „ლაციოსთან“ დამარცხდა. თუმც იმავ სეზონში ერთი ტიტული მაინც მოიგო — ესპანეთის სუპერთასი. ამას დაემატა კიდევ ერთი წარმატებული სეზონი, როცა „მალიორკა“ თავის ისტორიაში საუკეთესო, მესამე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.*

*1999 წელს კუპერი „ვალენსიაში“ გადავიდა და 2000 და 2001 წლებში ზედიზედ ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.*

*მერე იყო ორწლიანი კონტრაქტი იტალიაში („ინტერის“ მწვრთნელად), საიდანაც 2004 წელს „მალიორკას“ დაუბრუნდა, 2007-ში კი „ბეტისს“ ჩაუდგა სათავეში, თუმცა ღირებული წარმატებისთვის აღარ მიუღწევია...*

**ქახა შალამბერიძე**

# 21-წლამდელების 2011: ცხადია, ბოლო კალათა



სარბიელის არქივიდან

კახა ცხადაძე

**4 თებერვალს** დანიის ქალაქ ორჰუსში 21-წლამდელთა ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა გაიმართება.

შესარჩევის ფორმატი ზუსტად იგივეა, რაც ბოლო გათამაშებისას — 52 ქვეყანა ხუთ ჯგუფში გადანაწილდება (8 ხუთგუნდიანი და 2 ექვსგუნდიანი), ჯგუფის გამარჯვებულები და პლუს ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა პლეი ოფში.

ეს 14 ნაკრები პლეი ოფით გაარკვევს 7 უძლიერესს, რომლებსაც მასპინძელი დანია შეუერთდება.

ჯგუფის მატჩები 2009 წლის 28-29 მარტს დაიწყება, ბოლო ტური კი 2010 წლის 8 სექტემბერს იქნება.

ფინალურ ეტაპზე გასული 8 გუნდიდან 4 საუკეთესო ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე ითამაშებს.

ჯგუფური ეტაპის კენჭისყრისას საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ბოლო, მეხუთე კალათაში იქნება. სხვანაირად არც ველოდით: წინა შესარჩევი ციკლი ხომ პეტარ სეგრტის გუნდმა პირწმინდად ჩააგდო და ბოლო ადგილზე გავიდა — მეტოქეები ესპანეთი, რუსეთი, პოლონეთი და ყაზახეთი იყვნენ.

მეხუთე კალათაში ჩვენების გარდა არიან: ლატვია, ყაზახეთი, კვიპროსი, ანდორა, ფარერები, ესტონეთი, მალტა, სან მარინო, აზერბაიჯანი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი.

ვინ იქნება ამ შესარჩევ ციკლში ქართველი ახალგაზრდების მწვრთნელი, ჯერ გასარკვევია: სავარაუდოდ, კახა ცხადაძე...

**ილია ნანობაშვილი**

# რა მნიშვნელობა აქვს კუპერის ტაქტიკას?

## კანდელაკმა სუსტი ვერსად ნახა

ქართული ლეგიონერების უმრავლესობა ახალ წელს თბილისში ხვდება. ავსტრიული „შტურმის“ მცველი ილია კანდელაკი ბენდელას თასის მატჩს ადევნებდა თვალს და ჩვენც მაშინ გავესაუბრეთ...

— ნახევარი სეზონი გაატარე გრაცის „შტურმში“ და როგორ აფასებ ამ პერიოდს?

— ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვთამაშობ, საკმაო ქულებიც დავაგროვეთ და ლიდერებში ვართ. ასე რომ, მხოლოდ დადებითად შემიძლია შევაფასო სეზონის პირველი ნახევარი.

— ავსტრიის ჩემპიონატზე რას იტყვი?

— ყველა თამაში დაძაბულია, ადვილად ვერავის მოუგებ და, ფაქტობრივად, სუსტ გუნდს ვერ შეხვდები.

— ავსტრიის ნაკრები კი დიდად სახარბიელო ფეხბურთს ვერ აჩვენებს...

— რატომ? ცუდი ნაკრები ნამდვილად არ არის. რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელიც ჰყავთ.

— ავსტრიის ჩემპიონატში ამინდს ლეგიონერები ქმნიან?

— ასე ვერ ვიტყოდი... ლეგიონერებიც და იქაურებიც.

— ავსტრიულ გუნდებს ერთგული ფანები ჰყავთ — თბილისში „რაპიდს“ ბევრი გულშემატკივარი ჩამოჰყვა და მაგრადაც უქომაგა. „შტურმს“ როგორი ფანები ჰყავს?

— საშინაო მატჩებზე სტადიონი ყოველთვის სავსეა. ფანებისგან დიდ მხარდაჭერას და სითბოს ვგრძნობთ.

— „შტურმთან“ 2010 წლამდე გაქვს კონტრაქტი, ალბათ მის ამოწურვამდე იქ დარჩები...

— გრაცში ოჯახით ვარ და ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. „შტურმს“ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ ბევრად უკეთესი ვარიანტები გამოჩნდება.

— შვებულება როდის გიმთავრდება?

— 7 იანვარს განვაახლებთ ვარჯიშს. ჯერ ავსტრიაში გავივლით ერთ შეკრებას, 25-ში კი ანთალიაში წავალთ 10 დღით.

— გიორგი შაშიაშვილზეც გკითხავ. ამასწინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, გერმანულ „ვერდერში“ გადავიდეს. ამაზე რას იტყვი?

— მე ვერაფერს მოგახსენებთ, ეს თავად გიორგის ჰკითხეთ.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც შევეხოთ. ეჰტორ რაულ კუპერი კარგა ხანი არ გიწვევდა და რუმინეთთან ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში გიხმო. თუმც ნაკრებმა კვლავ ვერ აჩვენა სახარბიელო ფეხბურთი...

— მატჩი კარგად დავიწყეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდად დავასრულეთ.

— კლაუს ტოპმიოლერსა და ეჰტორ რაულ კუპერს შორის რა განსხვავება დაინახე?

— ყველა მწვრთნელი განსხვავდება ერთმანეთისგან. ფაქტია, რომ კუპერი მაღალი დონის სპეციალისტია. ისე კი, ყველა მწვრთნელი შედეგით ფასდება.

— შენი აზრით, კუპერი როგორ სტილს ანიჭებს უპირატესობას?

— ამის შესაფასებლად ჯერ დროა საჭირო. მთავარია, შედეგი მივიღოთ, ტაქტიკას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

— ახალი შესარჩევი ციკლი ცუდად დაიწყეთ. რეალურად რომელ ადგილისთვის უნდა იბრძოლოს ამ ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა?

— საკმაოდ ბევრი თამაშია დარჩენილი და ყველა შეხვედრაში მაქსიმუმის მიღწევას უნდა ვეცადოთ. დაუმარცხებელი მეტოქე არ არსებობს, ისინიც ჩვენნაირი ადამიანები არიან. საქართველოს ნაკრებს საკმაოდ ნორმალური ფეხბურთელები ჰყავს და ყველასთან შეუძლია ბრძოლა. რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდაც გამოჩნდა, რაც მომავალს უფრო იმედიანს ხდის.

**ნუკრი ლოლაძე**







იური სიომინი



ნიკოლაი ნაუმოვი

# ლოკომოტივის სიტყვა: გადაიხადეთ სიმბოლურად!

## ასათიანი ჯერ კიევს ელის, მერე სხვას

**სად** გააგრძელებს კარიერას მალხაზ ასათიანი? ქართველი გულშემატკივრის გარდა, ამ კითხვაზე პასუხი რუსებსაც აინტერესებთ და არც უკრაინელები არიან გულგრილნი.

მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ კიევის „დინამოში“ განათხოვრებულმა ასათიანმა კარგად წარმოაჩინა თავი ჩემპიონთა ლიგაში და ამან უმალ გააჩინა ხმები, „დინამო“ ქართველი ფეხბურთელის გამოსყიდვას აპირებსო, თუმცა ჯერჯერობით საქმე ასეა — მალხაზს იჯარის ავადა ამოეწურა და „ლოკომოტივმაც“ ცოტა ხნით შვებულებაში გაუშვა.

რა ამბები დახვდება მოსკოვში დაბრუნებულ ასათიანს, ახლა ძნელი სათქმელია — საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი მშობლიურ ქუთაისში ისვენებს და მომავალს იმედით უყურებს...

**— მალხაზ, როგორ ატარებთ შვებულებას?**

— განსაკუთრებული არაფერი, ვისვენებ.

**— და მონატრებულ ქართულ კერძებს თუ ღვინოსაც აგემოვნებთ...**

— რა თქმა უნდა. ამის უფლებასაც ვაძლევ თავს, რადგან შვებულება მაქვს და ამის გაკეთება შეიძლება.

**— ფრთხილად უნდა იყოთ. ცოტა ხნის წინ „კრილია სოვეტოვის“ მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ სლუცკიმ განაცხადა, რომ დავით მუჯირი შვებულებიდან წონამომატებული უბრუნდებოდა ხოლმე...**

— ნუ ნერვიულობთ. დავითს ჭარბი წონისკენ მიდრეკილება ისედაც აქვს, მე კი — არა.

**— სანამ საქართველოში ჩახვიდოდით, მანამდე მოსკოვშიც იყავით...**

— „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ნიკოლაი ნაუმოვს შევხვდი. მოვილაპარაკეთ, რომ თუ რომელიმე კლუბი გამოისყიდის ჩემს კონტრაქტს, გამიშვებენ. „ლოკომოტივს“ კიდევ ორი წელი ვეკუთვნი.

**— კიეველებს სურთ თქვენი შეძენა. საინტერესოა, თავად თუ გინდათ „დინამოში“ თამაში?**

— რა თქმა უნდა. „ფენერბაჰჩესთან“ საჩემპიონთალიგო მატჩის შემდეგ ამის თაობაზე მწვრთნელ იური სიომინს ვესაუბრე. კიევში ჩემი სჯერათ და მენდობიან. იმედი მაქვს, კლუბები შეძლებენ შეთანხმებას.

**— და თუ „დინამო“ მაინც ვერ გამოისყიდის თქვენს ტრანსფერს?**

— მაშინ სხვა კლუბის მოძებნა მომიწევს. თუ აქედანაც არ გამოვა რამე, „ლოკომოტივში“ დავრჩები. თუმცა კლუბის პრეზიდენტმა გადმომცა გუნდის მწვრთნელ რაშიდ რახიმოვის სიტყვები, რომ ის ძირითად შემადგენლობაში ჩემს ადგილს ვერ ხედავს.

**— და ნაწყენი ხართ?**

— რა უნდა ვქნა, ის მწვრთნელია და თავისი საქმე თავად იცის.

**— 10 იანვარს შვებულება გიმთავრდებათ. რას აპირებთ ამის შემდეგ?**

— არ ვიცი. ვნახოთ...

*ვფიქრობთ, ამ ინტერვიუს შემდეგ საინტერესო უნდა იყოს ნიკოლაი ნაუმოვის კომენტარიც. აი, რა უთხრა „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა „სოვეტსკი სპორტს“:*

*— უკვე გავაგზავნეთ წერილი კიევის „დინამოში“ და მათ წინადადებას ველოდებით. ჩვენ მზად ვართ, მალხაზ ასათიანს სიმბოლურ თანხად შეველიოთ, რადგან წასვლა თავად ფეხბურთელის სურვილია.*

**ბაჩა შალამბერიძე**

# ამდენი ქართველი აღარ გვინდაო

## რატომ უჩივლა ვალერი აბრამიძემ ხაზარს ფიფაში?

**აზერბაიჯანული ბაქოს „ნეფთჩისა“ და ლენქორანის „ხაზარის“ ყოფილ მცველ ვალერი აბრამიძეს „აზერისპორტის“ ჟურნალისტი ესაუბრა და, რაღა თქმა უნდა, მახაჩყალის „ანჟიდან“ წამოსვლის მიზეზიც ჰკითხა...**



**— მახაჩყალის „ანჟიდან“ წამოსვლის მერე კარიერის გაგრძელების რა ვარიანტები გაქვთ?**

— „ანჟისთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა. ვთვლი, რომ მახაჩყალაში წარმატებით ვითამაშე. იანვარში ვგეგმავ რამდენიმე კლუბთან მოლაპარაკებების დაწყებას და ვნახოთ, რა გამოვა...

**— და რა არის „ანჟიდან“ წამოსვლის მიზეზი?**

— სიამოვნებით გავაგრძელებდი იქ თამაშს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას არ სურს, რომ ბევრი ლეგიონერი ჰყავდეს ერთი ქვეყნიდან, ჩვენთან კი ისედაც ბევრი ქართველი თამაშობდა.

**— აზეიბაიჯანის ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალს?**

— რა თქმა უნდა, მით უმეტეს, ახლა ძალიან დაძაბული ბრძოლა მიდის. როგორც ვიცი, ჩემპიონატს „ინტერი“ ლიდერობს. „ხაზარის“ რამდენიმე მატჩი ვნახე და ცუდად არ გამოიყურებიან, ვთვლი, რომ მეორე წრეში უკეთესადაც ითამაშებენ. სასიამოვნოდ გამაკვირვეს „ბაკიმ“ და „სიმურგმა“.

**— და „ნეფთჩი“?**

— „ნეფთჩის“ გამოსვლა, უბრალოდ, ტრაგედიაა. როცა იქ ვთამაშობდი, ყველა შეხვედრაში ასი პროცენტით ვიხარჯებოდი და თუ ლიდერობას დავთმობდით, ეს ჩვენთვის კოშმარი იყო. ახლა კი... ბიჭებს ვუსურვებ, რომ თასისთვის წარმატებით იბრძოლონ — ჩემპიონატს ხელახლა ველარ დაიწყებ, თასის მოგება კი შესაძლებელია.

**— რატომ დატოვეთ თავის დროზე „ხაზარი“?**

— კონტრაქტი დამიმთავრდა და აღარ ვისურვე გაგრძელება. მშვენიერი ურთიერთობა მქონდა მიჯავადოვთან, ის კარგი მწვრთნელია, კარგი ადამიანები იყვნენ ხელმძღვანელობაშიც...

**— აბა, რაში იყო პრობლემა?**

— საქმე ისაა, რომ კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კონტრაქტის დასრულების შემდეგ მითხრა, რომ ხელშეკრულებაში არის ისეთი პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ პირობები არ მომეწონებოდა, გუნდიდან წასვლა შემეძლო. როგორც აღმოჩნდა, მან მომატყუა. მერე მანახეს კონტრაქტი, სადაც ყველაფერი თურმე პირიქით ეწერა. არადა, კონტრაქტი აზერბაიჯანულ ენაზე იყო შედგენილი და ამიტომ ვერ გავიგე ვერაფერი. მეც გავაგზავნე საჩივარი ფიფაში და მათაც გამათავისუფლეს.

**— აზერბაიჯანში დაბრუნებას გამორიცხავთ?**

— თუ დაინტერესება იქნება, აუცილებლად დავფიქრდები. ჯერჯერობით არანაირი წინადადება არ მიმიღია და რა გითხრათ... თუ ვინმემ გადასვლა შემომთავაზა, განვიხილავ.

# დემეტრაძე იმედგაცრუებათა ათეულში



გიორგი დემეტრაძე

**უკრაინულმა** ვებგვერდმა FOOTBALL.UA-მ გასული წლების 10 ყველაზე უიღბლო უკრაინული ტრანსფერის სია გამოფინა, ოღონდ მხოლოდ თავდამსხმელთა შორის. მერვე ადგილზე გიორგი დემეტრაძეა — დონეცკის „მეტალურგიდან“ კიევის „არსენალში“ მისმა გადასვლამ ფინანსურად ვერ გაამართლა.

„დემეტრაძის კარიერაზე წერა შორს წაგვიყვანს. კიევის „არსენალში“ გადასვლა მისთვის მე-12 ტრანსფერი იყო, ბოლო წლებში წარუმატებლად მიდი-მოდიოდა უკრაინა-რუსეთი-ისრაელ-უკრაინის მარშრუტით. რისი ეიმედებოდა „არსენალს“, როცა 31 წლის სისწრაფე და მოტივაციადაკარგულ ფეხბურთელს ყიდულობდა?! დემეტრაძემ მანამდე სამ სეზონში ექვსი გოლი გაიტანა, თუმცა „მეთოფეებში“ გიორგიმ „ნორმას გადააჭარბა“ და სეზონში სამი ბურთი შეაგდო. დემეტრაძე ზაფხულში აზერბაიჯანულ „ბაკიში“ წავიდა ფულის საშოვნელად, ხოლო „არსენალის“ პრეზიდენტი ვადიმ რაბინოვიჩი ასე შეამკო: კიეველებს ჩემი მართებთ — კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა მეკუთვნის. მთავარი პრობლემა რაბინოვიჩს უკავშირდება, რომელიც ფეხბურთში ვერ ერკვევა“.

არადა, „დემეს“ თავის დროზე კარგი სეზონი ჰქონდა კიევის „დინამოში“ და იგივე დონეცკის „მეტალურგში“.

**ილია ნანობაშვილი**



ვადიმ რაბინოვიჩი

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა — II წრე. 17 ტური

27 დეკემბერი. 14 საათი

**ოლიმპი რუსთავი – მგლები ზუგდიდი 2:1**

რუსთავი. "ფოლადი". 500 მაყურებელი

1:0 ჩიკვილაძე (63), 2:0 მეგრელაძე (83), 2:1 ქოხონელიძე (85)

ოლიმპი: სტურუა, თ. ლონლაძე, გ. ონიანი, აკუასაგა, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი (დეკანოსიძე 68), ფეიქრიშვილი, სეთურიძე, გ. ჩხეტიანი (ფიფია 46), მეგრელაძე (მიკუჩაძე 85)

*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ალადაშვილი, გაბიდაური, მაჭავარიანი

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

მგლები: მამალაძე, ქითანავა, ხუხია, აქუბარდია, ჟიშკარიანი, გულორდავა (ქოხონელიძე 78), გრიგოროვიჩი (დარსანია 56), ჯოჯუა, გუჩუა, ლომია (ხურციძე 65), ომელიანოვი

*სათადარიგონი:* ქალდანი, ჯანაშია, ხარჩილავა

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: ბაბუნაშვილი, ჯოჯუა

მსაჯები: მ. ურუშაძე, გ. ჩიგოგიძე, ბ. ქიქინაძე, ვ. გუმბერიძე

27 დეკემბერი. 14 საათი

**სპარტაკი ცხინვალი – სკ ბაზისი 1:1**

გორი. "ქართლი". 50 მაყურებელი

1:0 ხიდეშელი (61), 1:1 აბაშიძე (80)

სპარტაკი: გ. იაშვილი, თარხნიშვილი, ხაჭიპერაძე, ქორიძე (გოგოხია 75), მაისურაძე, ჯანგიძე (ნადირაშვილი 83), შერაზადიშვილი (დათუნაშვილი 46), შალამბერიძე, გ. ხიდეშელი, შონია, მ. ლონლაძე

*სათადარიგონი:* ქვილითაია, ოსეფაშვილი, ბ. გოცირიძე, გაბელაია

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

ბაზრა: თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ტყეშელაშვილი (მოსიაშვილი 67), ზ. დათუნაშვილი (კორიფაძე 58), ცხადაია, შარიქაძე, ზ. მეტრეველი (ყიფიანი 46), აბაშიძე

*სათადარიგონი:* კოტრიკაძე, ოქრიაშვილი, ხოკერაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: შალამბერიძე

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, კ. ტეფნაძე, დ. ხარიტონაშვილი

27 დეკემბერი. 14 საათი

**დინამო თბილისი – მესხეთი ახალციხე 4:0**

თბილისი. "ეროვნული". 100 მაყურებელი

1:0 მერებაშვილი (45), 2:0 თედიაშვილი (47ს.კ.), 3:0 ინწკირველი (70), 4:0 სპასოევიჩი (72)

დინამო: ოვონო, თომაშვილი, კრშკო, გ. კაშია (კაკუბავა 76), ხმალაძე, შ. კაშია, ინწკირველი, დილმელაშვილი, გველესიანი (ნემსაძე 66), გ. მერებაშვილი (ოდიკაძე 60), სპასოევიჩი

*სათადარიგონი:* ლორია, ჯიშკარიანი, სიხარულიძე, ელიავა

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

მესხეთი: ძამუნაშვილი, კობესაშვილი, ლ. თედიაშვილი, გ. კვახაძე, რაქვიაშვილი, სუდაძე, თაყაძე, გაგუა, ინასარიძე, მურმანიშვილი, ყულიჯანიშვილი

*სათადარიგონი:* სომხიშვილი, სამადაშვილი, გოჩაშვილი

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: სპასოევიჩი (74)

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ა. გუნთაძე, დ. კვეტენაძე, კ. ჭაჭუა

28 დეკემბერი. 14 საათი

**სკ ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია თბილისი 1:2**

ზესტაფონი. "ცენტრალური". 3000 მაყურებელი

0:1 კვარაცხელია (20), 1:1 გელაშვილი (29), 1:2 კვარაცხელია (64)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, შ. ლონლაძე, მაკარიანი (ხიდეშელი 56), რ. ონიანი, დაუშვილი, ძარია (ნ. კვასხვაძე 80), ბენაშვილი, იონანიძე (ჩასემი 63), გელაშვილი

*სათადარიგონი:* ძაძამია, სტეფანიშვილი, გორგიაშვილი, სუხიაშვილი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ხურცილავა, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, მელქაძე (კვალინიძე 90), კვარაცხელია (ზაქრაძე 78), ლიპარტია (ყველაშვილი 84)

*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ადამაძე, ჯანელიძე, ბერიაშვილი

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ლომაია (25), კვარაცხელია (33), დაუშვილი (48), ხიდეშელი (77), გელაშვილი (87), ლონლაძე (89)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. ჯვარიძე, ა. კოკაია, ლ. კვარაცხელია

28 დეკემბერი. 14 საათი

**ლოკომოტივი თბილისი – სკ ბორჯომი 4:0**

თბილისი. "მიხეილ მესხი". 100 მაყურებელი

1:0 ფოფხაძე (19), 2:0, 3:0 ცქიტიშვილი (36, 43), 4:0 დ. ჩაგელიშვილი (73)

ლოკომოტივი: ლომაია, ლ. ჩაგელიშვილი, ფარულავა, ბებუა, სარალიძე, დიაკვნიშვილი, მახარაძე (ა. კობიაშვილი 55), ცქიტიშვილი (წულაძე 70), დ. ფოფხაძე, დ. ჩაგელიშვილი, ბახტაძე (ჩირიკაშვილი 65)

*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, ს. გილაური, ქურდაძე, ზ. ჩხეტიანი

მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

ბორჯომი: შეყრილაძე, ი. ლომიძე, ქარქუზაშვილი, ვაჩიბერიძე, ვ. ხორგუაშვილი (ნ. ლომიძე 50), პ. ხორგუაშვილი, ნოზაძე, ლ. ვაშაკიძე, კ. ავალიანი (ბაქრაძე 55), კიკნაძე, ალავერდაშვილი

*სათადარიგონი:* არავინ

მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, კ. გუდურაშვილი, ი. ურუშაძე

# კვა-კვა: კვასხვაძე 1:2 კვარაცხელია

**„ვიტ ჯორჯიამ“** ისეთ გუნდთან მოიგო, ისეთ ადგილას და ისეთი თამაშით, რომ დავა აღარ შეიძლება მის მთავარფავორიტობაზე. ნესტორ მუმლაძის გუნდმა „ზესტაფონი“ მისსავე სტადიონზე წააქცია და ცხრილში ექვსქულიანი პანდიკაპით გალიდერდა. ეგაა, მდევარ „დინამოს“ ერთი თამაშით ნაკლები აქვს.

ხუთი-ექვსი გოგონა მოშორებით იდგა ტრიბუნაზე და მაგრად ქომაგობდნენ ვიტელებს, რომლებმაც ალალი მოგება ჩაიწერეს და გია გეგუჩაძეს საჩემპიონატო დებიუტი ჩაუმწარეს — დიახ, ლამის ოთხწლიანი შესვენების შემდეგ გეგუჩაძემ პირველად გაიყვანა გუნდი ჩემპიონატის მატჩში.

ზესტაფონში დილით თოვდა, მაგრამ მინდორი კომმარულ მდგომარეობაში როდი იყო — თოვლი აღებული გახლდათ, ეგაა, სისველე დარჩა და ფეხბურთელებს ფეხი უცდებოდათ.

და მაინც, ეს ვერ ამართლებს მასპინძელ შალვა ლონლაძის შეცდომას, რომელმაც გივი კვარაცხელიასკენ გაგზავნილ ბურთს ფეხი ააცილა და ვიტჯორჯიელი ფორვარდიც როინ კვასხვაძესთან პირისპირ დარჩა.

კვასხვაძემ მხოლოდ თითები წაატანა ბურთს, მოგერიება კი ვერ შეძლო — 1:2, ეს იყო გადამწყვეტი გოლი, რომელიც 64-ე წუთზე გავიდა.



ასე გვიან ჩემპიონატის ტური არასდროს ჩატარებულა

რა აკლდა წინა სეზონში „ვიტ ჯორჯიას“? პირველ რიგში, გამტანი თავდამსხმელი. ერთხელ „მწვანეების“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა ჩვენთან საუბარში იხუმრა, ფილიპო ინძაგი რომ გვყავდეს, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო.

ინძაგის დონეზე რა მოგახსენოთ, მაგრამ წლეულს მუმლაძეს ამქარში ჰყავს კვარაცხელია, ვისაც მრავლად გააქვს და აგერ, ჩემპიონატის მთავარმეგოლე მათე ვაწაძესაც დაეწია...

რა კარგი იყო კვარაცხელიას პირველი გოლი... საჯარიმოს გარეთ ზურგით იდგა, შემოტრიალდა და ბილიარდული სიზუსტით დაბალი ბურთი შეასრიალა კვასხვაძის კარის კუთხეში. ეს მე-19 წუთზე მოხდა და „ზესტაფონმაც“ პირველად მაშინ იგრძნო მარცხის შიში.

ფეროელთა ერთადერთი გოლი კი ყოფილმა ვიტჯორჯიელმა ნიკა გელაშვილმა მიითვალა, რომელმაც კარენ მაკარიანის ნაკუთხურალ ბურთს თავური შეაგება. მართალია, გელაშვილს ხელით იჭერდნენ, მაგრამ პოზიცია არ დაკარგა და ბედიაშვილი დაამწუხრა.

მოკლედ, თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე 1:1 იყო და გვეგონა, „ზესტაფონი“ უფრო ითამაშებდა მოსაგებად, თუმც ვიტელებს არაფერი ეტყობოდათ, თითქოს ქულაზე თანახმა ყოფილიყვნენ — მოედნის ცენტრი არ დათმეს და სივრცეები შეუზღუდეს მასპინძლებს.

კვარაცხელიას მეორე გოლის შემდეგ დრო საკმაოდ იყო, მაგრამ რად გინდა, „ზესტაფონმა“ მხოლოდ ერთხელ დაარტყა სტუმართა კარის მიმართულებით (გიორგი ხიდეშელს თავური აუცდა) და სეზონში მესამე საშინაო მარცხს ვერ ასცდა.

რაღა არ სცადა გეგუჩაძემ, შეცვლებსაც მიმართა, მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა: ამ ეტაპზე „ვიტ ჯორჯია“ უფრო კარგად შეთამაშებული, უფრო ენერგიული გუნდია.

**ილია ნანობაშვილი**

# რატომ დაიგვიანე?..

**16 გოლი** გავიდა ხუთ თამაშში, ანუ საშუალოდ ერთ მატჩში სამზე მეტი, რაც საკმაო შედეგიანობაა. ამ თექვსმეტიდან ათი მეორე ტაიმში ვიხილეთ, თუმც ბოლო 10 წუთში ბადე არ შერხეულა.

ასეთი გამოდგა წინასაახალწლო ტური და როგორ არ ვთქვათ, რომ ასე გვიანი ტური ჩემპიონატში არასოდეს ჩატარებულა. მხოლოდ ერთხელ, 1993 წელს, „სამგურალი“ — „ოდიშის“ მატჩში 27 დეკემბერს გაიმართა, ისიც აფხაზეთში ომის გამო, როცა ზუგდიდურ კლუბს ერთბაშად შვიდი თამაში მოუწია დეკემბერში...

რა დღეშია „მესხეთი“, ერთხელაც გამოჩნდა — ახალციხელებს დინამოელებთან მატჩის ოქმში 14 ფეხბურთელი კი ეწერათ, მაგრამ სამი სათადარიგოდან არც ერთი არ იყო საღსალამათი, სკამზე არც კი ისხდნენ და შესაბამისად, მესხებმა ერთი შეცვლაც ვერ გააკეთეს. და რა გასაკვირია, რომ „დინამოსთან“ 0:4 წააგეს?

„ბორჯომმაც“ მეზობლივით 0:4 დათმო თბილისში, მოგებაგადაჩვეულ „ლოკომოტივთან“. სამცხელებს სამი ფეხბურთელი ჰყავდათ სათადარიგოებში, ვაკელთა მეგოლეობა კი ლევან ცქიტიშვილმა იკისრა — დუბლი შეასრულა.

„ოლიმპმა“ აქამდე უნახავ მესამე საფეხურამდე ააღწია და როგორ იქნებოდა, გია მეგრელაძეს არ გაეტანა: მიჯრით მესამე თამაშში გააქვს. „მგლებს“ ერთი თენგიზ ჩიკვილაძემაც შეუგდო, ვინაც მართლაც კარგ სეზონს ატარებს — ხუთი გოლი მცველის კვალობაზე ზორბა შედეგიანობაა.

პირველი გასვლითი ქულა აიღო „გაგრამ“, „სპარტაკმა“ კი პირველი ფრე ჩაიცხრილა. გაგრელ ლექსო აბაშიძეს გამთანაბრებელი რომ არ გაეტანა, მისიანები პოტენციური აუტსაიდერები იქნებოდნენ — ახლა კი „სპარტაკი“ ყველა მხრივ ნაბოლარაა.

ჩემპიონატი კარგა ხნით გემშვიდობებათ. აბა, თებერვლამდე...

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 8 - | ვაწაძე | *დინამო* |
| | კვარაცხელია | *ვიტ ჯორჯია* |
| 7 - | კიკნაძე | *ბორჯომი* |
| | გელაშვილი | *ზესტაფონი* |
| 6 - | სპასოევიჩი | *დინამო* |
| | გ. თოდუა | *მგლები* |
| | სამადაშვილი | *მესხეთი* |
| | ალექსიძე | *ლოკომოტივი* |
| | ბაბუდავა | *გაგრა* |
| | კოშკაძე | *სიონი* |
| | ცქიტიშვილი | *ლოკომოტივი* |
| | მერებაშვილი | *დინამო* |

## XXVIII ტური

7 თებერვალი. შაბათი

მგლები – ზესტაფონი

ვიტ ჯორჯია – მესხეთი

8 თებერვალი. კვირა

სიონი – სპარტაკი

გაგრა – ლოკომოტივი

ბორჯომი – ოლიმპი

*დინამო ისვენებს*

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია თბილისი | 16 | 11 | 4 | 1 | 29:10 | 19 | 37 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:5 | 10 | 16 | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 21 |
| 2 დინამო თბილისი | 15 | 10 | 1 | 4 | 32:12 | 20 | 31 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:5 | 17 | 19 | 8 | 4 | 0 | 4 | 10:7 | 3 | 12 |
| 3 ოლიმპი რუსთავი | 15 | 6 | 7 | 2 | 16:9 | 7 | 25 | 8 | 4 | 4 | 0 | 9:2 | 7 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 0 | 9 |
| 4 სკ ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 15:9 | 6 | 24 | 8 | 5 | 0 | 3 | 10:5 | 5 | 15 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 9 |
| 5 სიონი ბოლნისი | 15 | 6 | 6 | 3 | 17:10 | 7 | 24 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 1 | 8:2 | 6 | 15 |
| 6 ლოკომოტივი თბილისი | 15 | 7 | 1 | 7 | 20:15 | 5 | 21 | 8 | 4 | 0 | 4 | 9:5 | 0 | 12 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 1 | 10 |
| 7 მგლები ზუგდიდი | 16 | 5 | 3 | 8 | 16:22 | -6 | 18 | 8 | 4 | 1 | 3 | 10:6 | 4 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | -10 | 5 |
| 8 მესხეთი ახალციხე | 15 | 4 | 4 | 7 | 12:23 | -11 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:13 | -9 | 7 |
| 9 სკ ბაზისი | 16 | 4 | 3 | 9 | 13:26 | -13 | 15 | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 14 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:17 | -14 | 1 |
| 10 სკ ბორჯომი | 15 | 2 | 5 | 8 | 14:33 | -19 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:25 | -17 | 5 |
| 11 სპარტაკი ცხინვალი | 14 | 2 | 1 | 11 | 11:26 | -15 | 7 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:16 | -8 | 4 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | -7 | 3 |

# ხოჯავას როსტოვი ეძახის



**მახაჩყალის** „ანჟის“ გამთამაშებელი გოჩა ხოჯავა, შესაძლოა, რუსეთის პრემიერლიგაში ვიხილოთ — მისით „როსტოვია“ დაინტერესებული.

ხოჯავას კარგი სეზონი ჰქონდა დაღესტნურ კლუბში, თუმც „ანჟის“ თავკაც ოთარ თეთრაძეს არაერთხელ უთქვამს, უკეთ შეუძლია თამაში.

ცნობისთვის, ხოჯავა ერთი პერიოდი ირიცხებოდა კიდეც დონისპირულ კლუბში, თუმც თამაში ხშირად არ უწევდა.

# კვარაცხელია კაუნასს დაუბრუნდა

**ლიტვურ** „კაუნასს“ გივი კვარაცხელია დაუბრუნდა და შესაძლოა, ისევ იქ გააგრძელოს თამაში. კვარაცხელია ამჟამად „კაუნასთან“ ერთად ვარჯიშობს.

გივიმ ამ წლის მეორე ნახევარი ბელარუსულ „მტზ-რიპოში“ გაატარა — განათხოვრებული იყო.

ქართველი საყრდენი ნახევარმცველი ექტორ რაულ კუპერმა ბოლო სამშაბათობაზეც გამოიძახა.

# მაკარიძე: სამი წლით ლე მანში



**გიორგი მაკარიძემ** ფრანგულ „ლე მანთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმც ტრავმა მიიღო და ალბათ ოპერაციის გაკეთება მოუწევს — „ლე მანის“ ვარჯიშზე მუხლი უტკენია.

ფრანგულმა კლუბმა ჩვენიანი საახალწლოდ თბილისში გამოუშვა.

აქვე ვიქვეთ, რომ „ლე მანის“ დუბლებმა ბოლო ტურში 0:0 ითამაშეს „შატელერუსთან“. ამირან სანაიამ შეუცვლელად იბურთავა, ვახტანგ ფანცხავა კი არ გამოჩენილა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ცხადაძე და სტანდარდი მორჩა

**კახა ცხადაძე** ბაქოს „სტანდარდის“ მწვრთნელი აღარაა. მან ბაქოელებთან თანამშრომლობაზე უარი ერთი მიზეზის გამო თქვა — საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცად ინიშნება.

მართალია, ეს საკითხი ბეჭედდასმული არ არის, მაგრამ იანვარში სფფ-ის აღმასკომის სხდომა გაიმართება და იქ დაამტკიცებენ ცხადაძეს.

„სტანდარდიდან“ ლევან სილაგაძეც გაუშვეს, თუმც ბაქოურ კლუბში დარჩნენ კახა ცხადაძის ვაჟი ბაჩანა, მეკარე მიხეილ ალავიძე და მცველი დავით ჭიჭველიშვილი. მათი ბედი ჯერ უცნობია, თუმც აზერბაიჯანულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ „სტანდარდს“ ორი ქართველი ფეხბურთელი დაემატება.

**ილია ნანოგაშვილი**

# თოდუამ მუხლი გაშალა

**ზუგდიდის** „მგლების“ თავდამსხმელმა გია თოდუამ მენისკი მოიშუშა და ვარჯიში დაიწყო.

თოდუა უკვე რამდენიმე თვეა, თავის გუნდს ველარ ეხმარება, თუმც ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში დაიწყო და ცოტა ხანში გუნდსაც შეუერთდება.

„მგლების“ ფორვარდი ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია ეროვნულ ჩემპიონატში — 6 გოლი აქვს გატანილი.

# პროფლიგა და ლიგა

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ გამოცემული ჟურნალ „ლიგას“ მეხუთე ნომრის პრეზენტაცია ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“ შედგა.

პროფლიგა „ლიგას“ ყოველი წლის ბოლოს გამოსცემს და მასში ყველა ის მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოვლენაა აღწერილი, რომელიც გასულ სეზონში მოხდა.

ჟურნალი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დამზადებული და მასში ბევრ საინტერესო წერილს გაეცნობით.

„ლიგას“ მთავარი რედაქტორი გახლავთ ცნობილი ჟურნალისტი გოგი ფრანგიშვილი, ხოლო არტ-რედაქტორი თამარ ფოცხიშვილი.

ჟურნალი „პლანეტა ფორტეს“ ჯიხურებში გაიყიდება და 3 ლარი ეღირება.

**კახა ზალამბერიძე**



ბასა და თამარ ფოცხიშვილები

# ნოზაძე შახტიორს დაშორდა

**ლაშა ნოზაძეს** ყაზახურ ყარაგანდის „შახტიორთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და გუნდიდან წამოვიდა.

ნოზაძემ წელიწადნახევარი გაატარა „შახტიორში“ და ერთი პერიოდი გუნდის ლიდერადაც ითვლებოდა.

მოკლედ, „ვიტ ჯორჯიას“ და თბილისის „დინამოს“ ყოფილ კაპიტანს ახალი კლუბის ძებნა მოუწევს.

**ოთარ მხეიძე**

# ვაწაძე ვარჯიშებს შეეპარა



www.fcdinamo.ge

**ეროვნული** ჩემპიონატის მიმდინარე სეზონის საუკეთესო მეგოლემ, მათე ვაწაძემ მსუბუქად ვარჯიში დაიწყო.

გეცოდინებათ, „დინამოს“ 20 წლის ფორვარდმა ორიოდ კვირის წინ ექტორ რაულ კუპერის „სამშაბათობაზე“ ლავიწის ძვალი მოიტეხა.

პარასკევს მათემ სატრენაჟორო დარბაზში მსუბუქად ივარჯიშა, დაახლოებით 10 იანვრისთვის კი ფიზიკური მონაცემების ამაღლებისა ფიზიკური მწვრთნელი ვარჯიში დაიწყებს წრეთან. ჩემპიონატი თებერვალში განახლდება და ვაწაძე იმედოვნებს, რომ იმ დროისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

# კორღალიძის საუკეთესო წრე

**კიშინიოვის** „დაჩიას“ ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვით, სეზონის პირველი ნახევრის საუკეთესო ფეხბურთელი ლევან კორღალიძე გახდა.

„დაჩიას“ ქართველმა ნახევარმცველმა 67 ხმა მიიღო.

მეორე ადგილზე ალექსანდრუ ონიკა გავიდა (41 ხმა), მესამეზე კი — სერგიუ ჟაპალაუ (18).

ახალგამოჯანმრთელებული თავდამსხმელი ჯაბა დვალი 17 ხმით მეოთხე ადგილზე გავიდა.

შეგახსენებთ, რომ „დაჩიაში“ კიდევ ერთი ქართველი, მცველი სერგი ორბელაძე თამაშობდა, ვინც უკვე დაითხოვეს გუნდიდან.



ლევან კორღალიძე

**კახა ზალამბერიძე**

# წინამძღვრიშვილმა ბელგია მოიარა

**ლაპარაკი** საქმედ იქცა და რატი წინამძღვრიშვილმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ზესტაფონთან“.

„ამერის“ 20 წლის უნიჭიერესი თავდამსხმელი ამიერიდან იმერული კლუბისთვის გაირჯება, თუმცა იქამდე რატიმ მძიმე ოპერაცია გადაიტანა.

წინამძღვრიშვილს მუხლის ჯვარედინი მყესები ჰქონდა გაწყვეტილი და უკვე მოიარა ბელგია, სადაც გაუკეთეს კიდეც ოპერაცია.

რატი თბილისში 28 დეკემბერს დაბრუნდა და რამდენიმეთვიანი სარეაბილიტაციო პერიოდი ელის, რომელსაც, სავარაუდოდ, ბელგიაში გაივლის.

წესით და რიგით, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, წინამძღვრიშვილი ახალი სეზონიდან მოირგებს „ზესტაფონის“ მაისურას...

**კახა ზალამბერიძე**

## კვირის ქრონიკა

### ბაკილის ჭეიშვილი უთავებს

**აზერბაიჯანულ** „ბაკილიში“ ქართველი მწვრთნელი ინიშნება.

გადაწყვეტილია, რომ კლუბი ვასილ ჭეიშვილთან გააფორმებს 6-თვიან კონტრაქტს.

შეგახსენებთ: ვასილ ჭეიშვილი საქართველოში თბილისის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ, ერთი პერიოდი კი „ზესტაფონშიც“ მუშაობდა.

### ალექსიძე ახალი წლიდან

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელ რატი ალექსიძეს ფილტვების ანთება აქვს და რამდენიმე დღე იწვება.

ალექსიძე უკვე გასინჯეს ექიმებმა და მკურნალობაც დაუნიშნეს.

საბედნიეროდ, მდგომარეობა საშიში არ არის და ფეხბურთელიც ნაძალწლევს დაუბრუნდება „ლოკომოტივს“.

### სიმურგი ისევ საქართველოში

**დავით ბოლქვაძე**-გრიგოლ დოლიძე-კახა ჩხეტიან-მიხეილ მახვილაძის „სიმურგი“ 15-დღიან შეკრებას საქართველოში გაივლის.

„სიმურგის“ უკრაინელმა მწვრთნელმა რომან პოკორამ თქვა, საქართველოში 25 იანვრიდან დავბინავდებით და ადგილობრივ გუნდებთან ამხანაგურ მატჩებს გავმართავთ.

ზაქათალის კლუბმა შარშანაც საქართველოში გაიარა შეკრება და ბლომად ამხანაგურებიც ჩაატარა.

### ფიფას ახალი ასისტენტები

**2009 წლის** 1 იანვრიდან ქართული სამსაჯო კორპუსის კიდევ ორი წარმომადგენელი მიიღებს ფიფას ასისტენტის წოდებას — ლევან თოდრია და ზაზა ფიფია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

დღევანდელობით სფფ-ს ფიფას ოთხი არბიტრი ჰყავს: ლევან ფანიაშვილი, ლევან კვარაცხელია, გიორგი ვადაჭკორია და ლაშა სილაგავა.

ამის გარდა, ფიფას ასისტენტები არიან ბესიკ ჭიჭინაძე, გურამ ჩიგოგიძე, მამუკა ელიკაშვილი, ზურაბ ჯვარიძე, ზაზა მენთეშაშვილი და ლევან მიქელაძე, ხოლო ფუტსალის ფიფას არბიტრები — შოთა ქუხილავა და არსენ ნინიკაშვილი.

# თამაში მიეციო, ასეთი რამის თქმას მე ვერავინ გამიბედავდა

## რა შემთხვევაში ვერ აიღებთ შოთა არველაძისგან ინტერვიუს



ლუის ვან გაალი და შოთა არველაძე

თითქმის შვიდი თვე გავიდა, რაც შოთა არველაძემ ფეხბურთელის მდიდარი კარიერა დაასრულა და მწვრთნელობას შეუდგა. სასიხარულოა, რომ შედეგსაც იმკის — მართალია, ტყუპისცალს „ალკმაარის" მატჩებისას სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლებას ჯერ არ აძლევენ, მაგრამ მის სიტყვას წონა აქვს და ლუის ვან გაალის მარჯვენა ხელად ტყუილად არ ითვლება. შედეგი ვახსენეთ: „ალკმაარი" ჰოლანდიის ერედივიზიონს ლიდერობს. შოთასთან მხოლოდ ერთ კონკრეტულ თემაზე არასოდეს გვისაუბრია. ამჯერადაც, ჰოლანდიაში რომ დავუკავშირდით, სხვადასხვა ამბებს შევეხეთ, მათ შორის, 2001 წლის საქართველო — რუმინეთის (0:2) მატჩს, რომელზეც ნაკრების მაშინდელმა თანათავკაცმა რევაზ ძოძუაშვილმა თქვა, ზემოდან დავალებით წავაგეთო...



სარბიელის არქივიდან

რევაზ ძოძუაშვილი

## რითი დაემსგავსა კუპერი ტოპმიოლერს

— როცა „ალკმაარში" სამწვრთნელო საქმიანობა ახალი დაწყებული გქონდა, გვითხარი, ჯერ ისეთ ჟინს ვერ ვგრძნობ, პასუხისმგებლობა მინდა მეკისროს და წნეხში ვიყოო. ახლა?

— ისე თავისთავად, ახლაც ასეა. ჟინი კი მართლაც მომემატა — როცა გუნდი პირველ ადგილზეა, სხვანაირად ვერც იქნება.

— შენი სამუშაო გრაფიკი ხომ არ შეიცვალა გუნდში?

— არა. ჩვეულებრივ, ვარჯიშებს ვატარებ და მეტოქეთა მატჩებს ვაკვირდები. თამაშების დროს სათადარიგოთა სკამზე ჯერ ვერ ვჯდები.

— როდის იღებ A ლიცენზიას?

— აპრილში. მერე შემეძლება სათადარიგოებში ჯდომა.

— „ალკმაარმა" გასული სეზონი ჩააგდო, წლეულს კი ლიდერობს...

— თამაშის ხარისხი მაღალია. საერთოდაც, „ალკმაარი" დისციპლინირებული, ორგანიზებული გუნდია.

— როცა შენ თამაშობდი „ალკმაარში", მაშინდელზე ძლიერია?

— ჩემს დროს უფრო გამოცდილი ფეხბურთელები ვიყავით. ახლანდელი „ალკმაარი" კი უფრო ახალგაზრდული, ჯანმრთელი, სწრაფი გუნდია.

— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარი კონკურენტი „აიაქსია"?

— ალბათ. „აიაქსი" დღეს პსვ-ზე ძლიერია, აგერ, უეფას თასზე „ჰამბურგს" სტუმრად, რომ იტყვიან, გადაურბინა.

— როდესმე ყოფილა, უშუალოდ თამაშისას შენ შეგეცვალოს ფეხბურთელი და არა ვან გაალს?

— არა. ეს ვან გაალის უფლებაა, მე მხოლოდ რჩევის მიცემა შემიძლია.

— „ფონდი არველაძის" უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვი?

— გეცოდინებათ, ბავშვთა შორის ჩემპიონთა ლიგის მსგავსი ტურნირი რომ ტარდება, ამსტერდამში იქნება და 35-ე საფეხბურთო სკოლის 1997 წელს დაბადებულთა გუნდი ითამაშებს „ბარსელონას", „ინტერის" და სხვა კლუბების წინააღმდეგ. ჩვენი ბავშვების მწვრთნელი ნოდარ აკობიაა. პლუს, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიაში გამართავს ამხანაგურ მატჩებს „ფეიენოორდთან", „აიაქსთან", ალბათ „ალკმაართანაც"... „პორტუში" 16 წლის ორი ბიჭი გვყავდა სტაჟირებაზე და ვნახოთ, როგორ წავა საქმე — მათზეა დამოკიდებული. გიორგი მაკარიძე „დორტმუნდში" მივავლინეთ, მაგრამ იქ არაფერი გამოვიდა და როგორც გავიგე, ფრანგულ „ლე მანთან" მოაწერა კონტრაქტს ხელი.

— „კარლსრუეშიც" აპირებდით ერთი ახალგაზრდის წაყვანას...

— ეს ახალი წლის შემდეგ. ალექსანდრე იაშვილიც ჩართულია საქმეში. ამ ბიჭის გვარს ჯერ ვერ გეტყვით. არა მარტო „კარლსრუე", შეიძლება, „ალკმაარშიც" ჩამოვიყვანოთ ერთი 18 წლის ფეხბურთელი.

— საქართველოს ნაკრებზე ვთქვათ: რამდენად მოგწონთ, რომ ჰექტორ რაულ კუპერი ეროვნული ჩემპიონატიდან ბევრ ფეხბურთელს ენდობა?

— მისალებია. თუ კუპერი თვლის, რომ ქართული კლუბებიდან ამდენ ფეხბურთელს შეუძლია ნაკრებში თამაში, ესე იგი, არცთუ ცუდი ჩემპიონატი გვქონია.

— კუპერის ხელში ნაკრებმა 6 მატჩი ჩაატარა. შედეგს რომ არ მივაქციოთ ყურადღება, თამაშის ხარისხში თუ ხედავთ პროგრესს?

— რაღაც ცვლილებები ჩანს და მგონი, გამოვიხედავთ თვალებში. თუნდაც ის, რომ მეორე ტაიმს უკეთესად ატარებს ნაკრები, უმნიშვნელო როდია. თუმცა ბევრი რამე მიკვირს...

— კერძოდ?

— ის, რასაც კლაუს ტოპმიოლერიც აკეთებდა: არ არის ჩვენი საქმე 4-3-3-ით თამაში და ტოპმიოლერი მაინც იჟინებდა. კუპერიც ასეა. არ გვყავს გარემარბები და რატომ ვიგონებთ?! იაშვილი ან ყენია გარემარბები არიან?!

— ისე, საინტერესოა, რატომ არ გვყავს გარემარბები? ქართულ ფეხბურთში ეს პოზიცია ბოლო წლებში სულ დეფიციტური იყო...

— ალბათ, იმიტომაც, რომ ვისაც კაცის მოტყუება და სირბილი შეუძლია, ყველას 10 ნომრად უნდა თამაში. კიდევ იმიტომ, რომ ქართული კლუბები უგარემარბებოდ თამაშს არიან მიჩვეულნი.

— კი მაგრამ, კარგი თავდამსხმელების ნაკლებობაც რომ გვაქვს?

— ასეც არ არის. აგერ, ათამაშეს ლევან მჭედლიძე თავდამსხმელად და მშვენიერი იყო, მეორე თამაშში კი რატომღაც ფლანგზე დააყენეს. არ მესმის. ხან გოგიტა გოგუას აყენებდნენ გარემარბად. შეიძლება, ფეხბურთელი ერთ თამაშში მარჯვენა გარემარბად ათამაშო და მეორეში მარცხენა მცველად?! აი, კარგი ტიპიური გარემარბი ოთარ მარცვალაძე იყო, მაგრამ ტრავმებმა გააწვალა და... ნაკრებში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებს უნდა დაუძახო და რა კონტინგენტიც შეიკრიბება, იმის მიხედვით უნდა ააწყო სათამაშო სქემა. მე ასე მესმის. შეიძლება, კუპერმა, უბრალოდ, სცადა 4-3-3 და აწი ორ თავდამსხმელზე გადავა. არადა, სწორედ 4-4-2-ს ათამაშებდა ყველგან, სადაც მუშაობდა.

— ერთი კითხვაც, რომელიც წარსულს შეეხება: რევაზ ძოძუაშვილმა „ლელოსთან" ინტერვიუში თქვა, 2001 წელს საქართველოს ნაკრებს რუმინეთთან მუნდიალის შესარჩევ მატჩში წაგება ზემოდან ჰქონდა დავალებულიო. რას იტყვი?

— პირველად მესმის. რა კომენტარი უნდა გავაკეთო? სისულელეა. ეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო ნაკრების ისტორიაში. 10 დღე გერმანიაში ტალახში გვავარჯიშეს, ერთმანეთს ვერ ვცნობდით. სასწაულად მოვემზადეთ და... თამაში მიეციო, ასეთი რამის თქმას მე ვერავინ გამიბედავდა, საიდან მოაქვთ ეს ამბები?! ამიერიდან, ვინც ამ კითხვას სერიოზულად დამისვამს, ინტერვიუს აღარ მივცემ! პირდაპირ ასე დაწერეთ.

— კეთილი. მოდი, საახალწლო სამზადისზეც ვთქვათ: სად ხვდები 2009 წელს?

— ოჯახით დასასვენებლად მივდივარ ყატარში.

— ალბათ, კარგადაც მოილხენ...

— თუ კარგ განწყობაზე ვიქნები, კი. მაგრამ რა ვიცი, ერთი სული მაქვს, ეს წელიწადი მალე გავიდეს — ომისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანია...

**ილია ნანოგაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მოგვიტანა ვირთხამ?




| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | ამ | თბილისი | ლატვია | 1:3 | კალაძე |
| 26 მარტი | ამ | ბელფასტი | ჩრდ. ირლანდია | 1:4 | ჰილი ს.კ. |
| 27 მაისი | ამ | ტალინი | ესტონეთი | 1:1 | ყენია |
| 31 მაისი | ამ | ვიზეუ | პორტუგალია | 0:2 | |
| 20 აგვისტო | ამ | სუონსი | უელსი | 2:1 | ყენია, გოცირიძე |
| 6 სექტემბერი | მჩშ | მაინცი | ირლანდია | 1:2 | ყენია |
| 10 სექტემბერი | მჩშ | უდინე | იტალია | 0:2 | |
| 11 ოქტომბერი | მჩშ | თბილისი | კვიპროსი | 1:1 | კობიაშვილი |
| 15 სექტემბერი | მჩშ | თბილისი | ბულგარეთი | 0:0 | |
| 21 ნოემბერი | ამ | ბუქარესტი | რუმინეთი | 1:2 | მარცვალაძე |

*10 მატჩი: 1 მოგება, 3 ფრე, 6 წაგება, ბურთები 8:18*

**მეგოლეები**: 3 — ყენია, 1 — კობიაშვილი, კალაძე, მარცვალაძე, გოცირიძე

**საგოლე პასები**: 2 — მჭედლიძე, 1 — ელიავა, კანდელაკი, დევდარიანი, იაშვილი, მენთეშაშვილი

### მეკარეები

| | |
|---|---|
| გიორგი ლორია | 5თ (450წთ) |
| გიორგი ლომაია | 3 (270) |
| ნუკრი რევიშვილი | 1 (90) |
| გიორგი მაკარიძე | 1 (90) |

### მცველები

| | |
|---|---|
| უჩა ლობჟანიძე | 7 (630) |
| ლაშა სალუქვაძე | 6 (540) |
| კახა კალაძე | 5 (450) |
| გიორგი შაშიაშვილი | 5 (405) |
| მალხაზ ასათიანი | 5 (367) |
| ალექსანდრე კვახაძე | 4 (360) |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 4 (353) |
| დავით კვირკველია | 3 (212) |
| ზაალ ელიავა | 3 (137) |
| გიორგი ნავალოვსკი | 2 (171) |
| ილია კანდელაკი | 1 (90) |
| ამირან სანაია | 1 (22) |
| მათე ღვინიანიძე | 1 (46) |

### ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| ლევან ყენია | 8 (509) |
| ლევან კობიაშვილი | 7 (564) |
| დავით ოდიკაძე | 6 (302) |
| ზურაბ მენთეშაშვილი | 5 (406) |
| ლუკა რაზმაძე | 3 (270) |
| ლევან ცქიტიშვილი | 3 (223) |
| ლევან ხმალაძე | 3 (156) |
| დავით მუჯირი | 3 (98) |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 3 (73) |
| ჯაბა კანკავა | 2 (180) |
| სანდრო კობახიძე | 2 (179) |
| გიორგი ხიდეშელი | 2 (92) |
| დავით დევდარიანი | 2 (50) |
| მურთაზ დაუშვილი | 1 (90) |
| გოგიტა გოგუა | 1 (74) |
| შოთა გრიგალაშვილი | 1 (16) |

### თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| ალექსანდრე იაშვილი | 8 (634) |
| ლევან მჭედლიძე | 7 (273) |
| ბექა გოცირიძე | 7 (264) |
| რატი ალექსიძე | 6 (300) |
| დავით სირაძე | 5 (293) |
| გიორგი მერებაშვილი | 3 (43) |
| ოთარ მარცვალაძე | 1 (61) |
| რევაზ ბარაბაძე | 1 (22) |
| ლაშა ჯაკობია | 1 (9) |

**სულ: 10 მატჩში ითამაშა 42-მა ფეხბურთელმა**

### გამოსარჩევი აზბები

ლატვიასთან მატჩში კახა კალაძემ პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა.

ლევან ყენია გახდა ყველაზე ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც ნაკრებში გოლი გაიტანა. ესტონეთთან მატჩისას ის 17 წლის და 7 თვის გახლდათ.

საქართველოს ნაკრებმა წლის 10 მატჩიდან მხოლოდ ერთხელ გახსნა ანგარიში — რუმინეთთან.

წლეულს გატანილი 8 გოლიდან მხოლოდ ერთი გავიდა პირველ ტაიმში — რუმინეთთან.

ლევან მჭედლიძემ და ბექა გოცირიძემ 7-7-ჯერ ითამაშეს ნაკრებში, თუმც სრულად — არცერთხელ. ასევეა რატი ალექსიძეც, ოღონდ მან 6 მატჩი ჩაატარა.

მჭედლიძე სამ მატჩში პირველივე ტაიმში შეცვალეს.

საქართველოს ნაკრების კარში სამჯერ დაინიშნა პენალტი: ესტონელმა ტარმო კინკმა და პორტუგალიელმა სიმაომ გაიტანეს, კვიპროსელი მიხალის კონსტანტინუს პენალტი კი გიორგი ლომაიამ მოიგერია.

საქართველოს ნაკრებმა ორჯერ დაარტყა პენალტი და ორივეჯერ გააცუდა: დავით სირაძემ ლატვიასთან ააცილა, ლევან ცქიტიშვილის დარტყმული კი ჩრდილოეთ ირლანდიელმა მეკარემ მოიგერია.

წლეულს სანაკრებო დებიუტი 10 ფეხბურთელს ჰქონდა: შვიდს პეტარ სეგრტის მწვრთნელობისას — გიორგი ლორია, უჩა ლობჟანიძე, გიორგი ნავალოვსკი, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი მერებაშვილი, რევაზ ბარაბაძე, დავით დევდარიანი. სამს კი ექტორ რაულ კუპერის მწვრთნელობისას — ლუკა რაზმაძე, ლევან ხმალაძე, მურთაზ დაუშვილი.

კუპერის ხელში 29 ფეხბურთელმა ითამაშა, რომელთაგან 13 საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდანაა.







## ტაბლო მომენტებს არ ითვლის

**...ბიტის კარლსონსმა** დაიწყო და მას მერე საქართველოს ნაკრები წაგებას დაუძმობილდა. ძალიან ცუდი გამოდგა ვირთხის წელიწადი — სხვა ყველაფერთან ერთად, ფეხბურთშიც ვერ ვნახეთ სიკეთე. ძნელად, ასეთი მარცხიანი წელიწადი გავიხსენოთ ნაკრების ისტორიაში.

ჰო, კარლსონსი ლატვიის ნაკრების ფეხბურთელია: იმ ლატვიისა, წლის პირველ ამხანაგურ თამაშში კლაუს ტოპმიოლერის გუნდს კარლსონივით რომ გადაუფრინა და 34 წუთში 3:0-ს იგებდა.

ხუჭუჭა გერმანელს ამ მატჩის წინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული ავტორიტეტი. მერე რა, რომ შესარჩევი ციკლი ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა, ბოლო მატჩებში ნაკრებმა ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშა და წესით, პროგრესი უნდა გაგრძელდესო — ასე ფიქრობდა ბევრი.

არა და არა. ლატვიამ პირველ ტაიმში სამი გოლი გვაძგერა, მეორეში კი ჩვენები ქაოტურად უტევდნენ და მარცხს ვერ ასცდნენ. შესვენებამდე იძულებით შეცვლას თუ არ ჩავთვლით, ტოპმიოლერმა 74-ე წუთამდე ერთი ახალი ფეხბურთელიც კი არ შეიყვანა მინდორზე. რა გვითხრა ამით გერმანელმა? ესაა თქვენი მაქსიმუმი და მე რაღას მთხოვთო...

ლატვიამ გვარიანად შეურყია სკამი ჰერ კლაუსს და ეს სკამი ბელფასტში წაიქცა, სადაც ჩრდილოეთ ირლანდიამ ასევე 34-ე წუთამდე მოგვითავა საქმე — 3:0 იყო.

ამ მატჩის მერე კახა კალაძემ გვითხრა, ტოპმიოლერმა რა უნდა ქნას, როცა კარგი ფეხბურთელების დეფიციტი გვაქვსო.

და ეს დღეც მოვიდა: ტოპმიოლერი ბელფასტის თამაშიდან რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს. ვინძლო, ჰერ კლაუსმა მსოფლიო ფეხბურთში კიდევ დაიქუხოს (მთლად ლევერკუზენურად თუ არა, იმის ნახევრად მაინც), მაგრამ კავკასიის ერთი მუჭა ქვეყნიდან უსახელოდ წავიდა.

ტოპის საჭე დროებით პეტარ სეგრტს ანდეს. ულვაშა ხორვატს, რომელიც 21-წლამდელთა თავკაციც გახლდათ.

ოჰ, როგორ უნდოდა სეგრტს ეროვნული ნაკრების დიდი ხნით ჩაბარება, რაღა არ გააკეთა, მაგრამ მისი მისია ორი მატჩით ამოიწურა — ესტონეთთან ფრე და პორტუგალიასთან მარცხი.

„რაღა არ გააკეთა“ იმას არ ნიშნავს, თითქოს ნაკრები ააყვავა. არა, მის ნებისმიერ ინტერვიუში ამოიკითხავდით: „რისთვის ეძებთ მწვრთნელს ცხრა მთას იქით, აქ არ ვარ?!“ ხორვატს გარკვეული არგუმენტებიც ჰქონდა, მაგალითად, ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა, საქართველოს სიყვარული, ენერგიულობა... მაგრამ არ ჰქონდა ის კვალიფიკაცია, რაც ეროვნული ნაკრების დონეს შეესაბამება. ეროვნულში კი არა, ბოლოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოაჩინა უსუსურობა, როცა მინსკიდან ოთხ დღეში 0:9 ჩამოიტანა...

სეგრტმა ბევრი ახალგაზრდა დააწინაურა ესტონეთ-პორტუგალიასთან მატჩებში, მაგრამ ბალტიისპირელებთან ძლივს გახერხებულმა ფრემ და ლუზიტანელებთან „ცალკარამ“ ვერავინ მოხიბლა.

თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე, მორტენ ოლსენი, ჰენკ ტენ კატე, ბრანკო ივანკოვიჩი, ლოთარ მათეუსი, ანრი მიშელი, ფოლკერ ფინკე... ვინლა არ სახელდებოდა ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად, მაგრამ არჩევანი შეჩერდა ექტორ რაულ კუპერზე. ტოპმიოლერის მსგავსად ისიც უიღბლო სპეციალისტია, კენწეროში ასული დაცემულა ძირს, მაგრამ განა მარტო იღბალია ფეხბურთი? კუპერი საუკუნის გარიჟრაჟზე მსოფლიოს უპერსპექტიულესი მწვრთნელი გახლდათ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევანი იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველამ მოიწონა.

ელვარეთვალებიანი არგენტინელი მეყაითი კაცია, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და ცდილობს, ფეხბურთელები არ გამოეპაროს. ის არც რუსულ ბომბებს შეუშინებია და დაუფრთხია, პირიქით, ამ ომმა უფრო შემმართა საქართველოს ნაკრებთან მუშაობისთვისო — ბრიტანულ პრესას განუცხადა კიდეც.

კუპერაცია პირველი: საქართველოში კვლავაც რუსის ჩექმის ბრახუნი ისმის, ნაკრები კი წვალებით ჩადის უელსში და იგებს. გიორგი ლორიას შეცდომას მეორე ტაიმში ჯერ ლევან ყენიამ უპასუხა ზურაბ მენთეშაშვილის, კარგი პასის შემდეგ, ბოლო წუთზე კი ბექა გოცირიძემ თავური შეაგდო. სხვა დროს, ეგებ, ასე არ გავეხარებინეთ ამხანაგური მატჩის მოგებას, მაგრამ ომის პერიოდში პატარა რამეც კი უზომოდ გვსიამოვნებდა.

...და იწყება შესარჩევი ციკლი, ოღონდ ირლანდიას თბილისის ნაცვლად გერმანულ მაინცში ვმასპინძლობთ. ნაკრებმა საკმაო ხანი გაატარა შეკრებაზე, მაგრამ ჯერ სწრაფი გაშვებული, მერე ისევ ლორიას შეცდომა და პირველი სამი ქულა გადაიდო.

მომდევნო მარცხი უდინეში იყო, სადაც იტალიამ იტალიურად ითამაშა — ბევრი დაგვითმო, დაცვაში ჩაკეტვაც არ ითაკილა, მაგრამ რად გინდა, გოლები იმ დღეს მხოლოდ დანიელე დე როსის გაჰქონდა. ყენიას პირველ ტაიმში გაცუდებული მომენტი კი, ალბათ, დიდხანს დაგვამახსოვრდება.

ოქტომბერში ჯერ კვიპროსი ჩამოვიდა, მერე ბულგარეთი და ორი განსხვავებული მატჩი ვიხილეთ ჩვენების შესრულებით. კუნძულელებთან კუპერის გუნდს არაფერი გამოუვიდა, უფერული თამაში არასასურველი ფრით დასრულდა, ხოლო ოთხ დღეში „ჯვაროსნებმა“ ბულგარელთა საჯარიმო დატკეპნეს, დიმიტარ ბერბატოვი დამსწრესავით უყურებდა თანაგუნდელი მეკარის ნახტომებს, მაგრამ ტაბლო? სამწუხაროდ, ტაბლო მომენტებს არ ითვლის...

ბალკანელებთან მატჩმა ისიც გამოაჩინა, რომ ნაკრებს მეგოლე არ ჰყავს.

წლის ბოლო მატჩი კი რუმინეთში ჰქონდა ნაკრებს, სადაც კუპერმა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ნახა საქმეში და აქედან ერთმა დებიუტშივე გაუმართლა: ოთარ მარცვალაძემ გაიტანა, მაგრამ მერე ისევ დაიწყო ბევრჯერ ნანახი უპირატესობის დაკარგვა, დაცვის რამდენიმე შეცდომა და ვლახების ორი გოლი...

წა-ვა-გეთ!

ნეტავ, როდის „გადავა“ ეს სიტყვა ჩვენში მოდიდან...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ექტორ კუპერი** | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| **პეტარ სეგრტი** | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| **კლაუს ტოპმიოლერი** | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

# მილანში მილიონ ახალს გაიგებ

## თამაზ პერტიას კახა კალაძემ სხვა სამყარო გადაუშალა



# კალაძის სერია, უეფას თასი და მილოცვა

კახა კალაძის „მილანმა“ 2008 წელი დაასრულა — წლის ბოლო მატჩში შავ-წითლებმა „უდინეზე“ შინ 5:1 გაანადგურეს. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა თავის ვებგვერდთან ინტერვიუში სერია A-ზეც ისაუბრა და ქომაგებს შობა-ახალი წელიც მიულოცა...

— „იუვენტუსთან“ და „ვოლფსბურგთან“ წარუმატებელი მატჩების შემდეგ, „მილანს“ შთამბეჭდავი გამარჯვება ნამდვილად სჭირდებოდა...

— მართალია. კიდევ ერთ წაგებას არავინ გვაპატიებდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი დანაკლისი გვქონდა, მობილიზება შევძელით. გატუზოს, ფლამინისა და ემერსონის არყოფნის ფონზე ნახევარდაცვა მაინც ჩინებულად გამოიყურებოდა. შექმნილმა საგანგაშო მდგომარეობამ ყველა გვაიძულა, უფრო ფხიზლად და ყურადღებით ვყოფილიყავით.

— საინტერესოა, რომ „მილანმა“ 2008 წელი 5 გატანილი გოლით დაიწყო და ასევე დაასრულა...

— ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ გულშემატკივრები გავახარეთ. ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ლამაზი ფეხბურთის ნახვა. ამას ჩვენც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, თუმცა ეს ყოველთვის არ გამოდის. თუმცა მონდომება არასდროს გვაკლია. „უდინეზესთან“ ნამდვილად კარგად გამოვიყურებოდით. კაკა და პატო შეუდარებლები იყვნენ. მსურს, შევაქო იანკულოვსკიც. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხი თავის პოზიციაზე არ იდგა, ჩინებულად ითამაშა.

— სატურნირო ცხრილში არსებულ ვითარებას როგორ აფასებთ?

— არა მგონია, ახლა ამაზე სერიოზული საუბარი ღირდეს. ლიდერ „ინტერს“ 9 ქულა გვაშორებს. ეს ცოტა არ არის, თუმცა ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი დროა და ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. გულშემატკივრებს ვურჩევ, არ მიეცენ სასოწარკვეთას, რადგან ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— უეფას თასის წილისყრაზე რა აზრის ხართ?

— ბრემენის „ვერდერი“ საუკეთესო ვარიანტი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ჩვენ ნებისმიერ მეტოქესთან გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. უმძიმესი დაბრკოლებები უკვე გადავლახეთ და ახლა აღარაფერი შეგვაშინებს.

ბოლოს, მინდა, შობა-ახალი წელი მივულოცო ყველა სპორტსმენს, „მილანისა“ და სხვა გუნდების გულშემატკივრებს. მათ მშვიდობას ვუსურვებ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყველას ბედნიერ დღესასწაულებს გისურვებთ!

# ახალი კალა-აქცია

## საქართველოს ნაკრების კაპიტანი დაზარალებულებს დაეხმარა

**კახა კალაძის** „კალა ფონდმა“ რუსეთ-საქართველოს ომისას დაზარალებულ 500-ზე მეტ ოჯახს ელექტროღუმელი გადასცა.

„კალა ფონდის“ ეს საქველმოქმედო აქცია ახალსოფელში, სკრაში, მოხისში, ქვემო ბოლნისში, სურამში, ხაშურსა და ქარელში მოეწყო.

აქციას დაესწრო ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანიც.

„ამჯერად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად ელექტროსაცხობები შევარჩიეთ. ეს მათ საკვების დამზადების მოგვარებაში დაეხმარება, რაც წინასაახალწლო პერიოდში მნიშვნელოვანი საქმეა. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს იტალიელ და უკრაინელ მეგობრებს, რომლებმაც დაზარალებულთა დახმარებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს“ — განაცხადა კახა კალაძემ.

„კალა ფონდი“ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას მომავალშიც გააგრძელებს.

**ოთარ მხეიძე**

ლატვიური „დინაბურგის“ თავკაცი თამაზ პერტია ერთი კვირით იყო იტალიაში, კერძოდ, „მილანში“. ლატვიელთა ეროვნულ ჩემპიონატში პერტია ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მწვრთნელად ითვლება, მისი კლუბი თანაბრად ებრძოდა „ვენტსპილსს“ თუ „სკონტოს“, საბოლოოდ კი მეოთხე ადგილი დაიკავა. „დინაბურგის“ ოფიციალურ ვებგვერდზე პერტიასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა: საუბარია „მილანზე“, „მილანელოზე“, კარლო ანჩელოტიზე, კახა კალაძეზე...



— „მილანში“ ჩემმა მივლინებამ უკვე ტრადიციული სახე მიიღო — შარშანაც ვიყავი იქ. ამ კლუბში თამაშობს ჩემი მეგობარი, ვისთან ერთადაც დავდიოდი ფეხბურთზე. ეს კახა კალაძეა. სწორედ მისი დახმარებით ვიყავი ეს ერთი კვირა იტალიაში სტაჟირებაზე.

— ყველაზე სასარგებლო რა შეიძინეთ?

— „დინაბურგმა“ მთელი სეზონი „მილანის“ დარი ტაქტიკით ჩაატარა. იქნებ ეს ბევრისთვის მოულოდნელი და გასაკვირი იყოს, მაგრამ სიმართლეა. რა თქმა უნდა, ჩემი გუნდი „როსონერის“ საშემსრულებლო ოსტატობაში ვერ შეედრება, მაგრამ ჩვენ შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთეთ.

...რაც შეეხება სტაჟირებას, 40 წუთი ვესაუბრე „მილანის“ თავკაც კარლო ანჩელოტის, თარჯიმნად კი კალაძე გვყავდა. საუბარი შეეხო გუნდის ტაქტიკას, მომზადებას და ასე შემდეგ. ანჩელოტიმ ბევრი კითხვა დამისვა — თავს გამოცდაზე ვგრძნობდი. ბევრი სასარგებლო გავიგე იმ მწვრთნელისგან, რომელმაც ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, სკუდეტო, იტალიის თასი, საკონტინენტთაშორისო თასი... სტაჟირებისას უმეტესად „მილანის“ სამწვრთნელო პროცესს ვაკვირდებოდი. ვკამათობდით და ვმსჯელობდით სხვადასხვა პრობლემაზე. მაგალითად, ანჩელოტის გუნდი ამჟამად მკაცრ დაცვას თამაშობს ერთ ხაზზე, ზოგჯერ ავანტიურულად, სანტიმეტრების გამოთვლითაც კი. ისე კი, მილანში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაც ვნახე: „მილანი“ — „ინტერი“. „როსონერის“ მწვრთნელფეხბურთელები ყველაზე დიდ პრემიას მაშინ იღებენ, როცა თანაქალაქელებს ამარცხებენ.

— როგორი პიროვნებაა ანჩელოტი?

— იუმორი უყვარს, მუდამ მომღიმარია. ისე ჩამომართვა ხელი, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ანჩელოტი ხედავდა, როგორი ყურადღებით ვუსმენდი, როგორ მენთებოდა თვალები... მსიამოვნებს, რომ მას და კალაძეს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ.

— „მილანის“ ბაზაზეც მოგვიყევით...

— „მილანელო“ ქალაქიდან 50 კილომეტრის მოშორებითაა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპორტული ცენტრია, სადაც 340 ადამიანი მუშაობს. ბაზაზე ექვსი სტანდარტული მოედანია, პლუს ხუთი დამხმარე მოედანი. კიდევ, ერთი სარბიელი ქვიშისაა. „მილანელოს“ დიდი ტერიტორია უჭირავს, სადაც მინდვრების გარდა ოფისები, პრეს-ცენტრი და ორი რესტორანია — აქედან ერთი სტუმრებისთვის. პლუს, საბილიარდო, ბარი, სამედიცინო ცენტრი...

— მწვრთნელების გარდა, გუნდის სხვა პერსონალის მუშაობაზე რას იტყვით?

— მინდორზე ოთხი მასაჟისტია, ოთხნი კი გასახდელში არიან, სადაც ინდივიდუალურად უვლიან ტრავმირებულ ფეხბურთელებს. მწვრთნელებს რაც შეეხება: ანჩელოტის გარდა, კიდევ შვიდნი არიან, რომლებსაც სპეციალური დავალებები აქვთ. საერთო ჯამში „მილანის“ წვრთნა ნახევარ დღეს გრძელდება. მაგალითად, სამ საათზე თუ იწყება ვარჯიში, პირველზე ყველანი მოდიან და გამიკვირდა, რომ გუნდმა წვრთნის დაწყებამდე ორი საათით ადრე ისაუზმა. აი, თამაშის დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. ისე, სამწვრთნელო პროცესისას ცოტათი ვიგრძენი იტალიური პიეონობა, როცა ფეხბურთელები ბაზაზე საკუთარი მანქანებით მოძრაობდნენ. მაგრამ როცა მინდორზე გამოდიოდნენ, ყველაფერი მორჩენილი იყო — მხოლოდ ვარჯიში და მუხლჩაუხრელი შრომა. არ მახსენდება, რომელიმე ფეხბურთელს თავი დაეზოგოს ან ებუზღუნოს.

— რომელმა ფეხბურთელმა დატოვა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— პაოლო მალდინი 20 წელზე მეტია, „მილანშია“ და ალალად გეუბნებით: რომ არ მცოდნოდა, მალდინი იყო, ვერ გამოვიცნობდი. ეს არის მორიდებული, უშუალო, სალმიანი პიროვნება, ყველასთან მეგობრული ურთიერთობა აქვს. ვარჯიშზე მალდინი 14 წლის ურუგვაელ ტალანტს თავისი ტოლივით ელაპარაკებოდა, ასწავლიდა. ურუგვაელი საერთო ჯგუფში ვარჯიშობს... დიახ, 14 წლისაა. მისი ასაკი რომ არ ეთქვათ, ვერ დავიჯერებდი. ახლა მივხვდი, მალდინი როგორ ინარჩუნებს ფორმას — მისთვის წარმოუდგენელია ვარსკვლავური ავადმყოფობა. მინდა, რომ ჩემმა შეგირდებმა ეს კარგად გაიგონ. მალდინი მაგალითია. მოხარული ვარ, რომ კალაძის დახმარებით ვნახე ის, რაც ბევრ მწვრთნელს არ უნახავს. ასეთი სტაჟირებები სტიმულს გაძლევს, თავდაჯერებას გმატებს... რაც „მილანში“ ვნახე, „დინაბურგში“ გადმოვიტან. ეს აუცილებლად დამეხმარება თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვასილ და იოსებ სტალინები


შამილ ბასაევი


უსამა ბინ ლადენი


ფიდელ კასტრო


კაუდილიო ფრანკო


იოანე პავლე II


ალექსანდრ ლუკაშენკო

გახსოვთ, როგორ იწყებოდა მუნდიალ-98-ისას მატჩების ტელერეპორტაჟები, როცა საფრანგეთის ნაკრები თამაშობდა? ლორან ბლანი თავზე კოცნიდა ფაბიენ ბარტეზს, მერე კი აჩვენებდნენ ლოჟაში ნაკრების მაისურით გამოჭიმულ პრეზიდენტ ჟაკ შირაკს, რომელსაც საფრანგეთის ნაკრების ყველა გატანილი გოლი და ყველა მოგება ბავშვივით უხაროდა, ცქმუტავდა... ერთი სიტყვით, ხარობდა საფრანგეთის პრეზიდენტი, ხარობდა სულით და გულით... ხშირად გაიგონებთ, პოლიტიკა და ფეხბურთი განუყოფელიაო. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და სხვა თემას შევეხებით, მაგრამ ზოგი პოლიტიკოსი რომ თვით ესპანელ „მანოლოზე“ ნაკლები ფანი არ არის, ესეც ხომ ვიცით... ერთ-ერთ რუსულ ვებ-გვერდზე საინტერესო მასალას მივაგენით: ვის გულშემატკივრობენ ცნობილი პოლიტიკოსები და რა სახით ერევიან ამა თუ იმ კლუბისა თუ ნაკრების საქმეებში. პოლიტიკოსთა შორის გარდაცვლილ „ფეხბურთომანიაკებზეც“ წერია და ჩვენთვის ყველაზე საინტერესო... გამოიცანით, ლავრენტი ბერიაა — კაცი, რომელსაც განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა მთელ საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით, საქართველოში...



# მოზერიებული ამბები

## წააგებთ? ტყვია გელით!

1936 წელს ლავრენტი ბერიამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი თბილისის „დინამოს“. იმ წელს ვერაფერი, მაგრამ 1939-ში ყველაფერი ილონა, რათა საბჭოეთის თასი არაგვისა და მტკვრის ნაპირებთან დაბინავებულიყო. ბერიამ ნახევარფინალი გადაათამაშებინა მოსკოვის „სპარტაკთან“, რომელიც „დინამოს“ უკვე წაგებული ჰქონდა.

მაინც ვერაფერი: თბილისელები 2:3 დამარცხდნენ.

საბჭოეთის ფეხბურთის კავშირის ხელმძღვანელ ნიკოლაი სტაროსტინის თქმით, ბერია ისე განიცდიდა „დინამოს“ წაგებას, რომ ერთხელ კაბინეტში მაგიდა გადააყირავა საპატიო სტუმრების თვალწინ. ეს, რაც სტაროსტინმა ნახა, თორემ ლავრენტი პავლოვიჩის ემოციები მაგიდის გადაყირავებასაც სცდებოდა ხოლმე...

„სპარტაკთან“ წაგება მაინც არ აპატია ძმებ სტაროსტინებს — ისინი მალე რეპრესიებში მოჰყვნენ და მძიმე წლები გამოიარეს.

ბერია „დინამოს“ მარტო გულშემატკივარი კი არა, კლუბის საპატიო ხელმძღვანელი გახლდათ. მისი მეშვეობით „დინამოს“ ახალწვეულ ფეხბურთელებსაც კი ოფიცრის წოდებას აძლევდნენ, იმ დროისთვის საკმაო ხელფასებსაც უნიშნავდნენ და...

სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარი ყოფილი ფეხბურთელი გახლდათ, ერთ-ერთ ქართულ კლუბში მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა და ცნობილია, რომ მინდორზეც „ის“ ბერია იყო — რა ჯენტლმენობა, რის მეტოქისადმი პატივისცემა...

ნიკოლაი სტაროსტინი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ფეხბურთი წლების განმავლობაში“, იხსენებს, როგორ არჩევდა ბერია „დინამოს“ წაგებულ მატჩს...

*„მთელი კლუბი მის კაბინეტშია...*

***— ერთი კითხვა მაქვს რა ხდება?***

*კაბინეტში ისეთი სიჩუმეა, სამარე გეგონებათ... პასუხი იგვიანებს, სიტყვის თქმას ვერავინ ბედავს. ბერიამ პენსნე მოიხსნა და...*

*— გელოდებით...*

*— „სპარტაკში“ უფრო ბევრს უხდიან — გაბედა ერთ-ერთმა.*

*— როგორ? „пух и перья“ უფრო ბევრს იღებენ, ვიდრე ჩეკისტები? კიდევ?*

*— დაცვაშია პრობლემები...*

*— იქნებ, დაცვაში მექვემხეების ბატალიონი დავიყენოთ? ეს შესაძლებელია, მაგრამ იცოდეთ, თქვენი ზურგებიც სამიზნეზე იქნება...*

P.S. ეს გასაგებია, მაგრამ რუს ჟურნალისტს რატომღაც ის აღარ უწერია, როგორ წაართვეს თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობა 1953 წელს.

## იოსებ? არა, ვასილი სტალინი

იოსებ სტალინს ფეხბურთი არ უყვარდა. ერთხელ ზეიმის დროს „სპარტაკის“ პირველი და მეორე გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს და სტალინმა მხოლოდ პირველ ტაიმს გაუძლო, მას შემდეგ კი სტადიონზე აღარც მისულა.

სამაგიეროდ, მისი ვაჟი, ვასილ სტალინი იყო ფეხბურთის მოყვარული. მან ჰოკეისა და ფეხბურთის კლუბებიც შექმნა — ორივეს ვვს ერქვა. ვასილი ფეხბურთელებს იპარავდა... დიახ, მიიყვანდა მათ თავის აგარაკზე, კარგ დროს ატარებინებდა და მერე გუნდში ჩარიცხავდა.

1947 წელს სწორედ სტალინ-უმცროსის გულის მოსაგებად, ვვს უმაღლეს ლიგაში დატოვეს — ერთით გაზარდეს გუნდების რაოდენობა.

## დღევანდელი რუსეთი: ვის გულშემატკივრობს პუტინი?

ჩვენი „კეთილი მეზობლის“ „საყვარელი“ პრემიერ-მინისტრი ოფიციალური ვერსიით, სანქტ პეტერბურგში კი არის დაბადებული, მაგრამ „ზენიტს“ არ ქომაგობს. მისი ფავორიტი ცსკა ყოფილა, აკი, კლუბის პრეზიდენტ ევგენი გინერთან მეგობრობს კიდეც.

ცსკა-ს გულშემატკივარია მოსკოვის მერი იური ლუჟკოვიც.

და რომან აბრამოვიჩი? ამბობენ, ცსკა უყვარსო, მაგრამ რამ აყიდვინა 217 მილიონ ეროდ „ჩელსი“?

თუმცა კაცი, რომელიც სიმდიდრით მსოფლიოში 49-ეა, ევროპაში 22-ე და რუსეთში მე-2, რატომაც არ შეიძენდა, მდიდარ ინგლისურ კლუბს...

რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის გიჟმაჟი ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი „სპარტაკის“ ქომაგი ყოფილა და თან, როგორი...

„სახალხო გუნდის“ ყოფილმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა თქვა, ჟირინოვსკი ყოველთვის ესწრებოდა ჩვენს საშინაო მატჩებს, ფანებში „სპარტაკის“ მაისურით იჯდა და როცა მოვიგებდით, მხურვალედ გვილოცავდა, ბანკეტებზეც მოდიოდა და მხიარულობდაო...

## შამილ ბასაევი ფეხბურთელი იყო

შარშანწინ მოკლული ჩეჩნეთის რესპუბლიკის გენერალი შამილ ბასაევი გროზნოს „ტერეკის“ გულშემატკივარი რომ იქნებოდა, ეს ორჯერ ორი ოთხია. ბასაევი თავის დროზე ფეხბურთელიც იყო და წარმოიდგინეთ, ომის დროსაც კი აგორებდა ბურთს, თუმცა ბოლო წლებში ნაჭრილობევი ფეხი აღარ აძლევდა ამის საშუალებას.

## აჩვენეთ წითელი ბარათი ლუკაშენკოს!

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო მარტო ქომაგი კი არ არის, თვითონაც ხშირად თამაშობს ფეხბურთს. თვითმხილველები ამბობენ, ლუკაშენკო მინდორზე ძალიან აგრესიული და დაუნდობელიაო.

„მის წინააღმდეგ თამაში სასჯელია, სულ წესებს არღვევს, თუმცა მსაჯები ვერაფერს ეუბნებიან“ — ამბობს ერთ-ერთი ინკოგნიტო ბელარუსი.

ისე, ხშირად გაიგონებთ, ბატე-ს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაში ლუკაშენკოს ხელი ურევიაო.

## იოანე პავლე II და ლაციო-ბარსელონა

დიახ, რომის ყოფილი პაპი იოანე პავლე მეორეც არ იყო ბურთთან უბრად. კარგადაც თამაშობდა, თუმც მერე სათხილამურო სპორტმა უფრო გაიტაცა. მართალია, იოანე პავლე II პოლონელი იყო, მაგრამ „ლაციოსა“ და „ბარსელონას“ ქომაგობდა.

და მერე რა, რომ „ბარსა“ მოსწონდა? ამას სულაც არ შეუშლია ხელი, მადრიდის „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად დაელოცა...

## პრინც უილიამის ასტონ ვილა და ტონი ბლერის ნიუკასლი

დიდი ბრიტანეთის პრინცი უილიამი „ასტონ ვილას“ ფანი ყოფილა.

„ჩემს სამეგობროში ყველანი ან „მანჩესტერ იუნაიტეტს“ ქომაგობენ, ან „ჩელსის“, მე კი „ვილა“ მიყვარს“ — ამბობს უილიამი.

„ნიუკასლსაც“ ჰყავს პოლიტფანები, ერთ-ერთი მათგანი კი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერია.

## ფიდელ კასტრო და დიეგო მარადონა

კუბის დიქტატორ ფიდელ კასტროსთვის ფეხბურთი „ერთი მსახიობის თეატრივითაა“. ის არა ფეხბურთის, არამედ მხოლოდ დიეგო მარადონას ფანია — თუმც იმასაც ხომ ხშირად გაიგონებთ, მარადონა თვითონ ფეხბურთიაო.

როცა დიეგო კუბაში ნებივრობს, უფროს ძმაკაცს თურმე საფეხბურთო გაკვეთილებსაც უტარებს — ტექნიკა-ტაქტიკაზე ესაუბრება ხოლმე...

## თოფის კაცი მეთოფეებთან

უსამა ბინ ლადენი ადრე ხშირად უნახავთ „არსენალის“ თამაშებზე. მსოფლიოს №1 ტერორისტი თავის შვილს ლამის ყოველ დაბადების დღეზე „მეთოფეების“ ფორმის ახალ კომპლექტს ჩუქნის.

ბინ ლადენი ჯეელობაში ყოჩაღად თამაშობდა ფეხბურთსო: სიმაღლის წყალობით თავს „ჩაქუჩივით“ ხმარობდა, განსაკუთრებით კი თავდასხმაში ვარგობდაო.

## ორი ფრანკო და ერთი დი სტეფანო

ვინ არ იცის, რომ ესპანეთის გენერალი და სასწაული ძალაუფლების მქონე კაუდილიო ფრანკო მადრიდის „რეალის“ თავგადაკლული ქომაგი იყო.

ფრანკო ესპანეთში ისე ეზიზღებოდათ, რომ იქაური ინტელიგენცია ჯიბრზე „ბარსელონას“ გულშემატკივრობდა.

1979 წელს იოჰან კრუიფის „ბარსელონამ“ 5:0 რომ მოუგო „რეალს“, ფრანკო რეანიმაციაში წასაყვანი გახდა.

პირინეიზე ასეთი ანეკდოტი დღესაც „მოდაშია“...

ფრანკო მადრიდში სეირნობდა და ერთ ბიჭთან მივიდა:

— რა გინდა გაჩუქო, ჩიკო?

— ორი ავტოგრაფი...

— რატომ ორი?

— მაგ ორს დი სტეფანოს ერთ ავტოგრაფში გავცვლი...

ამბობდნენ, ფრანკომ იცოდა ეს ანეკდოტი და არ ბრაზდებოდაო...

**ილია ნანობაშვილი**



# ცრუმორწმუნე არ ვარ!

## ოთარ მარცვალაძე: ზესტაფონიდან არავინ დამკავშირებია...

ოთარ მარცვალაძის ფეხბურთელობაში უდიდესი წვლილი მის უფროს ძმას, ალექსანდრე შეყრილაძეს მიუძღვის, ვინც წლების წინ ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდა. იყო დრო, მარცვალაძე საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ თვეების წინ გადატანილმა მძიმე ტრავმამ საკმაოდ შეაფერხა მისი კარიერა — ოთარი ძმასთან ერთად ავარიაში მოჰყვა და ბეწვზე გადარჩა. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ცოტა ხნის წინ კიევის „დინამოდან" მახაჩყალის „ანჟიში" გადავიდა... ოთარი ახლა თბილისშია, ახალ გუნდს ნაახალწლევს შეუერთდება, იქამდე კი „სარბიელს" ესაუბრა...

## როცა შეყვარებული ვარ, საქმეს უკეთ ვაკეთებ

**— ოთარ, ყოველ ახალ წელს სამშობლოში ხვდები ხოლმე?**

— ახალ წელს ყოველთვის აქ ვარ. მიყვარს, როცა 12 საათს ოჯახის წევრების და მეგობრების გარემოცვაში ვხვდები. საახალწლო სურვილის ჩაფიქრებაც მიყვარს და მისი ასრულებისაც მჯერა. ჩემი ახლანდელი საახალწლო სურვილი მშვიდობაა და ღმერთმა ქნას, ასე იყოს!

**— საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდი... როგორ ფიქრობ, რატომ ვერ გაამართლე იმედები?**

— გაცილებით მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ ტრავმებმა საგრძნობლად დამწია უკან. ფიზიკურად ჯერაც არ ვარ საუკეთესო ფორმაში. მეტი რა გითხრათ...

**— რატომ გადახვედი კიევის „დინამოდან" მახაჩყალის „ანჟიში"?**

— კიევის „დინამო" დიდი ტრადიციების გუნდია, მაგრამ ისევ ტრავმების გამო შემეშალა ხელი. მეც სარეზერვო გუნდში თამაშს რუსეთის პირველ დივიზიონში თამაში ვამჯობინე. „ანჟიში" გადასვლა ფინანსური თვალსაზრისითაც გამართლებული ნაბიჯია.

**— „ანჟიში" გადასვლამდე კი ბევრი „ზესტაფონში" გადასვლას გიწინასწარმეტყველებდა...**

— არ ვიცი... „ზესტაფონიდან" არავინ დამკავშირებია და არც შემოთავაზება მქონია.

**— საქართველოს ნაკრებზეც ვისაუბროთ. როდის დაემსგავსება გუნდი გუნდს?**

— ნაკრების თამაშამდე ხუთი დღით ან ერთი კვირით ადრე ვიკრიბებით და ეს დრო საკმარისი არ არის სრული შეთამაშებისთვის. უფრო ადრე შეკრება კი, გასაგებ მიზეზთა გამო, ვერ ხერხდება. სადღეისოდ ნაკრებში მშვენიერი, სამუშაო განწყობაა, ბიჭები ერთმანეთთან ახლოს ვართ, მწვრთნელიც კარგი გვყავს და...

**— საკმაო პაუზის შემდეგ ნაკრებში რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში დაბრუნდი და გოლიც გაიტანე. თამაშის შემდეგ ექტორ რაულ კუპერთან ხომ არ გისაუბრია?**

— კუპერთან პირადად არ მისაუბრია, მაგრამ მჯერა, რომ შანსს კიდევ მომცემს.

**— სხვაზეც ვთქვათ: მოედანზე გასვლის წინ რაიმე რიტუალი თუ გაქვს?**

— ცრუმორწმუნე არ ვარ, არც თილისმა მაქვს. თამაშის დაწყებამდე წინ აუცილებლად ვამბობ „მამაო ჩვენოს" და ვიწერ პირჯვარს.

**— შენი ბავშვობის იდეალი...**

— ბავშვობაში აღფრთოვანებული ვიყავი რონალდოს თამაშით. ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა. რონალდო ახლაც მომწონს, მაგრამ მიბაძვას უკვე ნაკლებად ვცდილობ.

**— რამდენს ნიშნავს შენთვის გულშემატკივარი?**

— აქტიურ მაყურებელს და მათ სიყვარულს დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია, მოედანზე ფეხბურთის გარდა ვერაფერზე ფიქრობ, მაგრამ ტრიბუნებიდან დიდი მუხტი მოდის, რაც უკეთ თამაშში გეხმარება.

**— და როცა მაყურებელთა შორის საყვარელი ადამიანია...**

— მით უკეთესი. უფრო მეტი მიზეზი გაქვს მაქსიმუმის გასაკეთებლად. ვერ ვიტყვი, რომ სიყვარული ჩემს ქცევებში მკაფიოდ აისახება, რადგან აჟიტირებული სიყვარულის ასაკი 17-18 წელია, მე კი ამ ასაკს უკვე გადავაბიჯე. უბრალოდ, როცა შეყვარებული ვარ, უკეთ ვაკეთებ ჩემს საქმეს.

**— გულშემატკივარი გოგონების ყურადღებით განებივრებული იქნები...**

— კიევში, ცხადია, ასე იყო, აქ კი უფრო თავშეკავებულად იქცევიან. რუსეთშიც ყველანაირად ცდილობენ გოგონები, შენი ყურადღება მიიქციონ...

**— და ბოლოს, როდის უნდა შეუერთდე „ანჟის"?**

— 4 იანვარს მივემგზავრები. გუნდთან ერთად შეკრებაზე მივდივარ ანთალიაში... წასვლამდე კი, მინდა გისურვოთ ბედნიერი შობა-ახალი წელი და ყოველი კეთილი სურვილის ასრულება!

**ანა მახარაშვილი**

# ბავშვის სწორ გზაზე დაყენებას ცოდნა უნდა!

„სარბიელი" აგრძელებს საფეხბურთო სკოლების შემოვლას. ამჯერად „ოლიმპის" სკოლას ვესტუმრეთ და 1998 წელს დაბადებულ ბავშვთა მთავარ მწვრთნელს ვოვა მუსერიძეს გავესაუბრეთ...

**— მწვრთნელის ლიცენზიას თუ ფლობთ?**

— დიდი ხანი არ არის, რაც C ლიცენზია ავიღე. სხვათა შორის, ჩვენს სკოლაში ყველა მწვრთნელს გააჩნია ლიცენზია, სხვანაირად აქ ვერ იმუშავებს.

**— საქართველოში თითქმის ყველა სკოლა თვითდაფინანსებაზეა, თქვენთან როგორ არის საქმე?**

— ჩვენც თვითდაფინანსებაზე ვართ. ჩვენთან წლიური გადასახადია — ერთი ბავშვი 575 ლარს იხდის, ამაში შედის ეკიპირება, ბურთები, აუზის მომსახურება და ასე შემდეგ.

**— შეღავათები თუ ვრცელდება?**

— 1998-წლიანთა ჯგუფში ორ ბავშვს შეღავათი აქვს, სამი ნიჭიერი ბავშვი კი საერთოდ განთავისუფლებულია გადასახადისგან. საერთოდ, 14 წლის ზემოთ ჩვენს სკოლაში გადასახადს აღარ ახდევინებენ.

**— კვირაში რამდენი ვარჯიში აქვს ამ ჯგუფს?**

— სამი ვარჯიში და ერთი თამაში. მეტმა დატვირთვამ შეიძლება გადაწვას ბავშვები.

**— რამდენი თანაშემწე გყავთ?**

— 1998-წლიანებში ჩემი თანაშემწე ნოდარ ჭელიძეა, 1997 წელს დაბადებულებთან კი ნოდარს მე ვეხმარები. ამ ასაკში ახლახან ბენდელას თასი მოვიგეთ. „ოლიმპის" სკოლას მეკარეების მწვრთნელიც ჰყავს — გია ბაბუაძე.

**— სამედიცინო შემოწმებას თუ გადიან ბავშვები?**



ნუგზარ ს. უსარიძის ფოტო

— რა თქმა უნდა, წელიწადში ორჯერ.

**— პატარა ასაკში რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ბავშვისთვის შენიშვნის უხეშად მიცემა?**

— პატარას გამხნევება სჭირდება, მისი ჩარჩოში ჩასმა დაუშვებელია.

**— და ფიზიკური დატვირთვები როდისაა სასურველი?**

— მე მყავს 1992-წლიანებიც და მათ ახლა ნელ-ნელა ვაჩვევ დატვირთვებს. არასწორი ვარჯიშების გამო ბევრს მოგვიანებით წელის ტკივილი აწუხებს, სიმაღლეში ველარ იზრდებიან, მუხლის ტრავმებიც ხშირია... ასე რომ, ბავშვების სწორ გზაზე დაყენებას ცოდნა სჭირდება.

**— თქვენ საიდან იღებთ ხოლმე მწვრთნელისთვის აუცილებელ სიახლეებს?**

— უცხოეთიდან მეგობრები მამარაგებენ ლიტერატურით და დისკებით. გამოცდილ მწვრთნელებსაც ვეკითხები რჩევებს... ჩვენს სკოლაში რამდენიმე გამოცდილი სპეციალისტი მუშაობს — მაგალითად, შოთა ჭეიშვილი, მისგან ბევრი საჭირო ინფორმაცია მიმიღია. ნეტავ, ვინმემ რჩევა მომცეს და ამას როგორ ვითაკილებ.

**— საბჭოთის დროს ფეხბურთელებს სასტიკად უკრძალავდნენ წყლის დალევას და საერთოდ სითხის მიღებას. დღეს კი, აღმოჩნდა, რომ ეს მცდარი მოსაზრება იყო...**

— მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სპორტსმენმა, რაც შეიძლება, მეტი სითხე უნდა მიიღოს. ამდენ ენერგიას რომ დახარჯავ, ის სითხით უნდა აღიდგინო.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის მთავარი პრობლემა რა არის?**

— ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს და, რა თქმა უნდა, მწვრთნელთა განათლებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

**— თქვენი სკოლიდან თუ მიდიან მწვრთნელები უცხოეთში სემინარებზე?**

— რამდენიმე მწვრთნელი დაესწრო სემინარს ევროპაში.

**— ბავშვებს უშვებთ სტაჟირებაზე?**

— „ფონდი არველაძის" ხელშეწყობით გაისად, მაისში ჰოლანდიაში ჩვენი სკოლიდან ექვსი ბავშვი გაემგზავრება.

**ნუკრი ლოლაძე**

# დარბაზი მილიონ დოლარად

## შოუ პირიქით: სპორტსმენებმა მეცენატები დაასაჩუქრეს



მედეა ჯუღელი და თემურ ჭყონია



რამაზ გოგლიძე და შოთა ხაბარელი



მიხო სვიმონიშვილი, დავით გობეჯიშვილი და გია ნაცვლიშვილი



გიორგი რამიშვილი და გელა კეტაშვილი



რევაზ ჩომახიძე, ნინო სალუქვაძე და პაატა კურტანიძე

**საქართველოს** ოლიმპიურმა კომიტეტმა მუსკომედიის თეატრში წელი შეაჯამა, გამორჩეული სპორტსმენები დაასახელა და მეცენატთა დარბაზის პრეზენტაციაც მოაწყო.

მუსკომედიის თეატრში მოქმედმა და ძველმა სპორტსმენებმა, ფედერაციების წარმომადგენლებმა, ბიზნესმენებმა, ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა მოიყარეს თავი.

თავიდან პეკინის ოლიმპიადის მედალოსნები: ნინო სალუქვაძე, ოთარ თუშიშვილი, ირაკლი ცირეკიძე, რევაზ მინდორაშვილი და მანუჩარ კვირკველია სამკერდე ნიშნებით დააჯილდოვეს. ასევე დაასაჩუქრეს გიორგი გოგშელიძეც, თუმც ის ღონისძიებას ვერ დაესწრო და პრიზი მერე გადაეცემა.

ამის შემდეგ, მეცენატთა დარბაზის წევრთა წარდგენა მოხდა.

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი: „მეცენატთა დარბაზის შექმნა განსაკუთრებული მოვლენაა. ამ იდეას ბევრი პესიმისტურად უყურებდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. მადლობა მინდა ვუთხრა დარბაზის ყველა წევრს მხარდაჭერისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური კრიზისია, მათ უარი არ უთქვამთ დახმარებაზე. ეს ხალხი მონდომებულია და სურთ რომ დაეხმარონ ისეთ სახეობებს, რომლებშიც ადრე წარმატებები გვქონდა და ახლა გვიჭირს. ამ ადამიანების მხარდაჭერით ლონდონის ოლიმპიადაზე უკეთ გამოვალთ.

აქვე მადლობა უნდა ვუთხრა სახელმწიფოს. ოლიმპიური კომიტეტი არსებობის მანძილზე ფინანსურ დახმარებას პირველად მიიღებს".

ნაცვლიშვილის სიტყვას მეცენატთა წარდგენა მოჰყვა. თითოეული მათგანი ვეტერანმა თუ მოქმედმა ოლიმპიელებმა დაასაჩუქრეს.

**თემურ ჭყონიას** („კოკა-კოლას" პრეზიდენტი) მზია ჯუღელმა, 1952 წლის მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონმა, თავისი მაისურა გადასცა.

**მანუჩარ ახალაიას** (სააქციო საზოგადოება „მადნეულის" გენერალური დირექტორი) რომან რურუამ თავისი ფორმა გადასცა.

**გიორგი რამიშვილს** („ბი თი ეი" ბანკის დამფუძნებელი) გელა კეტაშვილმა გადასცა საბჭოთა ნაკრების მაისურა, რომლითაც ოლიმპიადა მოიგო.

**ზაზა რაზიკაშვილს** (კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზიდენტი) ქეთევან ლოსაბერიძემ ისარი აჩუქა, რომელიც 1972 წელს მიუნხენში მოგებული ოლიმპიადის დროს ისროლა.

**ვალერი კონიავსკის**, ვინც ახლახან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო („ერ სი აი ჯორჯიას" პრეზიდენტი) მაია ჩიბურდანიძემ ჭადრაკის დაფა აჩუქა.

**გელა მიქაძეს** („რაკ ჯორჯია ჰოლდინგის" გენერალური დირექტორი) ვახტანგ ბლაგიძემ აჩუქა მაისურა.

**პაატა კურტანიძეს** (კომპანია „ავერსის" პრეზიდენტი) 1988 წლის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ მაისურა, ხოლო წყალბურთელმა რევაზ ჩომახიძემ წყალბურთელის ქუდი გადასცა.

**მიხო სვიმონიშვილს** (კომპანია „წყალი მარგებლის" დამფუძნებელი) დავით გობეჯიშვილმა გადასცა ფორმა.

**ზაზა ქათამაძე** („ლუკოილის" პრეზიდენტი) და გიგი ღლონტი (სახალხო ბანკის პრეზიდენტი) შეხვედრას ვერ დაესწრნენ. მათ შესაბამისად, გიორგი ასანიძის და რაფაელ ჩიმიშკიანის სპორტულ ფორმებს გაუგზავნიან.

ყველაზე მეტად მაინც გიგი ღლონტს გაუმართლა. მან ის ფორმა მიიღო, რომლითაც 1952 წლის მელბურნის ოლიმპიადაზე რაფაელ ჩიმიშკიანი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

საჩუქრების დარიგების შემდეგ არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი დადგა. გია ნაცვლიშვილმა ის თანხა დაასახელა, რომელსაც ეს ათი ბიზნესმენი ქართული სპორტისთვის გაიღებს — მილიონი დოლარი. სხვათა შორის, ეს ამბავი ნაცვლიშვილმა „სარბიელს" ორი კვირით ადრე ინტერვიუშიც უთხრა.

მერე კი სეოკ-ის რჩეულების დასახელების დროც დადგა. აქვე ვთქვათ, რომ პირველად წლის სპორტსმენები თავად ოლიმპიურმა ჩემპიონებმა გამოავლინეს.

საუკეთესო მწვრთნელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია გახდა. მას თასი პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა ლევან ყუბანეიშვილმა გადასცა და იქვე გვითხრა, 2010 წლის ვანკუვერის და 2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადას ჩვენი არხი აჩვენებსო.

საუკეთესო გუნდის ტიტული ძიუდოისტებმა მიიღეს. გამორჩეული სპორტსმენი კი ირაკლი ცირეკიძე გახდა.

საღამო ნინი ქათამაძის კონცერტით დასრულდა.

**ნიკა ძოპაძე**

**ნუგზარ სუარიძის ფოტოები**



გიორგი ასანიძე, ნონა გაფრინდაშვილი და „ლუკოილის" წარმომადგენელი შალვა მიშველაძე



მანუჩარ ახალაია და რომან რურუა



რაფაელ ჩიმიშკიანი



ბეგი დარჩია და ლევან ყუბანეიშვილი



ვალერი კონიავსკი



ზაზა რაზიკაშვილი და ქეთევან ლოსაბერიძე



გია ნაცვლიშვილი და ირაკლი ცირეკიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სამურაის ხმალი, თავად მიხვდით, ვისთვისაც...



ვიტო კოლელიშვილი

**რაგბის** ამქარმა განვლილი წელი შეაჯამა და გამორჩეული მორაგბეები, მწვრთნელი და მსაჯი დააჯილდოვა. უყურადღებოდ არც ვეტერანი მორაგბეები დატოვეს.

რაგბის კავშირს დაჯილდოვების ორგანიზებაში კომპანიები „ჯი თი ჯგუფი“ და „კავკასუს როუდ პროჯექტი“ დაეხმარნენ. მასპინძლობა კი წმინდა გიორგის საერო სკოლამ გასწია...

თავიდან რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ ვეტერან მორაგბეებს „ვულე-ვუს“ საჩუქრები გადასცა, მერე კი სხვადასხვა ნომინაციებში გამორჩეულების გამოვლენის დროც დადგა.

ჩემპიონ „ლოკომოტივს“, მეორე ადგილზე გასულ „ლელოს“ და მესამეადგილოსან „ყოჩებს“ კუთვნილი მედლები ჩამოურიგეს.

წლის კორექტული გუნდის წოდება ქუთაისის „აიამ“ მიიღო და „ორიფლეიმის“ პროდუქციით დასაჩუქრდა.

საუკეთესო მსაჯად უჩა ნარიმანიძე დაასახელეს. ის კომპანია „კავკასუს როუდ პროჯექტმა“ დააჯილდოვა.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მელელოვე „არმაზის“ კაპიტანი გიორგი სოსელია გახდა, ვისაც „ჯი თი სიმ“ მუსიკალური ცენტრი გადასცა.

ჩემპიონატის ბომბარდირი ლოკომოტიველი ბობა კვინიხიძე გახდა და DHL-სგან ტელევიზორიც მიიღო.

გამორჩეულ მწვრთნელად „ლელოს“ თავკაცი ლევან მაისაშვილი დაასახელეს. კომპანია „გლობალ ჯორჯიამ“ მას სადაზღვევო ბარათი გადასცა.

ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბედ ლელოელი ვიტო კოლელიშვილი დაასახელეს. მან PXL-სგან ვიდეო კამერა მიიღო.

ამის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატიდან გამორჩეული მორაგბეების საკლუბო ნაკრები დაასახელეს და სახელობითი მაისურებიც გადასცეს:

**გიორგი ასათიანი** (ლოკომოტივი), **ირაკლი გეგენავა** (ყოჩები), **ბესო ნარიძე** (აკადემია), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო), **ალექსანდრე ტუჩაშვილი** (ლოკომოტივი), **ლაშა ხმალაძე** (ლელო), **ირაკლი ღვინჯილია** (ლოკომოტივი), **ზვიად მაისურაძე** (ლოკომოტივი), **ვატო კოლელიშვილი** (ლელო), **ილია მაისურაძე** (ლელო), **ვახტანგ მაისურაძე** (ლელო), **დავით ჩიტაძე** (ლოკომოტივი), **გიორგი ნაცარაშვილი** (ლოკომოტივი), **ჯაბა ბრეგვაძე** (ყოჩები), **ბადრი ყალიჩავა** (ლელო).

ბოლოს კი წლის საუკეთესო მორაგბის დასახელების დროც დადგა, გია ნიჟარაძემ საქართველოს ნაკრების და ფრანგული „მონპელიეს“ მეორეხაზელი მამუკა გორგოძე დაასახელა. გორგოძეს „სოსიედად ჯენერალისგან“ 2 000 ევრო გადაეცა.

მერე კი გიან ნიჟარაძემ გორგოძეს სამურაის სამი სხვადასხვა ზომის ხმალი აჩუქა და ეს უთხრა: „პატარა ხმალი ესპანეთისთვის და გერმანიისთვის, საშუალო პორტუგალია-რუმინეთისთვის, დიდი ხმალი კი თავად მიხვდით, ვისთვისაა...“

**ნიკა ძოწაძე**



რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე



# ქომაგი თქვით, თორემ რუსეთი სად წაგვივა

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ მეორეხაზელი მამუკა გორგოძე საფრანგეთის ჩემპიონატის ნოემბრის თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ეს ამბავი წინა „სარბიელში“ გაუწყეთ. თუმცა მალევე ფრანგებმა გამოკითხვის შედეგები რატომღაც შეცვალეს და ქართველი მხოლოდ მესამე ადგილს დააჯერეს. საუკეთესო ფრანგი, „ბაიონის“ 29 წლის მორკინალი რემი მარტინი გახდა. სამაგიეროდ, რაგბის კავშირმა გორგოძე შაბათს წლის საუკეთესო ქართველ მორაგბედ დაასახელა...

**მამუკა გორგოძე** ერთი კვირა სამშობლოში იმყოფებოდა, და წლის მორაგბედ აღიარებამდე ერთი დღით ადრე ვესაუბრეთ

— ვერ გეტყვით, რა მოხდა. რა ინფორმაციასაც თქვენ ფლობთ, მეც იგივე ვიცი. ბოლო დრომდე ვიცოდი, რომ საფრანგეთის ნოემბრის საუკეთესო მოთამაშე ვიყავი. თუმცა საქართველოში წამოსვლის წინ გავიგე, რომ ეს ტიტული ჩამომართვეს და პირველ ადგილზე ფრანგი რემი მარტინი გავიდა.

**— მაინც რა მოხდა, გამოკითხვის ორგანიზატორებს არაფერი უთქვამთ?**

— გამოკითხვას CANAL+ ატარებს. ჩემპიონატს ისინი აშუქებენ და საუკეთესოც მათ გამოავლინეს. არადა, მე 63 პროცენტი მქონდა, უახლოეს მდევრებს კი 18-18 პროცენტი და რა შეიცვალა ისეთი, რომ ამხელა სხვაობა გამიბათილეს, ვერ ვხვდები. თუმცა სიმართლე გითხრათ, ეს ფაქტი ნაკლებად მაღარდებს. ამაზე ახლა საერთოდ არ ვფიქრობ. რაც უნდა იყოს, მათივე აზრით, ნოემბრის სამ საუკეთესო მორაგბეს შორის მოვხვდი და ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

**— ისე, როგორც ჩანს, კარგი თვე გქონდა...**

— ცუდად ნამდვილად არ მითამაშია — თან 8 ნომრის პოზიციასაც კარგად მოვერგე. მომწონს რვა ნომერზე თამაში და კარგადაც გამომდის. ისე კი, ამ ადგილზე საფრანგეთის ნაკრების მორაგბე ლუის პიკამონი თამაშობს და პირველ ნომრად მაინც ის ითვლება, ძალიან მაგარია. თუმცა მის პოზიციაზე თამაში მხოლოდ მაშინ არ მიწევს როცა, ვთქვათ, ტრავმა აქვს ან ნაკრებშია. ისედაც მათამაშებენ. ახლა კი პიკამონს ტრავმა აქვს და ვერ გვეხმარება.

**— ახლა სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე ხართ. საამსეზონო მიზანი რა არის?**

— გვინდა, რომ ექვსეულში მოვხვდეთ და ჰაინეკენის თასზე ვითამაშოთ. გაისად კი უფრო დიდი მიზნები გვექნება, ოთხეულში შესვლას და პლეი ოფში თამაშს ვეცდებით. გუნდში ახალი პრეზიდენტი მოვიდა და დიდი ამბიციებიც აქვს.

**— გუნდის შემადგენლობა მოგცემთ ამის საშუალებას, თუ გაძლიერება იგეგმება?**

— საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს. ძლიერი მოთამაშეები დავიმატეთ. იგივე, სებასტიან შაბალი. ვფიქრობ, შეგვიძლია ამ მიზნებისთვის ბრძოლა. თან ძალიან შეკრული და მეგობრული გუნდი ვართ. ამ ეტაპზე კი საქმეს ის ართულებს, რომ ბევრი წამყვანი მოთამაშე დამტვრეული გვყავს: ორივე ათი ნომერი, ცხრა ნომერი, ასევე სამი და რვა ნომერი, როგორც უკვე ვთქვი.

**— მოდი, ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. ბევრი ამბობს, რომ მომავალ ერთა თასზე უფრო რთული იქნება თამაში, მეტოქეები გაძლიერდნენ...**

— სხვისი არ ვიცი და, პირადად მე საქართველოს ნაკრები ფავორიტად მიმაჩნია. არ ვუარყოფ იმ აზრს, რომ მეტოქეები გაძლიერდნენ და თითოეულ მატჩში გამარჯვების მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა მოგვიწევს, თუმცა ეს აქამდეც ასე იყო. იოლად ვერავის დავამარცხებ.

**— მსოფლიოს თასის კენჭისყრის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ თითქოს ჩვენთვის უპრიანი C ჯგუფია. ანუ სასურველია, ერთა თასზე მეორე ადგილზე გავიდეთ...**

— რა გითხრათ. ჩვენ მოედანზე უნდა გავიდეთ და მოსაგებად ვითამაშოთ.

**— რუსეთის ნაკრებს კი თბილისში ვერ ვუმასპინძლებთ, არადა, გულშემატკივრის ფაქტორი მნიშვნელოვანია...**

— ჩვენთვის სულ ერთია სად ვითამაშებთ იმ მხრივ, რომ ყველგან მოსაგებად უნდა ვიბრძოლოთ. საქართველოში იქნება ეს თუ საფრანგეთში. ისე კი, გულშემატკივარი სხვა თამაშებზეც მოვიდეს, ჯობია. ამ მხრივ განებივრებულნი მაინცდამაინც არ ვართ...

**ლევან მაისურაძე**

# თბილისმა შვიდკაცა დაკარგა

თბილისი შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ეტაპს ვეღარ უმასპინძლებს. ეს გადაწყვეტილება რაგბის საერთაშორისო საბჭომ მიიღო. ბევრი მარჩიელობა არ უნდა, რომ ეს ცუდი ამბავია. საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს თუ სადმე შეეძლო წარმატების მიღწევა, ეს პირველ რიგში, თბილისის ეტაპზე იყო.

ამგვარი გადაწყვეტილების რეალურ მიზეზებს, სამწუხაროდ, ვერავინ გვეუბნება.

ჩოგბურთი

# სოფო ავსტრალიაში



დამდეგ ახალ წელს ჩოგბურთელებისთვის სეზონი ორიოდე მცირე ტურნირით და ავსტრალიის ღია პირველობით გაიხსნება. მწვანე კონტინენტზე მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები მოიყრიან თავს და სლემისთვის იბრძოლებენ.

სასიხარულოა, რომ ავსტრალიაში ქართველი ჩოგბურთელი **სოფო შაფათავაც** ითამაშებს. ლეილა მესხის მერე, არც ერთ ქართველს ავსტრალიის ღია პირველობაზე არ უთამაშია და შაფათავას გამოსვლა ამითაც არის მნიშვნელოვანი.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ნიჭიერ ჩოგბურთელებს ყურადღება მიექცევათ და დიდ ტურნირებზე ითამაშებენ, რათა ლონდონის ოლიმპიადისთვის თუნდაც ერთმა მათგანმა საგზურის მოპოვება შეძლოს. ამჯერად არჩევანი სოფოზე შეჩერდა და მის ავსტრალიურ ტურნეს სეოკ-ი დააფინანსებს.

შაფათავა ავსტრალიაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება და სარეიტინგო ქულების მოსაპოვებლად იბრძოლებს, რაც მერე საშუალებას მისცემს, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე გამოვიდეს, თუმც იქამდე ჯერ ადრეა. მანამდე კი სოფოს მოვუსმინოთ...

— ავსტრალიაში 5 იანვარს მივდივარ. ახლა კარგ ფორმაში ვარ და იმედი მაქვს, პირველობის დაწყებამდე კონდიციას შევინარჩუნებ. ინტენსიურად ვვარჯიშობ და ძალიან მინდა, კარგად ვითამაშო.

**— როცა გაიგე, რომ არჩევანი შენზე შეჩერდა და ავსტრალიაში მიდიოდი, როგორი რეაქცია გქონდა?**

— ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაში ყველა ჩოგბურთელის ოცნებაა და ბუნებრივია, მეც ძალიან გამიხარდა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი ქვეყანა კარგად წარმოვაჩინო. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

**— ამის გამო ხომ არ ნერვიულობ?**

— არა. ჩოგბურთელი ვარ და საერთაშორისო ტურნირებზე თამაშის გამოცდილებაც მაქვს. უბრალოდ, როგორც ვთქვი, პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

**— და ერთიც, მიზნად რას ისახავ?**

— თამაშს საკვალიფიკაციო ეტაპიდან ვიწყებ და მინდა, რომ ძირითად ბადეში მოვხვდე. ვნახოთ...

**ლეძსო მაისურაძე**

სუმო



ლევან ცაგურია — კოკაი



ლევან გორგაძე — ტოჩინოშინი

# ქართველთა სუმოური როქი

| აღმოსავლეთი | წოდება | დასავლეთი |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | ასასორიუ |
| კოტომიცუკი | ოძეკი | ჩიოტაიკაი |
| კოტოოშუ | ოძეკი | კაიო |
| ჰარუმაფუჯი | ოძეკი | |
| ბარუტო | სეკივაკე | ამინიშიკი |
| კისენოსატო | კომოსუბი | ტოიონოშიმა |
| კოტოშოგიკუ | 1-ლი მაეგაშირა | კიოკუტენჰო |
| მიაბიამა | მე-2 მაეგაშირა | იოშიკაძე |
| ტაკეკაძე | მე-3 მაეგაშირა | გოეიდო |
| ვაკანოსატო | მე-4 მაეგაშირა | **კოკაი** |
| ფუტენო | მე-5 მაეგაშირა | ტაკამისაკარი |
| ბუშუიამა | მე-6 მაეგაშირა | არანი |
| ჰოკუტორიკი | მე-7 მაეგაშირა | დეჯიმა |
| ასასეკირიუ | მე-8 მაეგაშირა | კაკურიუ |
| ტოსანოუმი | მე-9 მაეგაშირა | ჩიოჰაკუჰო |
| ტოკიტენკუ | მე-10 მაეგაშირა | ტოჩინონადა |
| ივაკიამა | მე-11 მაეგაშირა | **ტოჩინოშინი** |
| ტოჩიოძანი | მე-12 მაეგაშირა | კაკიძოე |
| ტამავაში | მე-13 მაეგაშირა | კორიუ |
| ტოიოჰიბიკი | მე-14 მაეგაშირა | მასაცუკასა |
| ტამანოშიმა | მე-15 მაეგაშირა | იამამოტოიამა |
| ჰომაშო | მე-16 მაეგაშირა | |

**ნოემბრის** ბაშოს შედეგების მიხედვით პროფესიული სუმოს ახალი რეიტინგი — ბანძუკე — გამოქვეყნდა.

ლევან ცაგურია, იგივე კოკაი დასავლეთის მე-4 მაეგაშირა გახდა, ხოლო ტოჩინოშინი — ლევან გორგაძე მე-11 მაეგაშირას პოზიციაზე აღმოჩნდა. წინა რეიტინგთან შედარებით, ქართველმა სუმოისტებმა ადგილები გაცვალეს.

კუნძულ კიუშუიზე გამართულ ბოლო ბაშოზე მე-11 მაეგაშირას ტიტულით მოჭიდავე კოკაიმ 9 მოგება და 6 მარცხი დააგროვა და დადებითი ბალანსის წყალობით რეიტინგშიც წაიწია. ტოჩინოშინმა კი „ფუკუოკა კოკუსაი სენთერში" გამართული ტურნირი მე-4 მაეგაშირას ტიტულით დაიწყო და 15 დაპირისპირებიდან მხოლოდ სამის მოგება მოახერხა. რეიტინგში კი მე-11 მაეგაშირობამდე დაქვეითდა. გამოვიდა, რომ ქართველმა სუმოისტებმა როქი გააკეთეს.

მომდევნო ბაშო გაისად 11-25 იანვარს ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში" ჩატარდება.

**ნიძა ძოპაძე**

ჭიდაობა

# ძიუდოომ ჭიდაობა ხალიჩიდან გაიყვანა

**საქართველოს** ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის 17-18 იანვარს დიღომში მდებარე შოთა ჩოჩიშვილის დარბაზში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა პირველობის გამართვის თარიღმა გადაიწია. „ანტიკოსები" ჩემპიონ-პრიზიორებს 5-6 თებერვალს გამოავლენენ.

ამის მიზეზი კი 24-25 იანვარს გასამართი ძიუდოისტთა მსოფლიოს თასის თბილისის ეტაპია. მართალია, შეჯიბრს სპორტის სასახლე უმასპინძლებს, მაგრამ სავარჯიშოდ დიღმის დარბაზიც საჭირო იქნება.

რაც შეეხება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩემპიონატს, ისინი დიღომში 20-21 იანვარს მოიყრიან თავს.

ძიუდო

# ელჩის მოწონებული

**იაპონიის** ელჩი საქართველოში მასამიცუ ოკი დიღომში მდებარე შოთა ჩოჩიშვილის დარბაზს ესტუმრა და ოფიციალურ გახსნაში მიიღო მონაწილეობა. დარბაზის გახსნას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი და სხვა ფედერაციათა წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

ელჩმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში ძიუდოს პოპულარობის გამო და ცნობილი იაპონელი ძიუდოისტის იამასიტას წერილიც წაიკითხა: იამასიტას თბილისში ჩამოსვლა სურდა, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ მოახერხა. დღის მეორე ნახევარში კი მასამიცუ სკა-ს დარბაზში საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრების ვარჯიშსაც დაესწრო.

აქვე ვთქვათ, რომ დარბაზის შეკეთება იაპონიის საგრანტო პროგრამიდანაც ფინანსირდება. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება შარშან მარტში გაფორმდა და საქართველოსთვის დახმარება 87 275 დოლარს შეადგენს.

ფრენბურთი

# საახალწლო არჩევნები

**საქართველოს** ფრენბურთის ფედერაციას 3 იანვარს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. დათქმულ დღეს სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში ხმის მქონე სუბიექტები შეიკრიბებიან და პრეზიდენტს აირჩევენ. კანდიდატების რეგისტრაცია დაწყებულია, თუმცა განაცხადი ფრენბურთის ფედერაციაში ჯერ არავის შეუტანია.

ჩვენი ვარაუდით, ფრენბურთის ფედერაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდება და პრეზიდენტად კვლავ ლევან ახვლედიანს აირჩევენ.

წყალბურთი

# დროის პირობა

**რუსული** „შტურმის" წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე საქართველოში ჩამოვიდა და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილს შეხვდა. გეხსომებათ, ჩომახიძის საქართველოს ნაკრებში წამოყვანა განიხილებოდა, თუმც აქ ერთი დაბრკოლება არსებობს: რეზოს რუსულ გუნდთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს.

თავად ჩომახიძემ კი ეს გვითხრა: „კონტრაქტი 1+1 სისტემით მაქვს გაფორმებული და თეორიულად შესაძლებელია, რომ მაისში მათთან ხელშეკრულება გავწყვიტო და ჩამოვიდე. თუმც ამის შანსი ძალიან მცირეა. მქონდა საუბარი გია ნაცვლიშვილთან და ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ გადაწყვეტილების მიღებას გარკვეული დროით გადავდებდით. ვნახოთ, ჯერ გარკვეული არაფერია."

აქვე გეტყვით, რომ ჩომახიძემ ახლახან „შტურმთან" ერთად რუსეთის თასი მოიგო.

ჭადრაკი

# ნონას თასი ნანასია

**ჭადრაკის** სასახლეში გამართული „ნონას თასი" ნანა ძაგნიძემ მოიგო. შვეიცარიული სისტემით ჩატარებულ გათამაშებაში ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა პირველობა არავის დაუთმო, 7 პარტიიდან 5 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა. მეორე ადგილზე სოფო ხუხაშვილი გავიდა 5,5 ქულით. მისებრ 5,5 ქულა კიდევ სამმა მოჭადრაკემ დააგროვა: მაკა ფურცელაძემ, ნინო ბაციაშვილმა და სოფიკო გურამიშვილმა.

ჩემპიონმა 1 000 ლარი მიიღო, დანარჩენებს კი შესაბამისად 500, 300, 200 და 100 ლარი გადაეცათ.

მოჭადრაკეებს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრი ნიკა რურუაც ესტუმრა და ნანა ალექსანდრიას, ნონა გაფრინდაშვილს, ნინო გურიელს, ნანა ძაგნიძეს, მაია ლომინეიშვილს, სოფო ხუხაშვილს და ლელა ჯავახიშვილს პეკინის ოლიმპიადისთვის დამზადებული 20-ლარიანი ოქროს მონეტები გადასცა. ქალთა ნაკრების მწვრთნელმა თორნიკე სანიკიძემ და მაია ჩიბურდანიძის პირადმა მწვრთნელმა ხვიჩა სუპატაშვილმა ვერცხლის მედლები მიიღეს.

# წლის ათი უმნიშვნელოვანესი

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ელვა-ბოლტი

არც მაიკლ ფელპსი და არც ამერიკის საკალათბურთო ნაკრები. 2008 წლის პეკინის ოლიმპიადა ხალხს ყველაზე მეტად უსაინ ბოლტის გამო დაამახსოვრდება. როგორ ირბინა! რა შედეგები აჩვენა! შეიძლება აფრიკაში ვინმეს ამაზე სწრაფადაც ურბენია, რომელიმე ლომადევნებულ ბუშმენს ან ჰოტენტოტს, მაგრამ სარბენ ბილიკზე არასდროს არავის არ გაუელვია ისე, როგორც ამ ამხმახმა იამაიკელმა ჯეელმა გაიელვა. აი, ამაზე უნდა იმღერო — „ააუ, ფანტასტიკა ხარო“.

## სელტიქსის და ამერიკის დაბრუნება

„ბოსტონ სელტიქსი“ შორეულ 60-იან წლებში დაუმარცხებელი იყო, 80-იანებში კი „ლეიკერსთან“ ერთად ნბა-ს მშველელად მოევლინა. მერე ამ მწვანე გოლიათმა მიიძინა და 21 წლის შემდეგლა გამოიღვიძა. დაბრუნება კი ისეთი დიდებული გამოუვიდა, უკეთესი ვერც დაესიზმრებოდა — ფინალში წააქცია ისტორიული მეტოქე და ამერიკული კალათბურთის მეორე გიგანტი „ლეიკერსი“ თავის კობი ბრაიანტთან ერთად. სამაგიეროდ, ბრაიანტს ოლიმპიური ოქრო შეხვდა — პეკინში ის იმ ნაკრებს ლიდერობდა, რომელმაც ქვეყანას სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ პირველი დიდი გამარჯვება მოუტანა.




## ჩინელების შემოსევა




ოლიმპიურ სპორტს ახალი ლიდერი ქვეყანა ჰყავს — ჩინეთი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოლიმპიადებს ან ამერიკელები იპყრობდნენ, ან საბჭოელები. არცერთ ქვეყანას არ მოუხვეჭია მათზე მეტი ოქრო. 1992 წლის ბარსელონას თამაშების შემდეგ ამერიკა უკონკურენტოდაც კი დარჩა. მაგრამ პეკინში მისი ჰეგემონიაც დაემხო — ჩინელებმა 51 ოქროს მედალი მოიხვეჭეს და 15-ით აჯობეს შტატელებს. მართალია, ოქროების დიდი წილი ეგრეთ წოდებულ „ქიურიან“ სახეობებზე (ტანვარჯიში, წყალში ხტომა) მოდის და თავად ჩინელები თავიანთ საუკეთესო სპორტსმენებად მერვედფინალში გავარდნილი საკალათბურთო ნაკრების ლიდერს (იაო მინი) და საერთოდ არაფრისმომგებ მძლეოსანს (ლიუ სიანი) თვლიან, მაგრამ გეგმა ხომ შეასრულეს და რა ენაღვლებათ.




## რუსი ქალების არაკეთილსინდისიერება

რუსი ქალები მსოფლიოში საუკეთესო მძლეოსნებად რომ ითვლებიან, არავინ დაობს. მაგრამ მათ ბრწყინვალე ოლიმპიურ მედლებს ბნელი მხარეც აქვს — რუსების გამარჯვებებს დოპინგის სუნი უდის. წლეულს ისინი ყველაზე ხმაურიან სკანდალში გაეხვნენ, შვიდი მათგანი ჩაიჭრა დოპინგ-ტესტებში და პეკინის ოლიმპიადის დაწყების წინ მოიკვეთა საერთაშორისო სარბიელიდან. მათ შორის იყვნენ საშუალო დისტანციაზე მორბენლები, სიგრძეზე მხტომელი, უროს მტყორცნელი, მოკლედ, სხვადასხვა სპეციალობისა და კომპლექსის ქალბატონები. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ყველა თუ არა, ბევრი მათგანი ხმარობს აკრძალულ ნივთიერებას, ზოგი ჩავარდა, ზოგმა კი არამი მედალი შეირგო.



## კაცთევზას ოქროს თევზები

თქვა და აასრულა. მაიკლ ფელპსმა პეკინში რვა ოქრო დაგეგმა და რვავე მოიპოვა, მხოლოდ 100 მეტრ ბატერფლაიზე შეხვდა წინააღმდეგობა, დანარჩენ შვიდ საჩემპიონო გაცურვაში კი ახლოსაც ვერავინ გაეკარა (აქედან სამი გუნდური ესტაფეტა იყო). როგორ გაეკარებოდნენ, ყველგან ახალი რეკორდი გამოაცხო. ამგვარად, მან დაამხო თანამემამულე მარკ სპიცის უნიკალური შედეგი — 7 ოქრო ერთ ოლიმპიადაზე. ფელპსს ექვსი ოქრო მოეგო 2007 წელს ათენში და 14 მოუგროვდა, რასაც 2012 წელს ლონდონში აუცილებლად წაამატებს კიდევ არაერთს — ჯერ ხომ მხოლოდ 23 წლისაა.

# მოვლენა (სარბიელის ვერსია)




## ლიგა მანჩესტერს, ოქროს ბურთი რონალდუს

ალექს ფერგიუსონის ქმნილება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დროგამძლე კლუბია და 9 წელიწადში აკი მეორედ დაამტკიცა თავისი სიძლიერე. „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალი პენალტებით, მაგრამ მაინც ხომ მოუგო კიდევ ერთ ინგლისურ კლუბ „ჩელსის" და სულ მესამედ დაეპატრონა უპრესტიჟულეს საკლუბო თასს. მისმა ლიდერმა კრიშტიანუ რონალდუმ კი „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვა მოიგო და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის სარგო ოქროს ბურთი დაისაკუთრა.




## ნადალმა ფედერერი დაამხო




როჯერ ფედერერი სარეკორდოდ დიდხანს, ზედიზედ 237 კვირა ლიდერობდა მსოფლიო ჩოგბურთის რეიტინგსიას, მაგრამ მისი მჯობნიც გამოჩნდა. 22 წლის ესპანელმა რაფაელ ნადალმა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის, მისი საყვარელი „უიმბლდონის" ფინალშიც კი დაამარცხა და სხვაგანაც სადაც წასწვდა, თითქმის ყველგან დაახრევინა ჩოგანი, მერე კი თავად დაბრძანდა წლების განმავლობაში შვეიცარიელის კუთვნილ ტახტზე.

## ევროპა ესპანეთისაა

ესპანეთის სხვადასხვა ნაკრებები ბოლო წლებში გულმოდგინედ ამსხვრევენ სტერეოტიპულ მოსაზრებას — თითქოსდა, მათ არ ძალუძთ დიდი ტურნირის მოგება. ორი წლის წინ კალათბურთელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე იყოჩაღეს, წლეულს კი ფეხბურთელებმა ევროპა შეაზანზარეს და ექსჩემპიონ საბერძნეთისგან განსხვავებით, კონტინენტი ლამაზი, მძლავრი, დამაჯერებელი თამაშით დაიპყრეს. და კაციშვილს არ დასცდება მათზე, შემთხვევითი ჩემპიონები არიანო — ეს გუნდი ულაპარაკოდ საუკეთესო იყო.




## ისინბაევამ გაიღვიძა

ელენას ნაღდად არ სჭირდება აკრძალული პრეპარატები. მისი „დოპინგი" მეტოქის კარგი გამოსვლა და კონკურენციის შეგრძნებაა. ჭოკით ხტომაში მან იმდენად დაბლა დატოვა დანარჩენი მსოფლიო, რომ სპორტული აზარტი დაკარგა და სამი წელი არაფერს აკეთებდა, მაგრამ ოლიმპიურ წელს გამოიღვიძა და სამჯერ გააუმჯობესა მანამდე მრავალგზის გაუმჯობესებული თავისივე მსოფლიო რეკორდი. სულ ბოლო 5,05-მეტრიანი სუპერნახტომი პეკინში თავის ბოლო ცდაზე შეასრულა.

## ჰემილტონი: ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე სწრაფი




შავკანიანი მამისა და თეთრი დედის მულატი შვილი ლუის ჰემილტონი საშინელი სიჩქარით შეიჭრა ფორმულა ერთის კლაკნილ ტრასებზე და საუკეთესოებს დაათმობინა გზა. 2007 წელს უდაძაბულეს დავაში მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა კიმი რაიკონენს. სამაგიეროდ წლეულს მან შანსი აღარ გაუშვა, 5 დიდი პრიზი მოიგო და უპრესტიჟულესი ავტოშეჯიბრის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი შეიქნა — მხოლოდ 23 წლისაა. მშობლებმა ლუისი დიდი ამერიკელი მძლეოსნის კარლ ლუისის პატივსაცემად შეარქვეს და მის სპორტულ მომავალს იმთავითვე ჩაუყარეს საფუძველი. ლუისივით სწრაფად ვერ დარბის, მაგრამ მანქანას ხომ უსწრაფესად დააქროლებს?

# ხალასი, ხალისიანი „ძალიან მაგარი“ უსაინ ბოლტი

*ორი წლის წინ მას ხეირიანად სამშობლოშიც კი არავინ იცნობდა, ახლა კი მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სპორტსმენია. იამაიკელი უსაინ ბოლტისთვის ყველაფერი როგორღაც ძალიან სწრაფად დატრიალდა, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სარბენ ბილიკებზე დამკვიდრებას ერთ წელი მოანდომა, კიდევ ერთ წელიწადში კი ოლიმპიადა დაიპყრო და სპორტის ისტორიაში საკუთარი გვარი მსხვილი მოოქროვილი ასოებით ჩაწერა. ათასმეერთედ ნულარ გავიმეორებთ, ოლიმპიადაზე რა და როგორ გააკეთა ამ ახმახმა და ცანცარა ბიჭმა, რომელსაც სწორედ პეკინში შეუსრულდა 22 წელი. მისი ნაუბარი ინტელექტს არ აფრქვევს, სამაგიეროდ მას საუბარში და ყოფა-ქცევაში ხალისი არ აკლია*




**— მისტერ ბოლტ, თქვენ იამაიკაში, ტრელონი პარიშში დაიბადეთ. აგვიწერეთ ეს ადგილი...**

— ძალიან მყუდრო და წყნარი სოფელია, რომლისთვისაც უცხოა კინგსტონის აურზაური და როცა მინდა ხმაურს გავექცე, იქ მივდივარ ხოლმე. დავჯდები მშობლებთან ერთად სიგრილეში, ან ვერანდაზე და ათას რამეზე ვსაუბრობთ. ძალიან კარგი და საყვარელი ადგილია.

**— რამდენი ადამიანი ცხოვრობს?**

— რა ვიცი აბა... ბევრი ნამდვილად არა. შეიძლება ათასი. რამდენიმე სახლია შეფენილი გორაკებზე, მაგრამ ისე ძირითადად ვაკეა.

**— სანამ სპრინტერი გახდებოდით, კრიკეტს თამაშობდით...**

— ჩემთვის სპორტი კრიკეტით დაიწყო. ძალიან პატარა ვიყავი მაშინ, ასე რვა წლის. ცუდად არ ვთამაშობდი, მაგრამ დაწყებით კლასებს რომ ვამთავრებდი, ჩვენმა მწვრთნელმა მირჩია, აბა მარტო სირბილი სცადეო. რატომაც არა-მეთქი. ვცადე და კარგად გამომივიდა, ბავშვობაშიც სწრაფად დავრბოდი. იმის მერე სულ დავრბივარ.

**— ყმაწვილობაშივე რატომ შეიცვალეთ მწვრთნელი?**

— ძველ მწვრთნელთან ყველაფერი კარგად ვერ მიმდიოდა — ურთიერთობში კი არა, სირბილში და შედეგებში. მერე გავიგე, რომ გლენ მაილზის ხელში სპრინტერები პირად რეკორდებს ამყარებდნენ და ვიფიქრე, აი ასეთი სპეციალისტი მჭირდება-მეთქი. გლენი წყნარი, მშვიდი კაცია და მეც მამშვიდებს, ჩამოვუჯდები და ყველაფერს ვუყვები-ხოლმე.

**— ამბობენ, სპორტსმენებს სირბილის წინ გახურების დროს მუსიკის მოსმენის უფლებას არ აძლევსო...**

— არა უშავს, საამისოდ დასაბუთებული მიზეზი აქვს — ბილიკზე რომ გადიხარ და სარბენად ემზადები, მუსიკა არ გეხმარება კონცენტრირებაში. ის გვიხსნის, რომ ჩვენი გონება ყველაფრისგან უნდა განთავისუფლდეს და მხოლოდ სირბილზე იყოს ფოკუსირებული. მუსიკა კი ამ დროს ყურადღებას გვიფანტავს. რა უნდა ვთქვა, სრული სიმართლეა.

**— ყველას აინტერესებს თქვენი სხეულის ენის გაგება. ყოველთვის ჟესტიკულაციით ესაუბრებით პუბლიკას?**

— ო, ეს იამაიკური ყოფის ნაწილია, სინამდვილეში ესაა ცეკვა, მაგრამ მე მივეჩვიე ასე მოძრაობას და სიარულს.

**— ცეკვა?**

— ჰო, იამაიკური ცეკვაა. ჩვენში მთელი სოფელი საღამოობით ცეცხლთან რომ იკრიბება, ზოგი მღერის და ზოგი ცეკვავს, ვისაც როგორ შეუძლია. პეკინში 100 მეტრი რომ მოვიგე, გაუაზრებლად ავცეკვდი და შევასრულე იამაიკური მოძრაობები, რომელსაც „იატაკის დაგვა“ ჰქვია. 200 მეტრის მერე უკვე „ხტუნია კუპერის“ ილეთებით ვცეკვავდი. ისე იამაიკაში ეგეთი ილეთები ათეულობით გვაქვს.

**— სტარტამდე შესრულებულ მოძრაობებს რაღა ეწოდება?**

— ეგ ცეკვა არაა. არეული მოძრაობით ვიქცევ ყურადღებას. მაყურებელი სტარტამდე ჩქერ ხომ უნდა მოვახედო და სირბილის დაწყებამდე ჩავაგდო აზარტში. თანაც ყველას მოსწონს, ამას რომ ვაკეთებ და მეც ვცდილობ, ხალხი გავაცინო და გავაბედნიერო.

**— გაისად ალბათ რამე ახალს მოიფიქრებთ...**

— ჰო, აბა რა. უკვე ვიცი, მომავალ წელს რასაც გავაკეთებ-ხოლმე.

**— თქვენი ძმა დღემდე კრიკეტს თამაშობს. რამდენად კარგად?**

— რა ვიცი, ის თამაშობს კრისგეილის და მარლონ სამუელსის ყოფილ კლუბში და თქვენ განსაჯეთ, რამდენად კარგად შეიძლება თამაშობდეს. როცა იქით ვარ, მეც მათთან ერთად ვვარჯიშობ და ვცდლობ, კრიკეტი არ დამავიწყდეს.

**— მოყევით, როგორ მიგიწვიათ მადრიდის „რეალმა“ თავის ვარჯიშზე.**

— ჰო, მართლა მივიღე მოწვევა და წავალ კიდეც. ჩემი აზრით, რაული და ვან ნისტელროი ყველა დროის საუკეთესო მეგოლეებს შორის არიან. ვან ნისტელროის „მანჩესტერიდან“ ვუყურებ, ძალიან მაგარი ვინმეა. ერთი სული მაქვს, როდის შევხვდები.

**— პეკინში 100 მეტრის მოგებამ 200-ზე გამარჯვებაც გაგიადვილათ?**

— საერთოდ პეკინში ძალიან ბევრი ვირბინე, ჩვენ ხომ პირდაპირ ფინალით არ ვიწყებთ. 200 მეტრის ნახევარფინალმა ცოტა დამღალა. მაგრამ ოთახში ასვლის და გემრიელად გამოძინების დრო მქონდა. თანამეოთახეს კიდეც ვუთხარი, თუ 200 მეტრზე რეკორდს დავამხობ, ეს უეჭველად აქ, ამ სარბიელზე მოხდება, რადგან სარბენი ბილიკი ძალიან სწრაფია-მეთქი. ისიც ვუთხარი, გავალ და რაც მაქვს, ყველაფერს იქ დავტოვებ-მეთქი და ზუსტად ასეც მოვიქეცი. მერე ხალხი იძახდა, პირველად ვნახეთ, ბოლტი ასე მონდომებული, აი ახლა კი ნამდვილად საკუთარ შესაძლებლობების ზღვარზე დარბისო.

**— მომავალი წლისთვის რა გეგმები გაქვთ? ერთ-ერთი უმთავრესი ტურნირი იამაკის ჩემპიონატი იქნება?**

— ჰო, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურნირი შიდა ჩემპიონატი იქნება. მოგება უფრო გაძნელდება, რაკი უკვე ყველამ იცის, ვინ ვარ, რა შემიძლია და მეტოქეები მეტი მონდომებით ივარჯიშებენ. მაგრამ მეც კარგად მოვემზადები და მათ აქედანვე ვეუბნები — „ბიჭებო, მოდით, მაგარი შეჯიბრი გავმართოთ“.

**— რითი განსხვავდება თქვენი და ასაფა პაუელის სირბილის მანერა ერთმანეთისგან?**

— რა ვიცი, ყველას თავისი სტილი აქვს და მეც, რა თქმა უნდა. მე უფრო მოშვებული ვარ, სირბილის დროს არ ვიძაბები და სიამოვნებას ვღებულობ. ასე მგონია, რომ ნებისმიერ საქმეს უფრო კარგად გააკეთებ, თუ მის „კაიფსაც დაიჭერ“ და მეც ასე ვარ. საკუთარ თავს მათრახს არ ვურტყამ. ხალისით გავდივარ ბილიკზე და სწრაფად დავრბივარ, თან სულ კარგ გუნებაზე ვარ.

**— ასაფა პაუელთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— კარგი მეგობრები ვართ. სადაც მივდივართ, ყველგან სიცილი, ხმაური და არეულობა მიგვაქვს. როდესაც ბილიკზე გავდივართ, ჩვენ ერთმანეთის მეტოქეები ვხდებით, მაგრამ ისე, ახლო მეგობრობა გვაქვს, ვსაუბრობთ ყველაფერზე და არაფერზეც.

**— ასეთ სიმაღლეზე ასვლაში ასაფას მაგალითი ხომ არ დაგეხმარათ?**

— რა თქმა უნდა. წლების განმავლობაში რომ ვუყურებდი დიად მძლეოსნებს, მათ შორის ასაფას, მეც ჩამიჯდა იგივეს მიღწევის სურვილი. ასაფას ცქერა უდიდესი მოტივაციით მავსებდა. მინდოდა, რომ ასეთი და კიდევ უკეთესი ვყოფილიყავი.

**— როგორ გგონიათ, შეძლებს ვინმე მომავალში ადამიანის სისწრაფის ლიმიტის დაწესებას?**

— არა. პეკინში სირბილის წინ ინტერვიუებშიც ვამბობდი, რომ ლიმიტს ვერაფერზე ვერ დააწესებ. ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს ისეთი ვინმე, რომელიც წინამორბედს აჯობებს. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ შეიძლება ასეთი ვყოფილიყავი, ძველზე უკეთესი ახალი შედეგი მეჩვენებინა. ბევრს ვმუშაობდი და ვცდილობდი, სულ ამაზე ფოკუსირებული ვყოფილიყავი. წლეულს მე ეს შევძელი. ძალიან ბევრი ვიშრომე, რადგან თუ რაიმეს მიღწევა მინდოდა, ეს ოლიმპიურ წელს უნდა გამეკეთებინა. ბედნიერი ვარ, რომ გარჯა ასე უხვად დამიფასდა.

**— თვლით, რომ ზუსტად შეარჩიეთ დრო და საჭირო მომენტში საჭირო ადგილას აღმოჩნდით?**

— ზუსტად ასეა. ოლიმპიური წელი ყველაზე მნიშვნელოვანია მძლეოსნებისთვის და თითქმის ყველა ამ მიმართულებით გეგმავს კარიერის პიკს. ხომ აზრზე ხართ, შეიძლება კაცი მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს და უძლიერესი არ დაუძახონ. ჩვენს საქმეში მთავარია ოლიმპიადის მოგება, რადგან მას ოთხი წელი ვუცდით. და რა თქმა უნდა, თუ რამე მნიშვნელოვანის გაკეთება გინდა, მაგალიად, თუ რეკორდის დამხობა გსურს, ეს ყველაზე მეტად ოლიმპიადაზე ძნელდება. მაგრამ თუ შეძელი, ჯილდო ათმაგად უფრო ტკბილი ხდება. არ მეთანხმებით, რომ პეკინის წყალობით გავხდი ის, ვინც ახლა ვარ? ძალიან მაგარი იყო ეს ყველაფერი. პეკინიც მაგრად შემიყვარდა.

**—...და ერთ მშვენიერ დღეს იქ დაბრუნდებით...**

— ლაპარაკიც არ უნდა მაგას. შეჯიბრებებზე თუ არა არდადეგებზე აუცილებლად ჩავალ. იქაური ხალხიც ძალიან შემიყვარდა.

**— ასაფასთან შეჯიბრი მომავალშიც მოგცემთ სტიმულს?**

— ჰო, არა მგონია, რომ ასაფამ მალე დაამთავროს ჩემთან შეჯიბრი. ძალიან საინტერესო იქნება ჩვენი პაექრობა. როგორც გითხარით, კარგი მეგობრები კი ვართ, მაგრამ სირბილი და სხვასთან შეჯიბრი ჩვენი საქმეა, ჩვენი ბიზნესია და მომავალ სეზონში ამ მხრივ ალბათ უფრო დაიძაბება სიტუაცია. კიდევ ვნახავთ ასაფას საუკეთესო ფორმაში. ასე მგონია, რომ ის სეზონის დასაწყისში იქნება ძალიან სწრაფი და აი მაშინ გავმართავთ მაგარ შეჯიბრს...

ამერიკელი ტაისონ გაიც მოირჩენს ტრავმას და გაისად დაბრუნდება, ასე რომ საინტერესო წელი უნდა იყოს.

**— თვლით, რომ დღესდღეობით იამაიკაა უძლიერესი სპრინტერული ქვეყანა?**

— ვთვლი, რომ იამაიკელებმა დავამტკიცეთ, რა შეგვიძლია. გვყავს კარგი მწვრთნელები, რომლებიც კარგ სპრინტერებს ზრდიან. ამ მხრივ ქვეყანამ მართლაც დიდი სამუშაო გასაწია. ბევრი საუკეთესო სპორტსმენი ისევ გარბის ამერიკაში, მაგრამ ახლა გაცილებით მეტი რჩება იამაიკაზე და აქ აგრძელებს ვარჯიშს. პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ მაინც ამდენს მივაღწიეთ, ბევრი ვიმუშავეთ, ახლა კი შეგვიძლია ჩვენი გაკეთებულით ვიამაყოთ.

**— ძალიან მნიშვნელოვანია, ამდენი კარგი სპრინტერი ერთად რომ შეიკრიბეთ...**

— იამაიკელებს გვიყვარს შეჯიბრი. ეს გვიბიძგებს გამარჯვებისკენ. რომ შევყურებდი, როგორი თავგამოდებით ვარჯიშობდნენ ასაფა და სხვები, მეც იგივე უნდა გამეკეთებინა, მათ გვერდით რომ მომეპოვებინა ადგილი. წლეულს ხომ საერთოდ თავები დავიხოცეთ. მომავალ წელს უფრო მეტი უნდა ვიშრომოთ, რადგან ამერიკელები ჩამორჩენას არ შეეგუებიან და ვგრძნობ, მაგარ შეჯიბრს გაგვიმართავენ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



## HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

### 29 დეკემბერი

1881 ამერიკელი მოკრივე ჯეს უილარდი
1902 კანადელი ჰოკეისტი ნელს სტიუარტი
1927 ამერიკელი სპრინტერი ენდი სტენფილდი
1963 ფილიპინელი ბილიარდელი ჯანგო ბუსტამანტე
1966 იტალიელი ფეხბურთელი სტეფანო ერანიო
1969 შოტლანდიელი ავტომრბოლი ალან მაკნიში
1978 ბრიტანელი ფეხბურთელი კირონ დაიერი
1981 იაპონელი ფიგურული მოცურავე შიზუკა არაკავა
1988 უნგრელი ჩოგბურთელი აგნეს სავაი

### 30 დეკემბერი

1937 ინგლისელი მეკარე გორდონ ბენქსი
1950 შოტლანდიელი დარტსისტი ჯოკი უილსონი
1961 კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი
1973 ტრინიდადელი მძლეოსანი ატო ბოლდონი
1975 ავსტრალიელი ფეხბურთელი სკოტ ჩიპერფილდი
1975 ამერიკელი მეგოლფე ტაიგერ ვუდსი
1977 ამერიკელი მოკრივე ლაილა ალი, მუჰამედ ალის ქალიშვილი
1977 ამერიკელი კალათბურთელი კენიონ მარტინი
1979 ანგოლელი ფეხბურთელი ფლავიო ამადო
1981 ომანელი ფეხბურთელი ალი ალ ჰაბსი
1984 ამერიკელი კალათბურთელი ლებრონ ჯეიმსი

### 31 დეკემბერი

1941 შოტლანდიელი ფეხბურთის მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი
1963 ჰავაელი სუმოტორი კონიშიკი იასოკიჩი
1974 ბრაზილიელი ავტომრბოლი ტონი კანაანი
1980 ახალზელანდიელი მორაგბე რიჩი მაკქოუ
1982 შოტლანდიელი ფეხბურთელი კრეიგ გორდონი

### 1 იანვარი

1902 სამხრეთაფრიკელი მოკრიკეტე ბასტერ ნუფენი
1919 ამერიკელი მოკრივე როკი გრაზიანო
1945 ბელგიელი ავტომრბოლი ჟაკი იქსი
1946 ბრაზილიელი ფეხბურთელი რობერტო რიველინო
1963 ლიტველი მოცურავე ლინა კაჩიუსაიტე
1968 ხორვატი ფეხბურთელი დავორ შუკერი
1971 ჩეხი ჰოკეისტი ბობი ჰოლიკი
1972 ფრანგი ფეხბურთელი ლილიან ტურამი
1977 ბოსნიელი ფეხბურთელი ჰასან სალიჰამიჯიჩი
1982 არგენტინელი ჩოგბურთელი დავიდ ნალბანდიანი
1984 პერუელი ფეხბურთელი ხოსე გერერო

### 2 იანვარი

1897 ბერძენი მოჭიდავე ხრისტოს თეოფილო
1967 სამხრეთაფრიკელი მორაგბე ფრანსუა პინარი
1969 იამაიკელი მოკრივე გლენ ჯონსონი
1969 ამერიკელი მოკრივე ტომი მორისონი
1975 ახალზელანდიელი მორაგბე რუბენ სორნი
1976 ბერძენი მძლეოსანი პრიზოფიი დევეცი
1976 იტალიელი ველომრბოლი დანილო დი ლუკა
1981 არგენტინელი ფეხბურთელი მაქსი როდრიგესი
1982 ბერძენი მოსიარულე ათანასია ცუმელეკა

### 3 იანვარი

1939 კანადელი ჰოკეისტი ბობი ჰალი
1947 ინგლისელი მორაგბე ფრან კოტონი
1969 გერმანელი ავტომრბოლი მიხაელ შუმახერი
1974 იტალიელი ველომრბოლი ალესანდრო პეტაკი
1976 ბერძენი ფეხბურთელი ანგელოს ბასინასი
1977 ირლანდიელი ფეხბურთელი ლი ბოიერი
1985 ლიტველი კალათბურთელი ლინას კლეიზა

### 4 იანვარი

1925 ფინელი მოთხილამურე ვეიკო ჰაკულინენი
1953 არგენტინელი ფეხბურთელი ბეტო ალონსო
1965 ფრანგი ჩოგბურთელი გი ფორჯე
1978 სლოვაკი ჩოგბურთელი დომინიკ ჰრბატი
1976 უკრაინელი ველომრბოლი იაროსლავ პოპოვიჩი
1980 პორტუგალიელი ფეხბურთელი მიგელ მონტეირო
1985 ამერიკელი კალათბურთელი ალ ჯეფერსონი
1986 ინგლისელი ფეხბურთელი ჯეიმს მილნერი



სამხრეთაფრიკელი „ქურციკების" ლეგენდარული კაპიტანი და 1995 წლის მესამე მსოფლიოს თასის მომგები ფრანსუა პინარი



# ფელპსის შიში და მილიონები

**ძნელი** წარმოსადგენია, მაგრამ მაიკლ ფელპსს ბავშვობაში წყლის პანიკური შიში ჰქონდა. თანამედროვეობის საუკეთესო მოცურავე პირველად აუზში დიდი ყვირილით და დავიდარაბით ჩაიყვანეს. მაგრამ რა ბიჭი დადგა მისგან? 14 ოლიმპიური ოქრო გვეუბნება, რომ ამ შიშისგან მხოლოდ სახალისო მოგონებაღა დარჩენილა.

და საერთოდაც, ბავშვობაში ის სულ სხვანაირი ყოფილა, მცმუკავი, მოუსვენარი, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, წამდაუწუმ ეფანტებოდა ყურადღება, სკოლაში ვერაფერს ვერ ითვისებდა. მოკლედ კლასიკური ჩამორჩენილი ბავშვი. მაგრამ დღეს ფელპსი სულ სხვაა, სახიდან „სიცარიელის" გამომეტყველება ვერ მოიშორა, მაგრამ სამაგიეროდ დადინჯდა და ისწავლა შინაგანი შფოთვის აუზში დაცლა.

სახელი და სიმდიდრე ხომ მოიხვეჭა. მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოლიმპიურ ჩემპიონებს სახელმწიფო ჯიბეში დოლარებს ნაკლებად უკუჭავს, ვიდრე ჩვენთან, მაგრამ ფელპსის სალაროში ფულის მდინარე სხვა წყაროებიდან მიედინება და ლამისაა ამაზონად იქცეს. მას მრავალმილიონიანი კონტრაქტები აქვს „ვიზასთან", „კელონგსთან", „ჰილტონთან", „ომეგასთან", „სპიდოსთან" - ეს დაახლოებით 100 მილიონ დოლარს ნიშნავს. სარეკლამო ოქროს შადრევანში ნაშოვნი ფულით ის გაუტოლდა უცნობილეს სპორტსმენებს — მაიკლ ჯორდანსა და ტაიგერ ვუდსს. ახლოს უტრიალებს მსახიობ ტომ ჰენკსის სარეკლამო ჰონორარების ჯამსაც.

ფელპსმა სარეკლამო კონტრაქტების დიდი წილი პეკინის ოლიმპიადიდან ხმაურანი დაბრუნების შემდეგ გაჩარხა და მაშინვე მოინდომა მშობლიურ ბალტიმორში იმ აუზის შეძენა, რომელშიც შიშისაგან სუნთქვაშეკრულმა ხელ-ფეხი პირველად ააფართხალა. სულაც არაა აუხდენელი ნარტვრა ასეთი მდიდარი ადამიანისთვის. ისე კი ფელპსმა საკუთარ ეზოში უკვე ამოჭრა აუზი, რაც თითქმის ორი მილიონი დაუჯდა. მაგრამ ეს ხომ ხურდაა მისთვის. სამაგიეროდ სახლშიც გემოზე იცურავებს.

მაგრამ მაიკლ ფელპსი ფულს განა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ხარჯავს. საცურაო ინვენტარის მწარმოებელი „სპიდოსგან" ნაშოვნი პირველი მილიონი ქველმოქმედებაში გაუშვა და ამაზე როგორ გაჩერდებიო, ამასაც ამბობს.

## რამდენიმე ეპიზოდი აუზის ყაჩაღის ცხოვრებიდამ

შეჯიბრებისგან თავისუფალ პერიოდში ის დღეში ექვსჯერ ჭამს. ოლიმპიადის დროს ასეთი იყო მისი რაციონი — საუზმე: სამი თოხლოდ შემწვარი კვერცხი, ყველი, ტომატის პასტა, ბლომად კომბოსტო სამი თავი მოხრაკული ხახვით, მაიონეზი, მაცარონი, საშუალო ზომის სამი შოკოლადის ნამცხვარი, ორი ფინჯანი ყავა. ლანჩი: დაახლეობით ნახევარი კილო მაკარონი ტომატით, ლორი, ყველიანი და მაიონეზიანი თეთრი პურის ბუტერბროდები, ენერგეტიკული სასმელები. სადილი: პელმენის მსგავსი პოლუფაბრიკატები პამიდვრის წვენით, ვეება პიცა და ზედაც ენერგეტიკული სასმელები.

ოლიმპიადის მსვლელობისას დღეში ორჯერ უკეთებდნენ მასაჟს.

2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე მხოლოდ 27 წლის იქნება.

მხოლოდ ერთხელ ჰქონდა პრობლემა კანონთან, როდესაც 19 წლისა საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში მჯდომი დააკავეს.

მიჩიგანის უნივერსიტეტში მარკეტინგისა და მენეჯმენტის შესწავლას აპირებს.

თანაგუნდელები მეტსახელად „გომერს" ეძახიან.

ჰქავს ბრიტანული ბულდოგი სახელად ჰერმანი.

ლას ვეგასში პოკერის ტურნირში ითამაშა და 187 მონაწილეში მეცხრე ადგილი დაიკავა.

ახლო ურთიერთობა აქვს ავსტრალიელ მოცურავე სტეფანი რაისთან.

თინეიჯერობაში მისი კერპი იყო ავსტრალიელი იან ტორპი, რომელიც მასზე მხოლოდ სამი წლითაა უფროსი.

მისი ორივე და მოცურავეა. უფროსს უიტნის მონაწილეობა მიუღია 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე, უმცროსი ჰილარი კი 2005 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ-ს ნაკრებში ირიცხებოდა, თუმც ვერაფრის მოგება ვერ შეძლო.

რაგბი

# შაბალსაც ცემენ?



**ყველაზე** დიდებს ყველაზე მეტიც ხვდებათ. რა უნდა ქნან, რაგბი ასეთი სპორტია. ვინ იცის, რამდენს მოხვედრია სებასტიან შაბალის ვეება მუშტი, იდაყვი და მხარი, რამდენ ადამიანზე გადაულაჯებია თავისი მძიმე ფეხი ამ ფრანგ დევკაცს. მაგრამ ახლა ის თვითონ ჩივის, მირტყავენო.

„ციურიხ პრემიერშიპად" წოდებულ ინგლისის ჩემპიონატის მატჩში სტოკპორტის „სეილ შარქსში" მოთამაშე შაბალს ლამის შემოებრდღვნა „ბათის" სამხრეთაფრიკელი ცხრა ნომერი მაიკლ კლაასენსი — სრულიად არასათამაშო ეპიზოდში ჩაბღუჯული ჰყავდა და ხელიდან რომ არ წაერთმიათ, ღმერთმა უწყის, რას უზამდა.

ზორბა ფრანგ მორკინალს ეს ეპიზოდი სინბინად, ანუ ათწუთიან გაძებევებად დაუჯდა, მაგრამ არ დამცხრალა და თამაშის მერეც ბობოქრობდა.

„შემიძლია მოვითმინო, როცა თმაზე მქაჩავენ, მაგრამ სახეში ცემას ვერ ავიტან. მან მე ზედახორაში ჩუმად ჩამარტყა. კინაღამ გავგიჟდი, მივვარდი, მაგრამ არ დამირტყავს და არ ვიცი, რაზე გამაგდეს. ალბათ აგრესიის ღიად გამოხატვის გამო. როგორ უნდა შემეკავებინა თავი ასეთ დროს? ხომ შეიძლებოდა, თვალში მოერტყა და დავესახიჩრებინე? იმედია, ამ ინციდენტს ჩემით არ ამოწურავენ დისციპლინარები და მას რამდენიმე თვით გაარიცხებენ, რათა მიხვდეს, რომ ბინძურად იქცევა."

შაბალი ალბათ არ ტყუის. სინბინზე რომ გაუშვეს, ყვრიმალი გვარიანად ჩათეთქვილი ჰქონდა.

ჰოკეი



# გიორგი გელაშვილი წითელ მოედანზე

**გაისად**, 10 იანვარს მოსკოვში, წითელ მოედანზე, კონტინენტური ჰოკეის ლიგის (რუსეთის სუპერლიგა) „ოლ სტარი“ გაიმართება. ერთმანეთს ლიგაში მოთამაშე რუსების და უცხოელთა ნაკრებები შეხვდებიან. რუსთა გუნდს იაშინის გუნდი ერქმევა, უცხოელებისას — იაგრის გუნდი.

შემადგენლობები ინტერნეტგამოკითხვის შედეგად შეირჩა, გამოკითხვა კი 22 დეკემბერს დასრულდა.

ამ ამბავში ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ იაშინის გუნდში მეორე მეკარედ გამოკითხულებმა იაროსლავლის „ლოკომოტივის“ მეკარე გიორგი გელაშვილი დაასახელეს.

ვინ არის გიორგი გელაშვილი? მამამისი კაკო გელაშვილი ჯარში ჩელიაბინსკში მსახურობდა და საცხოვრებლად იქვე დარჩა. გიორგიც იქ დაიბადა 25 წლის წინ. კარიერა ჩელიაბინსკის „ტრაქტორში“ დაიწყო, მაგრამ გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა და ყაზახეთში წავიდა, სადაც „ყაზახმისის“ მთავარი გოლკიპერი გახდა. იქაურებს იმდენად მოეწონათ, რომ ყაზახეთის მოქალაქეობის მიღება და ნაკრებში თამაში შესთავაზეს. გელაშვილმა უარი თქვა და რუსეთში დაბრუნდა.

ეს მოკლე ისტორიაა, ამ სეზონში კი გიორგი გელაშვილს მოგერიებათა მეორე პროცენტი აქვს ლიგაში — 94,2. შედარებისთვის: თავში ნახსენებ გამოკითხვაში პირველ ადგილზე გასულ ერიომენკოს უფრო დაბალი კოეფიციენტი აქვს — 92,6. სრული სტატისტიკური მონაცემები კი ისეთი აქვს, რომ კანადურმა სააგენტო TNS-მ გიორგი გელაშვილი კონტინენტური ლიგის საკეთესო ჰოკეისტად დაასახელა.

ეს სააგენტო საუკეთესოთა გამოვლენაში მხოლოდ სტატისტიკას ეყრდნობა და ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ გელაშვილმა ისეთ ჰოკეისტებს გაუსწრო, როგორებიც, ვთქვათ, იაგრი, მარეკი, იაშინი და მოროზოვი არიან. რუსული „სოვეტსკი სპორტი“ იმასაც წერს, ვინძლო თავად გელაშვილიც გაკვირვებული იყოს ამგვარი წარჩინებით.

**თემურ უზაკოვი**

მძლეოსნობა

# საუკეთესო ილარიანი



**საქართველოს** მძლეოსნობის ფედერაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენი დაასახელა. მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ფედერაციამ საუკეთესოდ თარჯმრბენი დავით ილარიანი მიიჩნია, ვინაც, შეგახსენებთ, პეკინის ოლიმპიადის მონაწილეა. იქ ილარიანმა ერთი ეტაპი გადალახა.

ფედერაციამ ფულადი ჯილდოები ვეტერან მძლეოსნებსაც გადასცა. ყველაზე მეტად კი, რობერტ შავლაყაძე და ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი გამოარჩია. მათ 1000-1000 ლარი ერგოთ.

სამწუხარო კი ისაა, რომ ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე 31 მედლის მქონე საქართველოს, რა ხანია, მძლეოსნობაში მნიშვნელოვანი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია.

ველორბოლა

# არმსტრონგმა კანცელარაც დააბრუნა
## საგაისო ტურს მხოლოდ კონტადორი აკლდება

**მსოფლიოს** უპრესტიჟულესი მრავალდღიანი საგზატკეცილო ველოტური „ტურ დე ფრანსი“ საფრანგეთის ნამდვილი სიამაყე გახლავთ, მის მოახლოებას მოუთმენლად ელიან დიდი ქალაქები და პატარა, გზისპირა დასახლებები, პარიზიდან დაწყებული პირენეის მთებში ჩაკარგული გასკონური სოფლებით დამთავრებული. მაგრამ ტურის ჭრელი ველოქარავანი მხოლოდ ფრანგებს როდი აბედნიერებს, ხშირად ის მეზობელ ქვეყნებშიც შეივლის. მეზობელი კი არაერთი ჰყავს.

რამდენიმე დღის წინ ორგანიზატორებმა 2010 წლის ტურის მარშრუტი შეადგინეს და სასტარტო პუნქტად ჰოლანდიის საქმიანი დედაქალაქი როტერდამი აირჩიეს, რითაც გული დასწყვიტეს ამსტერდამის, როტერდამის და ჰააგის შემდეგ ჰოლანდიის სიდიდით მეოთხე ქალაქ უტრეხტს, რომელიც ასევე განიხილებოდა სასტარტო კანდიდატად.

„ორი მიზეზის გამო შევაჩერეთ არჩევანი როტერდამზე — ამბობს ტურის ერთ-ერთი ორგანიზატორი — ერთი, რომ საერთო მონახაზში გეოგრაფიულად კარგად ჯდებოდა. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ლონდონის დარად როტერდამიცაა ევროპის იმ დიდი ქალაქების რიცხვში, რომლებიც ქუჩებში ველოსიპედებით მოძრაობის პროპაგანდას ეწევიან და ამით პოპულარიზაციას უკეთებენ ჩვენ სპორტს. ხოლო 2007 წელს ლონდონში რა დიდებული სტარტიც გვქონდა, ალბათ ყველას გახსოვთ.“

ამასობაში კი მრბოლებმა და გუნდებმა 2009 წლის ტურისთვის დაიწყეს მზადება. სპეციალისტების აზრით საგაისოდ ფანტასტიკურად ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს და რბოლაც ძალზე დაძაბული უნდა გამოვიდეს. ფავორიტთა ჩამოთვლა ცხადია, შვიდგზის ჩემპიონ ლენს არმსტრონგით იწყება, ის ხომ სამწლიანი უქმობის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ ტურის მოსაგებად ბრუნდება ველოსპორტში და ახლა მშობლიური ჯორჯიის გზებზე ცდილობს ძველი ფორმის აღდგენას. 37 წლისაა კია, მაგრამ მისი სავეტერანე ასაკი ვერ ამშვიდებს გაცილებით ახალგაზრდა კონკურენტებს.



დისკვალიფიკაციამოხდილი ივან ბასო

არმსტრონგის მაგალითით ფრთაშესხმული იტალიელი ფაბიენ კანცელარაც მობრუნდა პენსიიდან. ეს ღონიერი მრბოლი სწორედ არმსტრონგის სახეობაში, ინდივიდუალურ რბოლაშია ძლიერი და ასევე რეალურ პრეტენდენტად ჩაითვლება. ტურისთვის მზადყოფნა გამოთქვეს ძლიერმა მთიელებმა — იტალიელებმა დანილო დი ლუკამ და დამიანო კუნეგომ, რომელთაც სათითაოდ მოუგიათ „ჯირო დიტალია“ და გამარჯვებათა კოლექციაში „ტურ დე ფრანსის“ შეტანაზეც არ იტყოდნენ უარს. ჯანზეა მოქმედი ჩემპიონი, ესპანელი კარლოს სასტრე. დიდ ინტრიგას შობს ივან ბასოს დაბრუნებაც, რომელმაც დოპინგის ხმარებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

2009 წლის ტურს ძლიერი მთიელებიდან და ინდივიდუალისტებიდან დააკლდება მხოლოდ 2007 წლის ჩემპიონი ალბერტო კონტადორი, ვინაც წლეულს ჯიროც მოიგო და ვუელტაც და დიდი სამკუთხედი შეკრა. ისმის ჩურჩული, კონტადორს ყაზახურ სუპერგუნდ „ასტანაში“ არმსტრონგისთვის ლიდერობის დათმობა რომ მოუწევს, ამის გამო უარობს მონაწილეობასო.

**განო კოზიაშვილი**

ავტორბოლა

# ჰონდას საშველი არ ჩანს

**ფორმულა ერთის** პრაქტიკულად დაშლილი საჯინიბო „ჰონდა“ თავის გადარჩენას ცდილობს და ახალ მეპატრონეს, ან მდიდარ სპონსორს ეძებს. მის ლონდონის ოფისში საქმიანი ხალხის მიმოსვლა არ წყდება. ეშველება თუ არა საჯინიბოს, ამის თაობაზე ჭორებიც კი არ გამოდის გარეთ.

სულ უკანასკნელი სტუმარი გახლდათ მექსიკელი მილიარდელი, ტელეკომუნიკაციების მაგნატი კარლოს სლიმი, რომელიც ლონდონში ისეთი უშველებელი ვერტმფრენით ჩაფრინდა, რომ დასაფრენად დამზადებულ ადგილზე ვერ დაეშვა, სანამ ირგვლივ მდგომი მანქანები არ გაიყვანეს. მდიდარი კაცი კია, მაგრამ ჯერ არავინ იცის, დათანხმდება თუ არა „ჰონდას“ გაკოტრებისგან ხსნას.

სჯინიბოს ყიდვის სურვილი მანმადე კიდევ ორმა მრავლისშემძლე ადამიანმა გამოთქვა, კერძოდ „ასტონ მარტინის“ მფლობელმა დეივიდ რიჩარდსმა და ფორმულა ერთის დიდ ცირკში ერთი წლის წინ გუნდ „ფორს ინდიას“ შემყვანმა ინდოელმა ვიჯაი მალიამ, მაგრამ ჰონდელები მათ სკეპტიკურად შეხვდნენ. „ეჭვი გვაქვს, რომ მალია ჩვენი ბაზისის თავის გუნდისთვის გამოყენებას აპირებს და ჩვენი ყიდვა იმისთვის სურს, რომ ნაწილ-ნაწილ დაგვშალოს — ამბობს „ჰონდას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნიკ ფრაი — რაც შეეხება რიჩარდსს, მან როგორ უნდა გვიშველოს, როდესაც თავისი „ასტონ მარტინის“ კრიზისიდან გამოსაყვანად ბრიტანეთის მთავრობას სთხოვს ფულს?“

მოკლედ, ხსნა ჯერ არ ჩანს. ამასობაში კი ფორმულა ერთის მმართველები ერთ პრობლემას წააწყდნენ — „ჰონდას“ გამოთიშვის შემდეგ მხოლოდ ათი გუნდი რჩება თავისი ორ-ორი მრბოლით, 20 მრბოლი კი არცთუ ბევრია ასეთი მასშტაბური შეჯიბრისთვის. შეფები თავად ცდილობენ „ჰონდას“ გადარჩენას. თორემ ჯერ არ ჩანს ახალი გუნდი, რომელიც ცარიელ ადგილებს შეავსებს 18 დიდი პრიზის სტარტზე. ისინი განიხილავენ ასეთ ვარიანტსაც: რამდენიმე ღონიერ გუნდს სტარტზე მესამე ბოლიდის გაყვანის ნება დართონ, მხოლოდ იმ პირობით, რომ გუნდურ ჩათვლაში მისი შედეგები არ შევა.



# სპორტი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი



ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი

**მსოფლიო ფინანსური კრიზისი საქმიანობის ყველა სფეროს შეეხო და მათ შორის, ცხადია, სპორტსაც. ამ წერილში კრიზისისა და სპორტის ურთიერთკავშირის რამდენიმე ამბავს გაგაცნობთ...**

## ფულის მეტი რა გვაქვსო

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა თქვა, მსოფლიო ფინანსური კრიზისი ჩვენს ორგანიზაციას არ ემუქრებაო. „ფრანს ფუტბოლთან" საუბრისას ბლატერმა განაცხადა, ფიფას მრავალმილიონიანი მარაგი აქვს, რაც საშუალებას გვაძლევს, თავი კომფორტულად ვიგრძნოთ და იმ კლუბებსაც დავეხმაროთ, რომელთაც კრიზისი შეეხოთო.

მოგეხსენებათ, ფიფას შემოსავლის უმთავრესი წყარო მსოფლიოს ჩემპიონატებიდან მიღებული ფულია. ბლატერმა ისიც განაცხადა, 2010 და 2014 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების საუკეთესოდ ორგანიზებისთვის, ფიფას 516 მილიონი ევრო აქვს გადადებული გაუთვალისწინებელი ხარჯების ასანაზღაურებლადო. თუმცა, 2010 წლის სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატისთვის გაუთვალისწინებელი ხარჯები, წესით, არ უნდა იყოს, რადგან ორგანიზატორთა რწმუნებით, ყველა ხარჯი ადრევე განსაზღვრულ ბიუჯეტში ეტევა.

ერთადერთი, რაც ბლატერს აწუხებს, ტელეტრანსლაციების საფასურის შესაძლო შემცირებაა, რაც ზოგ კლუბს მძიმე ტვირთად დააწვებაო.

## ფერარი და ხელფასები

ფორმულა ერთში კვლავაც ეძებენ ხარჯების შემცირების საშუალებებს და მომდევნო მსხვერპლად, შესაძლოა, პილოტები იქცნენ. უფრო ზუსტად, საფრთხე პილოტთა ხელფასებს ემუქრება.

ამ დროისთვის ყველაზე მაღალანაზღაურებადი „ფერარის" პილოტი ფინელი კიმი რაიკონენია. მისი წლიური ჯამაგირი 50 მილიონი დოლარია, რასაც ბონუსები ემატება.

„ფერარის" მეთაურმა სტეფანო დემენიკალიმ ამასთან დაკავშირებით თქვა: „ამ ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, მათ შორის, კონტრაქტების ღირებულებებიც. ამ საკითხზე გუნდში მსჯელობა გვექნება. ვფიქრობ, არსებულ რეალობაში ვერავინ, ვერც დიდი და ვერც პატარა გუნდები, ვერ შეძლებენ იმ ჰონორარების გადახდას, რასაც ახლა იღებენ ზოგიერთი პილოტები. უახლოეს თვეებში ჩვენ სერიოზული ცვლილებები გველის."

## ვესტ ჰემს ბანკი გაუკოტრდა

ლონდონური „ვესტ ჰემის" ისლანდიელი მეპატრონე ბიორგოლფურ გუდმუნდსონი კლუბის გაყიდვას აპირებს და მყიდველთა მოძიებით არის დაკავებული.

გუდმუნდსონის ეს გადაწყვეტილება იმით არის განპირობებული, რომ ისლანდიის უმსხვილესი ბანკი, რომლის აქციათა თითქმის ნახევარი სწორედ გუდმუნდსონის საკუთრება გახლავთ, გაკოტრდა.

ისლანდიელმა „ვესტ ჰემი" 2006 წელს 161 მილიონ დოლარად იყიდა. როგორც ამბობენ, ამჟამად მოლაპარაკება ხუთ შესაძლო მყიდველთან მიმდინარეობს.

## მანქანები ჩაუწვათ

„სუზუკი" რალიში მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოიხსნა. ეს ნაბიჯი მსოფლიო ფინანსური კრიზისითაა გამოწვეული და „სუზუკის" წარმომადგენლებმა ასეთი კომენტარი გააკეთეს: „მსოფლიო ბაზარზე კომპანიის მანქანების გაყიდვათა მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რის გამოც „სუზუკის" მსოფლიოს ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის დაზოგვა მოუხდა."

## სუბარუმ რალის იაპონია დაუხურა

„სუზუკის" ბედი გაიზიარა „სუბარუმაც", რალიში მსოფლიოს ჩემპიონატიდან ისიც მოიხსნა. „სუბარუს" მეპატრონე კომპანია „ფუჯი ჰევი ინდუსტრიზმა" გამოაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მსოფლიო ფინანსურ კრიზისს უკავშირდება.

ამგვარად, რალის მსოფლიოს ჩემპიონატს ერთი იაპონური კომპანიაც აღარ შემორჩა.

შეგახსენებთ, რომ ახლახან იგივე ბედი ეწია ფორმულა ერთში მონაწილე „ჰონდასაც".

## ნანსი სტადიონს უფასოდ ავსებს

ფრანგული „ნანსის" მეპატრონეებმა ფინანსურ კრიზისთან ბრძოლა ასეთი მეთოდით სცადეს: „ნანსი" — „გრენობლის" მატჩზე დასწრება უფასოდ გამოაცხადეს, რაკი კრიზისმა კლუბის საშინაო მატჩებზე დასწრება მნიშვნელოვნად შეამცირა, გუნდს კი ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში არ სურდა.

„ბევრ ჩვენს გულშემატკივარს ფინანსურად ძალიან გაუჭირდა — განმარტა „ნანსის" პრეზიდენტმა ჟაკ რუსელომ — კლუბმა ფანების დახმარება ამ გზით გადაწყვიტა".

„ნანსის" სტადიონი 20 ათას მაყურებელს იტევს, რომელთაგან 13 500 სეზონური აბონემენტის მფლობელია. ასე რომ, კლუბმა უფასოდ 6 500 ბილეთი დაარიგა.

## ოლიმპიადის ბიუჯეტში გარღვევაა

ფინანსური პრობლემები 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზებასაც შეეხო. ვანკუვერში საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დასრულება. თავდაპირველად ამ საქმისთვის 100-მილიონიანი ბიუჯეტი იყო გამოყოფილი, ახლა კი ირკვევა, რომ დამატებით 193 მილიონია საჭირო, რომლის მოძიების გზები არ ჩანს.

ვანკუვერის ხელისუფალნი ირწმუნებიან, რომ ოლიმპიადის ჩატარებას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ამერიკული და კანადური გაზეთები ფინანსური პრობლემების თაობაზე გამუდმებით წერენ.

## აბრამოვიჩსაც გაუჭირდა

ადრეც გვეწერა, რომ ფინანსური პრობლემების გამო „ჩელსიმ" სკაუტთა შტატი შეამცირა: 25 სკაუტიდან 15 დაითხოვა.

ლონდონური კლუბის სპორტული დირექტორი ფრანკ არნესენი ამბობს, რომ შემცირებები შესაძლოა, კვლავაც გაგრძელდეს და კლუბის სხვა დანაყოფებსაც შეეხოს.

თუმცა კლუბის აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი ირწმუნება, რომ შემცირებები პრიორიტეტული მიმართულებებისთვის მეტი ყურადღების დათმობით არის განპირობებული და მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან საერთო არაფერი აქვს.

ბრიტანული მედია კი თავის ეჭვებს გამოთქვამს. იმასაც ამბობენ, ჯონ ტერი და ფრენკ ლამპარდი სერიოზულად ფიქრობენ, ღირს თუ არა, „ჩელსისთან" ახალი კონტრაქტების გაფორმებაო.

## ვის აქვს ახლა ფული?!

რუს მილიარდერ ალიშერ უსმანოვს, ვინც, მოგეხსენებათ, ლონდონის „არსენალის" აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელია, კლუბში წილის გაზრდა შესთავაზეს, მან კი უარი განაცხადა.

„მეთოფეთა" ერთ-ერთმა აქციონერმა ნინა ბრეისველ-სმიტმა თავისი წილის, 15 პროცენტის გაყიდვა და საქმიდან გასვლა განიზრახა. თავისი აქციები მან უსმანოვს შესთავაზა და 50 მილიონი გირვანქა მოითხოვა.

უსმანოვმა უარი ასე განმარტა: „აქციების ყიდვას ამ ეტაპზე არ ვაპირებ, რადგან უფრო მნიშვნელოვანი პროექტებით ვარ დაკავებული. „არსენალის" დამატებითი აქციების საყიდი სახსრები ახლა არ მაქვს და საერთოდაც, ფული ახლა ყველას უჭირს."

**ბოტე ბებელია**



ალიშერ უსმანოვი



ვანკუვერში ოლიმპიური სოფლის აშენებას ჯერაც ბევრი უკლია




კიმი რაიკონენი

## ქორქია-საკანდელიძის მემორიალი

რუსთავი. „ქიმიკოსები“. 21-24 დეკემბერი

# თავი და თავი ისევ რუსთავია

## ენერჯიმ მემორიალური თასი „ქიმიკოსებში“ დატოვა



გამარჯვებულთა კაპიტან კოტე ტულუშს თასი გარდაცვლილი მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მეუღლეებმა გადასცეს

ირაკლი ფირაშვილი *რუსთავიდან*

ქორქია-საკანდელიძის მემორიალური ტურნირის მეოთხე გათამაშება წინა სამზე ბევრად უინტერესო გამოვიდა. მასპინძლობა კვლავ რუსთავის „ენერჯი-ინვესტის“ შინაურმა სარბიელმა „ქიმიკოსთა“ დარბაზმა გასწია, რომელიც მხოლოდ ფინალისას თუ შეივსო, ისიც ბოლომდე ვერა. თუმც ტურნირი სპორტის სასახლეში რომ გამართულიყო და ჩირლიდერებით გაცოცხლებულიყო, ალბათ, ბევრად მეტ მაყურებელს არც იქ მიიზიდავდა.

ფინანსური პრობლემების გამო მონაწილეობაზე თავიდანვე უარი თქვეს სუპერლიგის მკვიდრებმა — „ავიამშენმა“, „ბათუმმა“ და თსუ-მ. ეს უკანასკნელი საერთოდ დაშლის პირასაა, მოთამაშეები ტოვებენ უნივერსიტეტის წლების განმავლობაში სიმპათიურ გუნდს და სტუდენტთა ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბარბაქაძემ უკვე იპოვა ახალი გუნდი — ის ნტდ-ში დაბრუნდა, რომლის რიგებშიც ჯერ კიდევ აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაშობდა და ამ ქვეყნის ნაკრებშიც ირიცხება გაქართულებული ნტდ-ს ოთხ აზერბაიჯანელ მოთამაშესთან ერთად.

ტურნირს განსაკუთრებით დააკლდა წინა გათამაშების ჩემპიონი „ავიამშენის“ არყოფნა. ნუთუ ასე გაუჭირდა ლევან მოსეშვილის გუნდს რუსთავში სამჯერ ჩასვლა? ცუდი იქნება, თუ ამ შედარებით ღონიერ კლუბსაც შეეხება ფინანსური სუსხი.

ასე იყო თუ ისე, მასპინძელ და ფავორიტ „ენერჯი-ინვესტს“ მეტნაკლებად ტოლძალოვანი მეტოქე მოაკლდა, ტურნირს კი ინტრიგა. საერთოდ როგორ უნდა ახსნო სპორტული დაძაბულობა, როდესაც შვიდი თამაშიდან ერთიც არ ჩამთავრებულა ბრძოლაში და ყველაზე მცირე სხვაობა ნტდ-„მაკაბის“ შეხვედრაში დაფიქსირდა — ნუგზარ კანდელაკის გუნდმა არაფრისგადამწყვეტ მატჩში 19 ქულით მოუგო ჯამლეტ ხუხაშვილისას. სხვა შეხვედრებში, მათ შორის გადამწყვეტებშიც კი, გაცილებით დიდი იყო სხვაობა.

ა ჯგუფში ორი იოლი გამარჯვებით პირველი ადგილი დაიკავა „ნტდ-თბილისმა“. ბ ჯგუფი კი „ენერჯი-ინვესტისა“ გახლდათ. აქ საინტერესო გამოვიდა „სასოფლოსა“ და შსს-ს შეხვედრა. უმწვრთნელოდ მოთამაშე შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა ბოლო ადგილის არიდება სცადა და პირველ ტაიმში დიდი, ემოციებით გაჯერებული ბრძოლა გაუმართა გაცილებით დაწყობილ და აწყობილ „სასოფლოს“. გამოირჩეოდნენ ფარქვეშეთში — ქართული კალათბურთის ბერმუხა კახა შენგელია; პერიმეტრზე — ბექა გოლეთიანი; სათადარიგოთა სკამზე — მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი 3-4 მოთამაშე. მაგრამ თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ მეორეში მუხტი მხოლოდ გოლეთიანს შერჩა და „სასოფლომაც“ ძალდაუტანებლად მიიყვანა თამაში 23-ქულიან გამარჯვებამდე.

ფინალმაც მხოლოდ ნაწილობრივ გაამართლა მაყურებლის მოლოდინი, რომელიც პირველ ტაიმში მღელვარედ განიცდიდა სტუმარ-მასპინძლის ყოველი შეტევის გადვირგვინებას, მეორეში კი ინტრიგა მალევე ამოიწურა. ბესიკ ლეჟავას სამი სამქულიანის წყალობით „ენერჯი“ 8 ქულით დაწინაურდა. ნტდ არ დანებდა, სხვაობა მალევე დაფარა და სარიევმა სამქულიანით 20:20 გაათანაბრა, თუმც მასპინძლებმა წინ აღარ გაუშვეს — გამყრელიძემ ორ შეტევაში 5 ქულა გააკეთა, ჭოჭუამ კი საწყის მეოთხედში 7-ქულიანი სხვაობა დააფიქსირა.

მეორე მეოთხედში „ენერჯიმ“ უპირატესობის განმტკიცება მოისურვა და ეს თითქმის გამოუვიდა — 16 ქულით დაწინაურდა, მაგრამ ბარბაქაძემ ზედიზედ ოთხი სწრაფი ქულა გააკეთა, მისმა გუნდმა 7:0 გაქცევით დაასრულა მეოთხედი და დიდ შესვენებაზე არცთუ უსაშველო 9-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა.

ბრძოლას ველოდით მესამე პერიოდშიც, მაგრამ ყველაფერი ძალიან მალე დასრულდა. მთელი სისწრაფით და გაქანებით ათამაშებულმა „ენერჯიმ“ ერთბაშად წალეკა მეტოქე — შეტევას არ აფუჭებდა, მაშინ როდესაც ნტდ შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ექვსნახევარი წუთი ქულებს მხოლოდ მასპინძლები აგროვებდნენ, ეს მონაკვეთი 23:0 (!) მოიგეს და ყველაფერიც აქ დასრულდა. სიმართლე ითქვას, ასეთი შედეგი ლოგიკურიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნტდ-მ მოქმედ ჩემპიონს წლევანდელი ჩემპიონატის მატჩში გაცილებით მეტი წინააღმდეგობა გაუწია და ნაკლები სხვაობით დამარცხდა, ეს გუნდი ვერაა მისი სრულფასოვანი მეტოქე. აზერთა ოთხეულს ერთი შეხედვით არა უშავს, მაგრამ თუ ისინი „მაკაბისთან“ იოლას გავლენ, „ენერჯის“ ნამდვილად ვერ გასწვდებიან. დავით ბარბაქაძე კი იბრძვის, მაგრამ... გამყრელიძე, ტულუში, ბაბიაშვილი, უგრეხელიძე, ლეჟავა... მარტო მოუგებ ამ გუნდს, რომლის სათადარიგოებიც კი უკეთესი მოთამაშეები არიან, ვიდრე სხვათა ძირითადები?

„ენერჯის“ შემადგენლობით მხოლოდ „ავიამშენი“ თუ შეედრება, ძირითადად სამქულიანების იმედად მოთამაშე ნტდ კი... რაღაც სხვა უნდა მოიფიქროს ნუგზარ კანდელაკმა ჩემპიონთან საბრძოლველად. თქმაც არ უნდა, არ დანებდება და მხოლოდ პლეი ოფის უკანასკნელი მატჩის წაგების შემდეგ ჩათვლის თავს დამარცხებულად, მანამდე კი იმ ბიჭებთან იმუშავებს, ვინც მის ხელთ არიან და დანამდვილებით გეტყვით, ბევრად უკეთეს გუნდს დააყენებს, ვიდრე 24 დეკემბერს ვნახეთ. მას ყოველთვის გამოსდიოდა სუსტის ძლიერად ქცევა და უფრო ძლიერთან თამამად შებმა. გავიხსენოთ თუნდაც უხელფასო „ბასკოთი“ დრაჟენ ბრაიკოვიჩის „სუპერდინამოს“ გამწარება, ანაც აზერბაიჯანში რიმას კურტინაიტისის ნაპატიევი გუნდის შერცხვენა.

დღეს კი დავით უსტიაშვილის „ენერჯი“ უკონკურენტოა და ტურნირის ფინალის 31 ქულით მოგება სავსებით კანონზომიერი სხვაობაა. საუკეთესოები არიან მისი შეგირდებიც და სიმბოლური პრიზებიც მათ შეხვდათ. ზურაბ საკანდელიძის ამპლუაში (გამთამაშებელი) საუკეთესოდ დასახელდა ლაშა გამყრელიძე, მიხეილ ქორქიას პოზიციაზე (ფრთა-მსუბუქი ფორვარდი) კი ბესიკ ლეჟავა გამოირჩა.

21 დეკემბერი

**ნტდ-თბილისი 93:57 დინამო**

**შსს 72:96 ენერჯი**

22 დეკემბერი

**დინამო 94:73 მაკაბი**

20:21 16:15 37:17 21:20

დინამო: ბაქრაძე (8), სიგუა (11), ლაფანაშვილი (20), ქადარია (25), ხანიაშვილი (4); ნანიტაშვილი (9), ხიზანიშვილი (8), დოლიძე (4), გემაზაშვილი (3), კობიძე (2)

მაკაბი: სუდაძე (2), ანთაძე (18), ჯანგველაძე (11), იოსელიანი (15), ბიბილური (10); კილაძე (4), არონი (3), თევზაძე (3), რევაზიშვილი (3), მეზვრიშვილი (2), ჯავახიშვილი (2), კოპალიანი

*მსაჯები: რ. ხომერიკი, რ. გელოვანი*

**ენერჯი 93:59 სასოფლო**

27:11 22:15 24:19 20:14

ენერჯი: გამყრელიძე (6), ტულუში (17), ლეჟავა (7), ბაბიაშვილი (10), უგრეხელიძე (8); ტუჯანი (16), ცაავა (11), ჭოჭუა (9), ხმელიძე (5), დიდია (2), არწივიძე (2), აბაიშვილი

სასოფლო: წივწივაძე (11), მარხვაშვილი (22), გულისაბედაშვილი (4), ტყეშელაშვილი (8), ათანელიშვილი (7); ყველაშვილი (4), გ. ბარბაქაძე (3), ბოქოლიშვილი, გასიტაშვილი, ცერცვაძე

*მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე*

23 დეკემბერი

**სასოფლო 87:64 შსს**

22:15 12:21 19:12 34:16

სასოფლო: წივწივაძე (11), მარხვაშვილი (27), გ. ბარბაქაძე (16), ტყეშელაშვილი (16), ათანელიშვილი (3); ყველაშვილი (12), გულისაბედაშვილი (2), თვაური

შსს: ნინუა (8), ფაიქრიძე, ბერუაშვილი (4), აბულაძე (11), შენგელია (11); გოლეთიანი (16), ბ. ნოზაძე 8), პატარაია 6), დ. ბაქრაძე, მიქაბერიძე, გურგენიძე, ბერია

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. მაჭავარიანი

**მაკაბი 68:87 ნტდ-თბილისი**

22:22 14:24 19:23 13:18

მაკაბი: კილაძე (13), თევზაძე (6), ანთაძე (14), ლონდარიძე (26), ბიბილური (5); რევაზიშვილი (2), ჯავახიშვილი (2), არონია, მეზვრიშვილი

ნტდ-თბილისი: ნუეტალიევი (4), ფაშაევი (5), სარიევი (11), ბარბაქაძე (16), ბახშიევი (7); ჩიტაშვილი (16), კუიდია (7), სუხიშვილი (7), ტატელაშვილი (5), გლოველი (5), როდუმტა (2), კოლუაშვილი (2)

*მსაჯები მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა*

**A ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნტდ-თბილისი | 2 | 0 | 180:125 |
| დინამო | 1 | 1 | 151:166 |
| მაკაბი | 0 | 2 | 141:181 |

**B ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ენერჯი | 2 | 0 | 189:131 |
| სასოფლო | 1 | 1 | 146:157 |
| შსს | 0 | 2 | 136:183 |

24 დეკემბერი

**ფინალი**

**ენერჯი 91:60 ნტდ-თბილისი**

27:20 15:13 34:8 15:19

ენერჯი: გამყრელიძე (13), ტულუში (19), ლეჟავა (17), ბაბიაშვილი (12), უგრეხელიძე (11); ტუჯანი (6), ჭოჭუა (4), დვალიშვილი (4), არწივიძე (3), დიდია (2), მაჭავარიანი, ხმელიძე

ნტდ-თბილისი: ნუეტალიევი (3), ფაშაევი, სარიევი (14), ბარბაქაძე (28), ბახშიევი (5); ჩიტაშვილი (4), სუხიშვილი (4), როდუმტა (2), კეიდია, გლოველი, კოლუაშვილი

*მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი*
*კომისარი: თ. ქიქოძე*



ჰიდილი „მაკაბის“ ფარქვეშეთში

## გცივათ? იმსაჯეთ!

**მემორიალის** მეორე დღეს ერთი ინციდენტი მოხდა — მსაჯებმა სრული შემადგენლობით გამოაცხადეს ერთგვარი მინი-გაფიცვა.

მსაჯი ფედერაციის მიერ დანიშნული ოფიციალური პირია და ვალდებულია, ბოლომდე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. ეს, ცხადია, ქართველმა არბიტრებმაც იციან, მაგრამ ზოგჯერ გვერდს უვლიან მოვალეობას. მაგალითად, შესვენებას, ასე ვთქვათ, დროს ჰპარავენ და დადგენილზე ადრე იწყებენ მატჩს, რათა მალევე დასრულდეს და გაყინულ დარბაზში ნაკლებად მოუწიოთ გაჩერება. მეორე მაგალითია ტაბლოსთან არცთუ უზადო მუშაობა, და ასეთები...

ამის გამო მსაჯები რამდენჯერმე დაჯარიმდნენ. ახლა კი, როცა ფედერაციის წარმომადგენლებმა ვალდებულებათა ზედმიწევნით შესრულება მოსთხოვეს, მათ სახელდახელო გაფიცვა მოაწყვეს და მოედანზე არ გასულან. ამის გამო 22 დეკემბერს „დინამოსა“ და „მაკაბის“ შეხვედრის გაძღოლა მოუხდათ „გადამდგარ“ არბიტრებს — 60 წლის როლანდ გელოვანსა და 75 წლის (!) როლანდ ხომერიკს.

თუმც ინციდენტი მალე ამოიწურა. მეტიც, „ენერჯისა“ და „სასოფლოს“ შორის შემდეგ შეხვედრას ორის მაგივრად სამი არბიტრი უძღვებოდა. ქართული კალათბურთის სამივე წამყვანი მსაჯი მოედანზე იყო — მაკა კუპატაძეც, ზაზა მაჩალაძეც და დავით ბერეკაშვილიც.

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირიდან კვირამდე

**21 დეკემბერი**
ატლანტა 85:78 დეტროიტი
ვაშინგტონი 86:97 დალასი
ბოსტონი 124:105 ნიუ იორკი
ოკლაჰომა 91:102 კლივლენდი

**22 დეკემბერი**
ორლანდო 113:81 გოლდენ სტეიტი
ნიუ ჯერსი 91:114 ჰიუსტონი
მემფისი 96:105 ლეიკერსი
სან ანტონიო 101:85 საკრამენტო
დენვერი 97:89 პორტლენდი
კლიპერსი 75:97 ტორონტო

**23 დეკემბერი**
ატლანტა 99:88 ოკლაჰომა
კლივლენდი 99:90 ჰიუსტონი
ინდიანა 107:108 ნიუ ჯერსი
შარლოტი 80:73 ვაშინგტონი
ბოსტონი 110:91 ფილადელფია
მაიამი 96:88 გოლდენ სტეიტი
დეტროიტი 104:98 ჩიკაგო
მილუოკი 94:86 იუტა
ნიუ ორლეანი 87:100 ლეიკერსი
სან ანტონიო 99:93 მინესოტა
დალასი 100:82 მემფისი
პორტლენდი 101:92 დენვერი

**25 დეკემბერი**
ორლანდო 88:68 ნიუ ორლეანი
ფინიქსი 90:91 სან ანტონიო
ლეიკერსი 92:83 ბოსტონი
კლივლენდი 93:89 ვაშინგტონი
პორტლენდი 94:102 დალასი

**26 დეკემბერი**
მაიამი 90:77 ჩიკაგო
ნიუ ჯერსი 87:95 შარლოტი
ნიუ იორკი 107:120 მინესოტა
დეტროიტი 90:88 ოკლაჰომა
ნიუ ორლეანი 88:79 ჰიუსტონი
მემფისი 108:105 ინდიანა
იუტა 97:88 დალასი
დენვერი 105:101 ფილადელფია
საკრამენტო 101:107 ტორონტო
გოლდენ სტეიტი 99:89 ბოსტონი

**27 დეკემბერი**
შარლოტი 103:114 ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი 104:95 ოკლაჰომა
ატლანტა 129:117 ჩიკაგო
მინესოტა 94:118 ორლანდო
ჰიუსტონი 120:115 იუტა
სან ანტონიო 106:103 მემფისი
მილუოკი 76:87 დეტროიტი
პორტლენდი 102:89 ტორონტო

### კვირის ლიდერები

**ქულა**

| | | |
|---|---|---|
| ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 27.12 | 41 |
| როდნი სტაკი (დეტროიტი) | 23.12 | 40 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 23.12 | 38 |
| ჯერმენ ონილი (ტორონტო) | 25.12 | 36 |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | 23.12 | 36 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 22.12 | 36 |
| ბენ გორდონი (ჩიკაგო) | 27.12 | 33 |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | 27.12 | 32 |
| ბრენდონ როი (პორტლენდი) | 27.12 | 32 |
| ჯერალდ ვოლესი (შარლოტი) | 27.12 | 32 |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 23.12 | 32 |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 23.12 | 31 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 21.12 | 31 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 22.12 | 31 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 25.12 | 30 |

**მოხსნა**

| | | |
|---|---|---|
| ჯოელ პრჟიბილა (პორტლენდი) | 23.12 | 19 |
| ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 23.12 | 18 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 25.12 | 17 |
| რენდი ფოი (მინესოტა) | 23.12 | 16 |
| შონ მერიონი (მაიამი) | 23.12 | 16 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 22.12 | 16 |

**პასი**

| | | |
|---|---|---|
| დერონ უილიამსი (იუტა) | 25.12 | 13 |
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 25.12 | 12 |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 23.12 | 6 |
| ლუკ რიდნური (მილუოკი) | 23.12 | 6 |
| ბენო უდრიში (საკრამენტო) | 22.12 | 6 |

**დაფარება**

| | | |
|---|---|---|
| კრის ანდერსენი (დენვერი) | 22.12 | 6 |
| ჯერმენ ონილი (ტორონტო) | 22.12 | 5 |
| ერიკ დამპიე (დალასი) | 23.12 | 5 |

# ლეიკერსსელტიქსიანი

## ბოსტონმა ტრიუმფალური სვლა 19 მოგებაზე შეწყვიტა

**ნბა-მ** ლამაზი საშობაო საჩუქარი უძღვნა კალათბურთის მოყვარულებს — ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში" შეაჯახა უხსოვარი დროიდან ერთმანეთის მეტოქეები „ლეიკერსი" და „სელტიქსი", ორი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, ბოლო ფინალის ორი მონაწილე და მიმდინარე სეზონშიც ორი გამორჩეულად ძლიერი გუნდი.

მწვრთნელებსაც — ფილ ჯექსონსა და დოკ რივერსსაც კი განსაკუთრებული მეტოქეობა ჩამოუყალიბდათ, მიუხედავად იმისა, რომ სახელი სულ სხვა გუნდებში მოიხვეჭეს. „დიდი ფილის" „ჩიკაგო" 80-90-იან წლებში წარამარა ამწარებდა იმ ხანად მოთამაშე დოკის „ატლანტას" და „ნიუ იორკს". მაგრამ რივერსმა მოგვიანებით სრულად დაუბრუნა ხურდა, როდესაც 2000 წელს უსუსტეს „ორლანდოში" მწვრთნელად შემდგარმა ძლევამოსილ „ლეიკერსში" გადასულ ჯექსონს სეზონის საუკეთესო მწვრთნელის წოდება ცხვირწინ ააცალა, ხოლო ამ ზაფხულს ჩემპიონობაც აართვა, ამასთან მაგრად შეარცხვინა ლოს ანჯელესში, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ, როცა ფინალური სერიის მეოთხე შეხვედრაში 24-ქულიანი ჩამორჩენა ამოულო და „ბოსტონი" 3:1 მოსწყვიტა „ლეიკერსს". მაგრამ ახლა „დიდი ფილის" ჯერი დამდგარიყო...

„კელტები" საკუთარი ძლიერების სრული შეგრძნებით ჩავიდნენ ანგელოზების ქალაქში. მათ 15 ნოემბრის შემდეგ არ ეწვნიათ მარცხი, მას მერე ზედიზედ 19 მეტოქე დააჩოქეს და 1982 წლის დროინდელი საკლუბო რეკორდი — მიყოლებით 18 გამარჯვება — დაამხეს. მაგრამ „ლეიკერსიც" კარგად მომზადებული დახვდა, ეს გუნდიც ბრწყინვალე ფორმაშია, ხოლო შურისძიების ექვსთვიან მოლოდინში დაგროვილმა ბოღმამ დამატებითი ძალა შესძინა.

მასპინძლებმა მძიმედ დაიწყეს — შეტევაში მათი კომბინაციების დამაგვირგვინებელი პაუ გასოლი ვერაფრით აზრზებდა ჩაგდებას, ზედიზედ ოთხი სროლა ააცილა, თუმც ეს ნახვრეტი მისიანებმა ამოქოლეს და მალევე დაწინაურდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში გახსნა სტუმარმა რეი ალენმა ზუსტი სამქულიანით.

„ლეიკერსმა" საწყისი მეოთხედი მინიმალური სხვაობით დათმო, თუმც მეორეში კობი ბრაიანტმა სწრაფი ოთხი ქულა გაჩარხა, სათადარიგო საშა ვუიაჩიჩმა კი ერთბაშად რვა გაიღო და მასპინძლები 10 ქულით მოსწყვიტა მეტოქეს. შეხვედრის მაქსიმალური სხვაობაც ეს იყო. „ბოსტონი" მალევე გამოერკვა, ჯიუტი კუს ნაბიჯებით იწყო ჩამორჩენის შემცირება და მესამე მეოთხედის შუაწელს დაეწია მეტოქეს. ბევრს სცოდავდა ალენი, მაგრამ მან მაინც ჩააგდო რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი. მესამეს დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გარღვევით მოიხვეჭა ორი ქულა და 62:62 გაათანაბრა ანგარიში, სტუმართა კაპიტანმა პოლ პირსმა კი ასევე ორიანით საწყისი წუთების შემდეგ „სელტიქსი" პირველად გაალიდერა.

ნერვების თამაში, რა თქმა უნდა, ბოლო 12-წუთეულშიც გაგრძელდა. ძირითადად მასპინძლები ლიდერობდნენ, თუმც დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე სტუმართა ლიდერმა კევინ გარნეტმა ზედიზედ მოიხვეჭა ოთხი ქულა და კიდევ ერთხელ, 81:79 დააწინაურა „ბოსტონი". ეს იყო მორიგი მესიჯი კობი ბრაიანტისა და მისი გუნდისთვის — თუ გამარჯვება სურდათ, საქმე აღარ უნდა გაეჯანჯლებინათ და რაც შეიძლება მალე უნდა გაეტეხათ მეტოქე, რომელიც თავისით ჩაბარებას არ აპირებდა და მწარედ იკბინებოდა.

სწორედ დროულად გამოიღვიძა პაუ გასოლმა. ჯერ ბრაიანტმა 81:81 გაათანაბრა და სკამებიდან წამოყარა 19 ათასი ლოსანჯელესელი მაყურებელი. შემდეგ კი ესპანელის ჯერი დადგა და მანაც ზედიზედ ორ შეტევაში იხეირა. სულ პაუმ ბოლო 3 წუთში 7 ქულა მიაშველა თავისიანებს, რომლებიც ქომაგთა მხარდაჭერით ფრთაშესხმულები დაცვაშიც ყოჩაღობდნენ. „ბოსტონს" ველარ უშველა ვერც გარნეტის მორიგმა ორქულიანმა და ვერც რივერსის ორმა ტაიმაუტმა. ბოლო წუთები მთლიანად მასპინძლებისა იყო და მათ მძლავრად დაასრულეს სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჯახი.

„ბოსტონ სელტიქსმა" ასე შეწყვიტა თავისი ტრიუმფალური სვლა, თუმც თავად „კელტებს" დიდად არ განუცდათ ეს მარცხი. წინ ხომ კიდევ ამდენი დაძაბული დაპირისპირება მოელით.

ლოსანჯელესელები კი ცხადია, კმაყოფილობდნენ. „დიდი ხანი ველოდით ამ დღეს — გუნდის სახელით თქვა საშა ვუიაჩიჩმა — ჩვენ ყველას გვეზიზღება ეგ გუნდი, მათ გამო სუსტებს გვეძახიან, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რაც შეგვიძლია და დღეს ჩვენი ძალა ყველას დავანახვეთ. მერე რა, რომ ჩემპიონები ეგენი არიან, პირობას გაძლევთ, ეს სეზონი ჩვენი იქნება."

სიმბოლურია, რომ ეს გამარჯვება მე-1000 გამოდგა ფილ ჯექსონისთვის და ამით იგი ათასიანთა კლუბის მეექვსე წევრი შექნა, მაგრამ საამაყოდ ის ექნება, რომ ამ ნიშნულამდე მისვლას ყველაზე ცოტა თამაში მოანდომა — სულ რაღაც 1423. მანამდე ამ კლუბის უსწრაფესი წევრი პატ რაილი გახლდათ, რომელმაც 1000 მოგება 1434 თამაშში გამოჭედა.

„გულწრფელად აღფრთოვანებული ვარ მისით — დოკ რივერსმაც კი შეაქო მისი მძლეველი ოპონენტი — დარწმუნებით გეტყვით, რომ მე აქამდე ვერ მივალ, უბრალოდ ვერ გავძლებ ამდენი ხანი."

**ირაკლი ფირცხილი**

**კვირის მატჩი.** 25 დეკემბერი. ლოს ანჯელესი

**ლეიკერსი 92:83 ბოსტონი**
23:24 28:21 20:22 21:16

**ლეიკერსი:** ფიშერი (6), ბრაიანტი (27), უოლტონი (8), გასოლი (20), ბაინამი (9); ოდომი (10), ვუიაჩიჩი (10), არიზა (2), რადმანოვიჩი

**ბოსტონი:** რონდო (6 ქულა, 12 პასი), რ. ალენი (14), პირსი (20 ქულა, 10 მოხსნა), გარნეტი (22), პერკისი (8); ტ. ალენი (6), დევისი (4), პაუსი (2), პოუი (2), სკალაბრინი



კობი ბრაიანტი კედრიკ პერკინსს თავზე წამოაჯდა

### აღმოსავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 27 | 4 | 87,1 | 17-1 | 10-3 | 2 წაგ | 8-2 |
| ნიუ ჯერსი | 15 | 15 | 50,0 | 5-11 | 10-4 | 1 მოგ | 4-6 |
| ფილადელფია | 12 | 17 | 41,4 | 7-8 | 5-9 | 3 წაგ | 4-6 |
| ტორონტო | 12 | 18 | 40,0 | 5-8 | 7-10 | 1 წაგ | 4-6 |
| ნიუ იორკი | 11 | 17 | 39,3 | 7-6 | 4-11 | 5 წაგ | 3-7 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 15 | 4 | 86,2 | 15-0 | 10-4 | 5 მოგ | 9-1 |
| დეტროიტი | 17 | 11 | 60,7 | 9-5 | 8-6 | 3 მოგ | 6-4 |
| მილუოკი | 14 | 17 | 45,2 | 8-5 | 6-12 | 1 წაგ | 5-5 |
| ჩიკაგო | 13 | 17 | 43,3 | 10-3 | 3-14 | 3 წაგ | 4-6 |
| ინდიანა | 10 | 19 | 34,5 | 6-7 | 4-12 | 2 წაგ | 3-7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 24 | 6 | 80,0 | 13-3 | 11-3 | 7 მოგ | 9-1 |
| ატლანტა | 19 | 10 | 65,5 | 13-2 | 6-8 | 4 მოგ | 7-3 |
| მაიამი | 16 | 12 | 57,1 | 10-5 | 6-7 | 4 მოგ | 7-3 |
| შარლოტი | 11 | 20 | 35,5 | 8-11 | 3-9 | 1 წაგ | 4-6 |
| ვაშინგტონი | 5 | 23 | 17,9 | 4-12 | 1-11 | 1 მოგ | 2-8 |

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| სან ანტონიო | 20 | 10 | 66,7 | 12-5 | 8-5 | 5 მოგ | 8-2 |
| ნიუ ორლეანი | 17 | 9 | 65,4 | 10-4 | 7-5 | 1 მოგ | 7-3 |
| ჰიუსტონი | 20 | 11 | 64,5 | 10-3 | 10-8 | 1 მოგ | 7-3 |
| დალასი | 17 | 12 | 58,6 | 8-6 | 9-6 | 1 წაგ | 6-4 |
| მემფისი | 10 | 20 | 33,3 | 8-8 | 2-12 | 1 წაგ | 5-5 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 19 | 11 | 63,3 | 11-4 | 8-7 | 1 მოგ | 6-4 |
| პორტლენდი | 19 | 12 | 61,3 | 11-3 | 8-9 | 1 მოგ | 5-5 |
| იუტა | 18 | 14 | 56,2 | 11-4 | 7-10 | 1 წაგ | 5-5 |
| მინესოტა | 5 | 24 | 17,2 | 2-12 | 3-12 | 1 წაგ | 1-9 |
| ოკლაჰომა | 3 | 28 | 9,7 | 2-13 | 1-15 | 4 წაგ | 1-9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 24 | 5 | 82,8 | 15-1 | 9-4 | 3 მოგ | 7-3 |
| ფინიქსი | 16 | 12 | 57,1 | 9-6 | 7-6 | 1 წაგ | 5-5 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 22 | 29,0 | 5-7 | 4-15 | 1 მოგ | 3-7 |
| კლიპერსი | 8 | 20 | 28,6 | 3-11 | 5-9 | 2 წაგ | 5-5 |
| საკრამენტო | 7 | 23 | 23,0 | 5-10 | 2-13 | 5 წაგ | 2-8 |

## ქართველები უცხოეთში

# ქართული 28 ქულა რუსებს

## მანუჩარ მარკოიშვილმა ცსკა-სთან დათმობილი დინამოსთან დაიბრუნა



**მანუჩარ მარკოიშვილი** უნიჭო მოთამაშე რომ ყოფილიყო, 11 წლისა „ბენეტონში" ვერ მოხვდებოდა და ევროლიგის ფინალში ვერ ითამაშებდა. შემდეგ რატომ ველარ წავიდა მისი კარიერა აღმა, ეს უფრო უიღბლობის და ხშირი ტრავმიანობის ბრალია, რაც ბოლო წლებში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ქართველ უკანახაზელს ევროგრანდში დამკვიდრების საშუალებას არ აძლევს.

ამის გამო შერჩა მანო „ბკ-კიევს", რომელიც უკრაინაში საუკეთესო კია, მაგრამ ევროპის მასშტაბით ალბათ მაინც საშუალებში წერია. ის ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და თავისი სნაიპერული თვისებები ბანკ ვითიბი-ს მიერ ორგანიზებულ და ახლახანს დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზეც გამოავლინა.

ამ ტურნირზე უკრაინული, ლიტვა-ლატვიური და რუსული გუნდებიც მონაწილეობდნენ თვით ყოვლისშემძლე ცსკა-ს ყოჩობით და გამარჯვებაც, რა გასაკვირია და, „წითელარმიელებს" დარჩათ. მაგრამ სოლიდურად გამოიყურებოდა „ბკ-კიევიც".

მარკოიშვილის გუნდმა ნახევარფინალში ვერაფერი მოუხერხა ცსკა-ს და 58:88 განადგურდა. 58 ქულიდან 17 ქართველი მსროლელის ანგარიშზე მოვიდა. მაგრამ ეს „დანაშაული" უკრაინის ჩემპიონმა მეორე რუსულ გუნდთან, მოსკოვის „დინამოსთან" გამოისყიდა, როცა მას მესამე ადგილისთვის მატჩში 86:73 აჯობა და ბევრიც გაალა. „დინამო" ხომ ღონიერ რუსულ სუპერლიგაში მხოლოდ ცსკა-ს ჩამოუვარდება. ამ შეხვედრაში მარკოიშვილი კიეველებს ნამდვილ ლიდერად მოევლინა და 28 ქულა დაატეხა რუსებს.

რიგიანად გამოიყურებიან ესტონური „ტარტუ როკის" ქართველი ლეგიონერებიც — გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე. გასული კვირის დასაწყისში „როკერებმა" ბალტიის ლიგაში ლიტვური „ნევეჟისი" 86:78 დაამარცხეს და მოგებაში 12-ქულიანი წილი დაიდო გამთამაშებელმა ცინცაძემ. სანიკიძემ ეს შეხვედრა რატომღაც გამოტოვა, სამაგიეროდ მან ლიგის მეორე შეხვედრაში კიდევ ერთ ლიტვურ გუნდ „ლიეტუვოს რიტასთან" ორმაგი დუბლი შეასრულა — 30 წუთში 17 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა, თუმც თავისი გუნდი მარცხს ვერ აარიდა — „რიტასმა" 97:82 იძალა. ცინცაძემ კი ამ შეხვედრაში 12 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნა მოაგროვა.

ესპანეთში გადავინაცვლოთ, სადაც საქართველოს ნაკრების სამი წევრი თამაშობს: ნიკა ცქიტიშვილის „ფუენლაბრადა" ტაირონ ელისის „კახასოლს" შეხვდა და დაძაბული შეხვედრიდან 84:79 გამარჯვება გამოიტანა „კახასოლს" დიდი ჯაფა ადგას, გაუჭირდება პრიმერადივიზიონში ადგილის შენარჩუნება — 13 ტურში მხოლოდ 1 გამარჯვება ვერაა ნათელი მომავლის მაჩვენებელი. „ფუენლაბრადა" უკეთეს დღეშია — 6 მოგებით და 7 წაგებით ცხრილის შუაშია, გასავარდნი ზონიდან საკმაოდ შორს. რაც შეეხებათ ცქიტიშვილსა და ელისს, ნიკამ ამ შეხვედრაში 26 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნა და 2 პასი გააზერხა, ქართულპასპორტიანმა ამერიკელმა კი 10 ქულას მოუყარა თავი.

ვოვა ბოისას „მენორკამ" ასევე დაძაბულ ბრძოლაში 78:74 აჯობა „გრანადას". ჩვენებურის მონაგარი არცთუ მსუყეა — 20 წუთში მხოლოდ 5 ქულა.

ბოლოს ზაზა ფაჩულიას ამბავი მოვყვეთ: მისი „ატლანტა" ნბა-ში მთლად გრანდიევით ვერა, მაგრამ საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურება და აღმოსავლეთ კონფერენციაში საპატიო მეოთხე ადგილის დაცვას ახერხებს „დეტროიტისა" და „მაიამის" „აგრესიისგან". ჯორჯიელებმა ზედიზედ ოთხი თამაში მოიგეს, მათ შორის, სამი გასულ კვირაში. ფაჩულიას პირადი მონაგარი არცთუ შთამბეჭდავია, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომის და საშუალოდ 20-ოდ წუთით თამაშის წინაამდეგი ალბათ არც თვითონ უნდა იყოს, როცა მისი გუნდი იგებს. ზაზა მიეჩვია საკუთარი ინტერესების გუნდისთვის შეწირვას და დათანხმდა ეპიზოდური როლის შესრულებას, მაშინ როდესაც ორი სეზონის წინ, ანუ ძირითად ცენტრად ქცეული ალ ჰორფორდის მისვლამდე ხუთეულში ის იდგა და უხეშად რომ ვთქვათ, გუნდში მესამე-მეოთხე კაცი იყო.

კონკრეტულად ამ კვირის თამაშებიდან ყველაზე ბარაქიანი ზაზასთვის შაბათისა გამოდგა, რომელიც მისმა გუნდმა 129:117 მოუგო „ჩიკაგოს". ქართველმა ცენტრმა 21 წუთში 10 ქულა, 7 მოხსნა და 2 პასი გააზერხა. ის ბოლო ათ თამაშში პირველად შესწვდა ქულებში ორნიშნა მონაგარს. მანამდე კი „ოკლაჰომასთან" 18 წუთში 8 ქულა და 4 მოხსნა გააკეთა, „დეტროიტთან" კი ექვს წუთში 4 ქულას და 2 მოხსნას დასჯერდა.

**ირაკლი ფირაშვილი**



ზაზა ფაჩულია პირად ინტერესებს გუნდს სწირავს

---

ჭიდაობა

# ხასაიამ მოიოჩინა და დაიწყო

**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ბადრი ხასაიამ ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში დაიწყო. მან შემოდგომაზე კიევში გაიკეთა მხრის ოპერაცია და სარეაბილიტაციო პერიოდმა ამ დრომდე გასტანა.

შეგახსენებთ, რომ ხასაიამ წლეულს ფინეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში მყესი გაიწყვიტა და მართალია, მერე პეკინშიც იჭიდავა, მაგრამ ოპერაციის გაკეთება აუცილებელი იყო.

„წვრთნა უკვე დავიწყე, ჯერ მსუბუქად ვვარჯიშობ, მაგრამ ნელნელა მოვუმატებ და იმედი მაქვს, ერთ თვეში ბოლომდე დავიტვირთები" — გვითხრა ხასაიამ.

# გოგშელიძემ ირანელებს ჯილა წაუქცია

**თავისუფალი** სტილით მოჭიდავე გიორგი გოგშელიძემ სეზონის მიწურულს კიდევ ერთხელ, ამჯერად ირანში, საკლუბო ჩემპიონატში იჭიდავა. ქართველი ფალავანი კლუბ „ჯერედის" სახელით ჭიდაობს. ამათ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტ „ნაფტს" 4:3 მოუგეს.

გიორგი მსოფლიოს ჩემპიონ მასპინძელ ალი რეზა ჰეიდარის დაეჭიდა და მოუგო კიდეც. საერთო ანგარიში გუნდებს შორის 3:2 იყო გოგშელიძის გუნდის სასარგებლოდ და ჩვენი ფალავანი შეხვედრას თუ მოიგებდა, „ჯერედი" მეტოქეს ამარცხებდა.

პირველი პერიოდი ირანელმა მოიგო — 3:3 კი დასრულდა, მაგრამ ბოლო ქულა მისი იყო. მეორეში გოგშელიძემ 3:0 იმარჯვა. გადამწყვეტ პერიოდში კი ჰეიდარი ტრავმის გამო ხალიჩაზე აღარ გავიდა.

ჭადრაკი

# გიორგი ყაჭეიშვილმა კალიფორნია დაიპყრო

**კალიფორნიის** ქალაქ ბერკლიში გამართულ საჭადრაკო ტურნირზე ჩემპიონი ქართველი გიორგი ყაჭეიშვილი გახდა. მან 10 ტურში 7,5 ქულა დააგროვა და საპრიზო ფონდიდან 1 400 დოლარი მიიღო. მეორე ადგილზე 7 ქულით საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრი ზვიად იზორია გავიდა და 1100 დოლარითაც დასაჩუქრდა.

6,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებზე გავიდნენ ამერიკელები: ჯოშუა ფრიდელი, ირინა კრუშმა და დენიელ რენშმა.

ჰოლანდიის ქალაქ გრონინგემში კი საერთაშორისო ტურნირი SCHAAKFESTIVAL GRONINGEN მიმდინარეობს. ექვსი ტურის შემდეგ მერაბ გაგუნაშვილი დაუმარცხებელია და 4,5 ქულით მეორე ადგილზეა.

საჭადრაკო ტურნირი 9 ტურად ტარდება. საპრიზო ფონდი 7 000 დოლარია. ჩემპიონი 3000-ს მიიღებს.

რაგბი

# კიდევ ერთი საფრანგეთში

**საქართველოს** ნაკრების გამთამაშებელი ლაშა მალაღურაძე საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ბეზიეში" გადავიდა და სადებიუტო მატჩიც ჩაატარა. მისი გუნდი გიორგი კუთარაშვილის „ნარგონს" დაუხვდა და 8:34 წააგო.

კუთარაშვილმა თამაში სრულად ჩაამთავრა, მალაღურაძე კი 55-ე წუთზე შეცვალეს. ლაშამ ერთი სჯარიმოს გატანა მოასწრო. „ბეზიე" ჩემპიონატის აუტსაიდერია, 16 ქულა აქვს და ცხრილში მე-15 ადგილი უკავია.

კალათბურთი

# ჩაჩიბაიას ნეკა თითი

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების და სასოფლო უნივერსიტეტის კალათბურთელმა ტატო ჩაჩიბაიამ მარჯვენა ფეხის ნეკა თითის ოპერაცია გაიკეთა. ოპერაციამ, რომელმაც საათნახევარს გასტანა, კარგად ჩაიარა.

ჩაჩიბაია 20 თებერვალს ნაოპერაციებ ფეხზე სურათს გადაიღებს და თუ ყველაფერი კარგად იქნა, თებერვლიდან ვარჯიშსაც დაიწყებს.

კრივი

# მარცხი ტაშკენტში

**პროფესიონალმა** მოკრივემ ფოთელმა გიორგი უნგიაძემ 66 კილოგრამში აღმოსავლეთ ევროპის ქამრისთვის უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში იჩხუბა და იქაურ შელზოდბეგ ალიმჯანოვთან ქულებით დამარცხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ხმა: ირაკლი ცირეკიძე!

## სპორტულ ჟურნალისტთა ამქარმა წელი შეაჯამა

წლის ბოლოს გამორჩეული სპორტსმენების დასახელების და დაჯილდოვების დრო დგება. საუკეთესოებს ფედერაციები, სეოკ-ი, სპორტის დეპარტამენტი ასაჩუქრებენ.

ჩვენ, ჟურნალისტებიც ვასახელებთ რჩეულებს და ყოველი წლის მიწურულს, 28 დეკემბერს — „სარბიელის“ დაბადების დღეს — სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი ამქარს გვკრებს-ხოლმე. ამჯერად ჟურნალისტებმა სპორტ-კაფეში მოვიყარეთ თავი.

გამოკითხვაში მონაწილეობა 46-მა ჟურნალისტმა მიიღო. წლის სპორტსმენად, როგორც მოსალოდნელი იყო, ირაკლი ცირეკიძე დასახელდა — 416 ქულით. მომდევნო ადგილები კი ასე გადანაწილდა: რევაზ მინდორაშვილი — 390, მანუჩარ კვირკველია — 383, გიორგი გოგშელიძე — 268, ნინო სალუქვაძე — 242, მაია ჩიბურდანიძე — 240, ოთარ თუშიშვილი — 166, ზაზა კედელაშვილი — 82, ვარლამ ლიპარტელიანი — 73, მამუკა გორგოძე — 64.

წლის გუნდად მოჭადრაკეთა ნაკრები დასახელდა. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც — ჩვენმა მოჭადრაკეებმა (მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფო ხუხაშვილი; კაპიტანი ნინო გურ.ელი) გერმანიაში ჩატარებულ 38-ე ოლიმპიადაზე ტრიუმფალურად გაიმარჯვეს.

ასოციაციამ გამორჩეული კოლეგაც დაასახელა. ნოდარ გუგუშვილის პრემიით „მსოფლიო სპორტის“ ჟურნალისტი ოთარ მაღლაკელიძე დაჯილდოვდა.

სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ოლიმპიური გუნდის ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი გამოარჩიეს.

**ლექსო მაისურაძე**

**ნუგზარ სუარიძის ფოტოები**





ზაზა კედელაშვილი და შენგელი ფიცხელაური


მოჭადრაკეთა ნაკრები


ვარლამ ლიპარტელიანი და უშანგი ყურაშვილი


ნინო სალუქვაძე და თენგიზ გაჩეჩილაძე


ოთარ მაღლაკელიძე და ელგუჯა ბერიშვილი


მანუჩარ კვირკველია და საღამოს წამყვანი ლევან სალუქვაძე





რაიმონ დომენეკის მეუღლე ესტელი, ბობ მარლი, ბასტიან შვაინშტაიგერი და ანგელა მერკელი



# მდოგვისფერია სოფელი...

## ევროპის სიმბოლური ნაკრები ბობ მარლიდან აქლემამდე

### საახალწლოდ უეფას ვებგვერდზე ევროპის ჩემპიონატზე მწვრთნელ-ფეხბურთელთა გამონათქვამებიდან საუკეთესოები გამოქვეყნდა

**ლეო ბეენჰაკერი**, *პოლონეთი*: „ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებში მუშაობისას ყოველ დილით ბობ მარლის სიმღერა მაღვიძებდა, ახლა კი თავის ტკივილი მაღვიძებს“.

**სლავენ ბილიჩი**, *ხორვატია*: „ჩვენ მუდამ ემოციურები ვართ და ამას ვერ მოვიშლით. რომც მოვინდომოთ, ვერ მოვინდომებთ. არიან სკამზე მშვიდად მსხდომი მწვრთნელები და არიან ჩემნაირი ცელქებიც“.

**კარელ ბრიუკნერი**, *ჩეხეთი*: „როგორ დავაყენო ორი ცენტრფორვარდი პირითადში, როცა ფლანგებზე გვიჭირს? მაშინ, მოედანზე 13 ფეხბურთელის გაყვანა მომიწევს“.

**იოზეფ ჰიკერსბერგერი**, *ავსტრია*: „დრო იყო, ნაკრების გულშემატკივრები სტადიონთან აქლემის მოყვანას აპირებდნენ, რათა მე აქედან შორს, უდაბნოში გადავესახლებინეთ. 2005 წლის ბოლოს მოსახლეობის სამი პროცენტი მიჭერდა მხარს, ახლა სამნახევარზე ავიდა. არის თუ არა ეს საკმარისი საიმისოდ, რომ ნაკრებში მუშაობა გავაგრძელო?“

**ანდრეას კეპკე**, *გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელი*: „ყოველ საღამოს ვსხდებით და ფეხბურთზე ვსაუბრობთ. ზოგჯერ რატომღაც მინდა, რომ სხვა რამეზეც ვილაპარაკოთ“.

**ლეო ბეენჰაკერი**: „ჩვენი ახლანდელი ვარჯიშები არ განსხვავდება შესარჩევი მატჩებისთვის ჩატარებული ვარჯიშებისგან. არაფერს არ შევცვლი იმის გამო, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვართ. მოედნის გარშემო შიშველი სიარულს არ ვაპირებთ. ჩვეულებრივ მოვემზადებით მატჩებისთვის, მერე კი ტრა-ლა-ლა და, წავალთ სტადიონზე. ტრა-ლა-ლა ფეხბურთსაც ვითამაშებთ, ოღონდ არ ვიცი, მატჩის შემდეგ ტრა-ლა-ლა იქნება თუ არა“.

**მარკო ვან ბასტენი**, *ჰოლანდია*: „სახლში უნდა დავრეკო და გავიგო, ყველაფერი რიგზეა თუ არა. მგონი, მთელი ჰოლანდია აქაა და ქვეყანაში არავინ არ დარჩა“.

**რაიმონ დომენეკი**, *საფრანგეთი*: „იტალიის ნაკრების შესახებ კითხვებზე არ ვუპასუხებ. თქვენ თუ ახლა სწორედ ამას აპირებდით, აზრი არ აქვს. ასე რომ, მეტი დრო დაგრჩებათ ყავის დასალევად“.

**მიროსლავ კლოზე** *ლუკა ტონიზე*: „შემომჩივლა, რომ უხასიათოდაა, რადგან საუკეთესო მეგობართან ურთიერთობა გაუფუჭდა. მგონი, ბურთს გულისხმობდა“.

**რაიმონ დომენეკი** *იტალიასთან მარცხის შემდეგ*: „ვერაფერს ვეტყვი მათ, ვინც ჩემს მოხსნას ნატრობს.

ახლა იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემს საცოლე ესტელს ხელი ვთხოვო და ვთხოვ კიდეც. წაგების მერე რთულ მდგომარეობაში ვარ, მაგრამ სწორედ ასეთ მომენტებში სჭირდებათ ადამიანებს დახმარება.

პირადად მე ესტელი მჭირდება“.

**ოტო რეჰაგელი**: „ოთხი წლის წინ პორტუგალიაში სასწაული მოხდა და ჩვენ ევროპის ჩემპიონატი მოვიგეთ. მსგავსი რამეები 30 წელიწადში ერთხელ გამოერევა. აბა, ყოველ ჩემპიონატზე რომ ხდებოდეს, სასწაული ხომ აღარ იქნება?“

**ბასტიან შვაინშტაიგერი** *პორტუგალიასთან მოგების შემდეგ*: „ანგელა მერკელმა მატჩამდე მთხოვა, რომ სისულელეები არ მეკეთებინა და შევუსრულე. მერე მითხრა, ისე ითამაშე, როგორც ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზეო. რა მექნა? კანცლერი რომ გეუბნება, უნდა დაემორჩილო!“

**იოახიმ ლიოვი** *პორტუგალიის დამარცხების მერე*: „ჩემმა თანაშემწემ ჰანს დიტერ ფლიკმა ნიძლავში ერთი ბოთლი ღვინო მომიგო. მე ვუთხარი, რომ თამაშიდან ვერ გავიტანთ-მეთქი. ერთი კი არა, მგონი, ორი ბოთლი წავაგე.“

**ფათიჰ თერიმი** *ხორვატებთან პენალტებში მოგებული ნახევარფინალის შემდეგ*: „აინშტაინმა თქვა, რომ ცხოვრებაში ორი გზა არსებობს: პირველი — უნდა დაიჯერო, რომ გარშემო ყველაფერი სასწაულია და ამ რწმენით იარო. მეორე — სასწაულების არარსებობა უნდა ირწმუნო. მე მეორე გზით მივდივარ“.

**მარიო მელხიოტი** *რუსებთან მარცხის მერე*: „მგონი, გუს ჰიდინკმა უფრო ბევრი იცოდა ჩვენზე, ვიდრე ჩვენ საკუთარ თავზე“.

**ლუის არაგონესი** *მისთვის საძულველ ყვითელ ფორმაზე, რომლითაც ესპანეთმა რუსეთი ნახევარფინალში მიანგრია*: „პირადად მე ეს ფერი არ მომწონს, მაგრამ რაკი მისი ჩაცმა არ მიწევს, როგორმე ავიტან. ეს ყვითელი კი არა, უფრო მდოგვისფერია“.

# ჩემპიონთა ლიგის უმცროსი ძმა

**უეფას** თასი მომავალი სეზონიდან ისტორიას ჩაბარდება და ახლებური ფორმატით ჩაატარებენ. სახელი უკვე აქვს — უეფას ევროპის ლიგა და ჯგუფურ ეტაპზე 48 გუნდი ითამაშებს.

შეიცვლება ლოგოც და სიმბოლიკაც.

48 კლუბს 12 ოთხგუნდიან ჯგუფში გაანაწილებენ. პირველ-მეორე ადგილოსნები მეთექვსმეტედფინალში გავლენ და მათ ჩემპიონთა ლიგის რვა მესამეადგილოსანი შეუერთდება.

ზაფხულში შესარჩევი ეტაპის მონაწილეების რაოდენობა ინტერტოტოს გაუქმების ხარჯზე გაიზრდება და ჯგუფში მოხვედრის მსურველებს ოთხი შესარჩევი რაუნდის გავლა მოუწევთ.

ჯგუფური ეტაპის მატჩები ხუთშაბათობით გაიმართება მაშინ, როცა იმავე კვირაში ჩემპიონთა ლიგის თამაშები დაემთხვევა, ხოლო როცა ჩემპიონთა ლიგა არ იქნება — ოთხშაბათს და ხუთშაბათს.

# წასვლა და გატანა ერთი იყო



**რონალდინიო** შვებულებაში გავიდა და ბრაზილიაში ჩავიდა. ტრაპზე ხუთი საფეხურიც არ ჰქონდა ჩავლილი, რომ მილანიდან ამბავი დააწიეს — სახლი გაგიძარცვესო.

ბრაზილიელის ბინის სტუმრებს ალბათ ან ფეხბურთი არ უნახავთ ან არ იცოდნენ, ვის სახლში შეძვრნენ და „ოქროს ბურთი“ ხელს ამიტომაც არ გააყოლეს. ან კიდევ, შეგნებულად არ ახლეს ხელი, რადგან ძნელი გასასაღებელი იქნებოდა. არც სხვა ჯილდოებს გაეკარნენ.

ისე კი, რა ძვირფასეულობაც წაიღეს, თუ კარგ ფასში გაყიდიან, რამდენიმე ათეულ ათას ევროს მიითვლიან და საახალწლოდ სპაგეტი და პიცა არ გამოელევათ.

# ეკიპის ეკიპაჟი

**ფრანგულმა** „ეკიპმა“ ევროპის 2008 წლის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. რჩეულებში მოხვდნენ ჩემპიონთა ლიგის მომგები „მანჩესტერის“ ოთხი ფეხბურთელი და ევროპის ჩემპიონი სამი ესპანელი.

**იკერ კასილიასი** (რეალი, ესპანეთი) — **დანიელ ალვეში** (ბარსელონა, ბრაზილია), **რიო ფერდინანდი** (მანჩესტერი, ინგლისი), **ნემანია ვიდიჩი** (მანჩესტერი, სერბეთი), **პატრის ევრა** (მანჩესტერი, საფრანგეთი) — **ლიონელ მესი** (ბარსელონა, არგენტინა), **ხავი** (ბარსელონა, ესპანეთი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული, ინგლისი), **კრიშტიანუ რონალდუ** (მანჩესტერი, პორტუგალია) — **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (ინტერი, შვედეთი), **ფერნანდო ტორესი** (ლივერპული, ესპანეთი).

# სამი კილოს მამა

**შობა** ღამის წინ რონალდო მეორე შვილის მამა გახდა. რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ კლინიკაში მეორე ცოლმა მარია ბეატრისმა ფეხბურთელს პირველი გოგო აჩუქა.

ბავშვს მარია სოფია დაარქვეს და ექიმმა არტურ კამპუსმა თქვა, სამ კილოს იწონისო. მშობიარობას რონალდოც დაესწრო და ჭიპლარიც თავად გადაუჭრია. პირველ ცოლთან, მილენა დომინგუშთან „კიჭას“ 7 წლის ბიჭი რონალდი ჰყავს.



ახლახან ლეგენდარულმა გერდ მიულერმა თქვა, ვედად იბიშევიჩს ჩემი რეკორდის მოხსნა შეუძლიაო. მიულერის რეკორდს — 40 გოლი ერთ სეზონში, აგერ 36 წელია, ვერავინ შესწვდა. „ჰოფენჰაიმის“ ბოსნიელ ფრვარდს კი ბუნდესლიგის პირველი წრის შემდეგ 18 გოლი აქვს გატანილი და ვინ იცის, ეგებ... თუმცა იბიშევიჩი და „ჰოფენჰაიმი“ ამ სეზონის აღმოჩენები რომ არიან, მტკიცება რად უნდა... ვედად იბიშევიჩთან ეს ინტერვიუ გერმანულ მედიაში გამოქვეყნდა...



# ომს გაქცეული

## ვედად იბიშევიჩის ბევრი სამშობლო

— რატომ შეაჩერეთ არჩევანი „ჰოფენჰაიმზე“?

— ყველაფერი მარტივად გადაწყდა, „ჰოფენჰაიმმა“ სხვებზე გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზა და ბუნებრივია, ბევრი არ მიყოყმანია. გადაწყვეტილების სისწორეში კი კლუბში მისვლის პირველივე დღეს დავრწმუნდი. თითოეული თანამშრომლის მუშაობაში იოტისოდენა ნაკლსაც კი ვერ მოძებნით — კლუბის ყოველი რგოლი გამართულად მუშაობს. აქაური გულშემატკივრებიც ძალიან აქტიურად გვიჭერენ მხარს და ჩვენი წარმატება დიდწილად მათი დამსახურებაცაა.

**— თქვენს წინა სეზონს, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში ჩაატარეთ, მაინცდამაინც წარმატებულს ვერ ვუწოდებთ. მთელ სეზონში მხოლოდ ხუთი გოლი გაიტანეთ. წელს კი უკვე 18 გოლი დაგიგროვდათ, თანაც პირველ ბუნდესლიგაში და ბომბარდირთა სიას ლიდერობთ...**

— წინა სეზონში საკუთარი შესაძლებლობების ნაკლებად მჯეროდა. ჩემპიონატის პირველ მატჩებში იოლი გოლები ვერ გავიტანე, მომენტის გაცუდება უფრო ძნელი რომ იყო, ვიდრე გატანა. ამის გამო ვინერვიულე. საბედნიეროდ, ამ ზაფხულში, ახალი სეზონისთვის მზადებისას, თავი ხელში ავიყვანე. თავი დავარწმუნე, რომ საპანიკო არაფერი იყო და თუკი ბევრს და მონდომებით ვიმუშავებდი, სასურველ შედეგსაც მივაღწევდი. ასეც მოხდა, ამ სეზონში კარგ ფორმაში ვარ. ყველაფერი გამოსწორდა — გოლებიც გამაქვს და, რაც მთავარია, გუნდისთვისაც სასარგებლო ვარ. ამაში დიდი წვლილი გუნდის დიეტოლოგსა და ფიზიოთერაპევტსაც მიუძღვით. მათ საჭირო რჩევები მომცეს, რომლებიც გავითვალისწინე. ამასთან ჯანმრთელობაც ხელს მიწყობს: დიდი ხანია, ტრავმა არ მიმიღია და იმედია, სამომავლოდაც არ დავშავდები.

**— პირველი წრე თქვენც და გუნდმაც, ძალიან კარგად ჩაატარეთ. თუმცა, „ვერდერთან“ 4:5 წაგებული მატჩი გვსურს გამოვარჩიოთ. დიდი შანსია, სეზონის ბოლოს ეს თამაში საუკეთესოდაც კი მიიჩნიონ...**

— ეს გიჟური მატჩი იყო. მსგავსში არასოდეს მითამაშია. თუმცა, ბოლოსწინა ტურში „ბაიერნთან“ შეხვედრა არანაკლებ დაძაბული და დრამატული გამოდგა. ბრემენელებთან მატჩში კი, მეტოქემ თავიდან ლამის ჩვენი ყველა შეცდომა გამოიყენა და 4:1 დაწინაურდა. მაგრამ ბრძოლა არ შეგვიწყვეტია და ანგარიში გავათანაბრეთ. შემდეგ „ვერდერს“ ფეხბურთელი გაუძევეს, რითაც გამარჯვების კარგი შანსიც მოგვეცა, მაგრამ არ გაგვიმართლა... იმ მარცხმა გული ძალიან დაგვწყვიტა, თუმცა იმაშიც დაგვარწმუნა, ბუნდესლიგის ნებისმიერ გუნდთან ტოლ-სწორად თამაში და მათი დამარცხება რომ შეგვეძლო.

**— ზამთრის ჩემპიონები ხართ და ეს სენსაციაა, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ბუნდესლიგის მოგებას?**

— ცხადია, არც მეორე წრეში დავზოგავთ თავს. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. მთავარია, იღბალმა არ გვიმტყუნოს. ამაში უპირველესად, ტრავმების თავიდან აცილებას ვგულისხმობ. პროგნოზისგან კი თავს შევიკავებ.

**— სანაკრებო ამბებზეც გკითხავთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის რა შანსი აქვს ბოსნიის ნაკრებს იმის გათვალისწინებით, რომ მისი მეტოქეები ევროპის ჩემპიონი ესპანეთი და ნახევარფინალისტი თურქეთი არიან?**

— მართლაც ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით. ამის მიუხედავად, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენი ნაკრების დაცვის ხაზი ყოველ მომდევნო შეხვედრაში სულ უფრო და უფრო საიმედოდ გამოიყურება. ფორვარდები კი ევროპის საუკეთესო ჩემპიონატებში ვთამაშობთ. გული დაგვწყვიტა ესპანეთთან მარცხმა, რადგან იკერ კასილიასს რამდენიმე ნაღდი გოლი ვერ გავუტანეთ. საკმად უხერხულ მეტოქე ესტონეთს კი 7:0 მოვუგეთ. ისე კი, ბოსნიის ნაკრებში, „ჰოფენჰაიმში“ კარგი თამაშის წყალობით მოვხვდი და ეს კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ ამ კლუბში მოსვლით არ შევმცდარვარ.

**— წლების წინ თქვენი ოჯახი საცხოვრებლად ამერიკაში გაემგზავრა. რა იყო ამის მიზეზი?**

— ბალკანეთში ომი იყო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაც დაინგრა. მშობლები უმუშევრები დარჩნენ. ჯერ შვეიცარიაში წავედით, შემდეგ კი ამერიკაში. ჩემი ოჯახი ახლაც ამერიკაშია, სენტ ლუისში. როგორც კი შესაძლებლობა მეძლევა, მათ სანახავად ჩავდივარ-ხოლმე. უმძიმეს სიტუაციაში ამერიკამ გადაგვარჩინა.

**— ამერიკულ მეიჯორ-ლიგაში თამაშის პერსპექტივამ არ მიგიზიდათ?**

— შემოთავაზება არავისგან მქონია. დიდი სურვილი არც მე გამომიხატავს. კარიერის შექმნა ევროპაში უფრო შეიძლება, ვიდრე ამერიკაში.

**— არც აშშ-ის ნაკრებში თამაში გსურდათ?**

— გულახდილად გეტყვით: თავის დროზე ამაზე სერიოზულად ვფიქრობდი. „მწვანე ბარათი“ და შესაბამისად, მუშაობის უფლება მქონდა. საბოლოოდ კი სამშობლოს სიყვარულმა გადაძალა და ბოსნიის ნაკრებში თამაში ვამჯობინე. ბედნიერი ვარ, ასე რომ მოხდა.

**— გერმანიაში ცხოვრობთ. ამერიკელ და ბოსნიელ მეგობრებს თუ ეხმიანებით?**

— რა თქმა უნდა. როგორც კი ოჯახის მოსანახულებლად ამერიკაში ჩავდივარ, იმავე დღეს მეგობრებსაც ვნახულობ-ხოლმე. გერმანიიდან კი, ინტერნეტით ვურთიერთობთ. ხოლო როდესაც სანაკრებო თამაშისთვის სარაევოში ვარ, მეგობრები მხოლოდ ვარჯიშის და მატჩის დროს მშორდებიან.

**— ხუთ ქვეყანაში მოგიხდათ ცხოვრება. ოთხ ენაზე თავისუფლად ლაპარაკობთ. არ გაგიჭირდათ ამდენი უცხო ენის შესწავლა?**

— უცხო ენების შესწავლით ადამიანებთან ურთიერთობა იოლდება და ეს მაძლევს სტიმულს. ვამაყობ, ამდენი ენა რომ ვიცი.

**— პატარა ქალაქ ზინსჰაიმში ცხოვრობთ, სადაც, ალბათ, ყველა გცნობთ...**

— დიახ, მაგრამ ზინსჰაიმი მშვიდი ქალაქია და ყურადღება დისკომფორტს არ მიქმნის.

# ბუნდესფულის უკუღმართობა

**„ვისაც** მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, ჯამაგირიც მეტი უნდა ჰქონდეს — მიაჩნია „ჰოფენჰაიმის“ მწვრთნელს რალფ რანგნიკს — დიდ ფირმებში, მაგალითად, „დაიმლერში“ ან „სიმენსში“, სწორედ ასეა“.

რანგნიკი წელიწადში 100 ათასი ევროთი მეტს იღებს, ვიდრე „ჰოფენჰაიმის“ ლიდერი სეიად სალიჰოვიჩი, რომლის ხელფასიც მილიონ 900 ათასი ევროა.

სხვა ნიხრია „ბაიერნში“, სადაც ყველაზე მსუყე ჯამაგირი ლუკა ტონის (5,7 მილიონი) და ფრანკ რიბერის (4 მილიონი) აქვთ, იურგენ კლინსმანზე კი ამბობენ, რომ წელიწადში 8 მილიონს უკაკუნებს.

თავის ფეხბურთელებზე უფრო დაფასებულია „კიოლნის“ თავკაცი კრისტოფ დაუმიც — 2 მილიონ 200 ათასი ევრო. გუნდის საუკეთესო ნახევარმცველი პეტი 600 ათასით ნაკლებს იღებს.

სხვა კლუბებში კი მწვრთნელები დაჩაგრულები არიან...

**შტუტგარტი**
მარკუს ბაბელი (მწვრთნელი): 600 000, იენს ლემანი: 3 500 000

**ვერდერი**
თომას შააფი: 1 500 000, ტორსტენ ფრინგსი: 4 200 0000

**შალკე**
ფრედ რუტენი: 1 250 000, კევინ კურანი: 3 600 000.

**დორტმუნდი**
იურგენ კლოპი: 1 500 000, სებასტიან კელი: 3 600 000

**ჰანოვერი**
დიტერ ჰეკინგი: 800 000, რობერტ ენკე: 2 000 000

**ჰამბურგი**
მარტინ იოლი: 1 800 000, ივიცა ოლიჩი, ნაიჯელ დე იონგი: 2 800 000

**აინტრახტი**
ფრიდჰელმ ფუნკელი: 1 100 000, იოანის ამანატიდისი: 2 000 000

**ჰერტა**
ლუსიენ ფავრი: 800 000, არნე ფრიდრიხი: 3 500 000

**ლევერკუზენი**
ბრუნო ლაბადია: 800 000, პატრიკ ჰელმესი: 1 400 000

**ვოლფსბურგი**
ფელიქს მაგათი: 3 000 000, ანდრეა ბარძალი: 3 500 000

**ბოხუმი**
მარსელ კოლერი: 720 000, პაულ ფრაიერი: 1 000 000

**არმინია**
მიხაელ ფრონცეკი: 900 000, არტურ ვიხნიარეკი: 960 000

**კოტბუსი**
ბოიან პრაშნიკარი: 300 000, იგორ მიტრესკი: 300 000

**მიონხენგლადბახი**
ჰანს მეიერი: 1 500 000, ოლივერ ნოივილი: 2 000 000

**კარლსრუე**
ედმუნდ ბეკერი: 500 000, მაიკ ფრანცი: 500 000



ტორსტენ ფრინგსი თომას შააფზე თითქმის სამჯერ მეტ ხელფასს იღებს

# ჩაიდანჩემპიონატის შეიხლიგა

შეიხილა აკლდა პრემიერლიგას და იმანაც შეჰყო თავი ინგლისურ ფეხბურთში.

სექტემბრამდე ყველაზე მდიდარი პატრონი „ჩელსის“ ჰყავდა, მაგრამ გამოჩნდა მანსურ ბინ ზაიად ალ ნაჰიანი 32 მილიონი გირვანქით, „სიტი“ იყიდა და რომან აბრამოვიჩის სიმდიდრე დაჩრდილა.

პრემიერლიგის სხვა კლუბებსაც ჰყავთ პატრონები, ზოგს მილიონერი და ზოგსაც მილიარდერი: ვნახოთ, ვინ რას ბიზნესმენობს.



დენი ფისმანი

## არსენალი

**დენი ფისმანი** — ბელგიელი ებრაელი. „არსენალის“ აქციების 24,1 პროცენტის მფლობელი. კლუბის დირექტორია და მასვე ეკუთვნის კომპანია Star Diamonds Group, რომელიც ალმასის მოპოვება-გასაღებითაა დაკავებული. დენი ფისმანი პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა ნუსხაში 348-ეა.

აქციების 24 პროცენტს მეტალურგიული კომპანია Red & White Holding განაგებს, რომლის პატრონიც ეთნიკურად უზბეკი **ალიშერ უსმანოვია** — რუსეთის უმდიდრესთა შორის მე-19. უსმანოვის მეუღლეა რუს ტანმოვარჯიშეთა ნაკრების მწვრთნელი ირინა ვინერი.

**ნინა ბრეისველ-სმიტი** (გათხოვებამდე კაკარი) 15 პროცენტის მფლობელი, ინდოელი დიპლომატის შვილია ნიუ-დელიდან. 1996 წელს 41 წლის ნინა კაკარი ინგლისელ ბარონ სერ ჩარლზ ბრეისველ-სმიტს გაჰყვა ცოლად, რომელიც „არსენალის“ ყოფილი დირექტორის (დენი ფისმანამდე) ვაჟია.

სერ ჩარლზის ოჯახობას სასტუმროების უდიდესი ბიზნესი აქვს და ეკუთვნის „რიცი“ და „შერატონი“. ჰილტონების მერე ბრეისველ-სმიტები ამ ბიზნესში მსოფლიოში მეორეები არიან.

რძალი რომ „არსენალის“ დირექტორთა საბჭოში შეეყვანათ, ოჯახმა აქციები ნინას მიუთვალა.



რენდი ლერნერი

## ასტონ ვილა

აქციების საკონტროლო პაკეტს (90 პროცენტი) ამერიკელი **რენდი ლერნერი** პატრონობს. „ასტონ ვილა“ 2006 წელს 64 მილიონ გირვანქად იყიდა. „ვილას“ გარდა ამერიკული ფეხბურთის კლუბის „კლივლენდ ბრაუნსის“ მფლობელია.

ლერნერის მეტსახელია „ლეგენდა“, მაგრამ ბიზნესმენის არაკეთილმოსურნეები ამტკიცებენ, რომ მეტსახელი საკუთარ თავს თვითონ მოუგონა და მას „ლეგენდად“ არავინ სცნობს.

თავიდან ადვოკატობდა და მას შემდეგ გაბიზნესმენდა, რაც მამის სიკვდილის მერე ამერიკის ნაციონალური ბანკის ჰოლდინგ-კომპანია MBNA ჩაიბარა. ეს უდიდესი დამოუკიდებელი კორპორაციაა მსოფლიოში, რომელიც საკრედიტო ბარათებს ამზადებს. მისტერ ლერნერის ქონება მილიარდ ნახევარი დოლარია.



მოჰამედ ალ ფაიედი

## ფულემი

ეგვიპტელმა **მოჰამედ ალ ფაიედმა** საქმოსნობა ალექსანდრიაში დაიწყო, სადაც გემთმფლობელი იყო. 1975 წელს ინგლისში ჩავიდა და იქაურმა ბიზნესმენებმა მეტსახელად „ცრუ ფარაონი“ შეარქვს, აქაოდა, ფული თაღლითობით აქვს ნაშოვნიო.

ალ ფაიედის ქისები გირვანქებით მას შემდეგ აივსო, რაც მსოფლიოში უდიდესი მაღაზია „ჰეროდსი“ შეიძინა, რომელიც ლონდონში ბრომპტონ როუდზე მდებარეობს და 330 სექცია აქვს.

გარდა ამისა, „ცრუ ფარაონის“ თანასაკუთრებაა პარიზის სასტუმრო „რიცი“.

მოჰამედ ალ ფაიედს ახლა მეოთხე ცოლი ჰყავს და შვიდი შვილის მამაა. მისი ერთ-ერთი შვილი დოდი 1997 წლის აგვისტოში პარიზში პრინცესა დაიანასთან ერთად ავტოავარიაში დაიღუპა.

„ჰეროდსის“ პატრონმა არაერთხელ სცადა ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღება, მაგრამ სულ უარს ეუბნებიან, რადგან სკანდალების მუდმივი მონაწილეა.

75 წლის ალ ფაიედს ოქტომბერში 16 წლის გოგომ უჩივლა — მოძალადეაო. ამბავი „ჰეროდსის“ ერთ-ერთ საწყობში მომხდარა. საქმე ჯერ ისევ ძიებაშია. „ცრუ ფარაონის“ ქონება დაახლოებით მილიარდი გირვანქაა.

## ევერტონი

„ევერტონის“ აქციები გადანაწილებულია ოთხ შემოქმედ კაცზე — **ბილ კენტრაიტზე, რობერტ ერლომზე, ჯონ ვუდსზე** და **ლოიდ გრანჩესტერზე**. ოთხივე მსახიობი და პროდიუსერია.

ამათგან პირველი უფრო მეტ წილს ფლობს და მთავარიც ისაა.

კენტრაიტი დიდი ვერაფერი მსახიობი იყო ჯეელობაში, ეს ხელობა მიაგდო და თეატრალურ პრომოუტერობას მიჰყო ხელი, რაც უკეთ გამოუვიდა.

ლონდონში კაბარეს ტრადიცია აღადგინა და საკუთარი ჩამწერი სტუდიაც გააჩნია. ჯერ მხოლოდ სამი ალბომი გამოუშვა, მაგრამ სამაგიეროდ, სარფიანად თანამშრომლობს ბი-ბი-სი-სთან.

2004 წელს „ევერტონის“ თავმჯდომარე გახდა და ბიზნესი ისე კარგად წაუვიდა, რომ შარშან საკალათბურთო კლუბი „ტოკსტეტ ტაიგერსი“ იყიდა, რომელსაც უმალ გადაარქვა სახელი და „ევერტონ ტაიგერსად“ აქცია. ეს გუნდი ბრიტანეთის საკალათბურთო ლიგაში თამაშობს.

## ბლექბერნი

„ბლექბერნი“ **ჯეკ უოლკერის** ფონდს ეკუთვნის. თვითონ უოლკერი (გარდაიცვალა 2000 წლის აგვისტოში), ფოლადისმდნობელი ბლექბერნელი მაგნატი, კლუბის ფანებისთვის საკულტო პიროვნებაა.

1929 წელს დაბადებულმა უოლკერმა სკოლა 14-სამ მიატოვა, მტვირთავად მუშაობდა, მერე კი საქმეებში გაება, მილიონერი გახდა და „ბლექბერნს“ პატრონობდა. მის ხელში კლუბმა ორჯერ მოხსნა ბრიტანეთის სატრანსფერო რეკორდი. 1992 წელს „საუთჰემპტონს“ ალან შირერში 3 მილიონ 300 ათასი გირვაქა გადაუხადა, მერე კი, 1995 წელს „ნორვიჩს“ კრის სატონში — 5 მილიონი.

„ბლექბერნის“ სტადიონის ერთ-ერთი ტრიბუნა ჯეკ უოლკერის სახელობისაა.

ამჟამად კლუბი უოლკერების ოჯახის ხელშია. ჯეკის შვილი ფრედი მთავარი აქციონერია და მისი ქონება 750 მილიონ გირვანქას უტოლდება.



რომან აბრამოვიჩი და დაშა ჟუკოვა

## ჩელსი

„**რომან აბრამოვიჩი** და პუტინი დიდი მეგობრები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის სხვაობა 10 წელია. პუტინი აბრამოვიჩზე, როგორც შვილზე, ისე ზრუნავს. როცა რომანი ვალოდიას კაბინეტში შედის, პუტინს სახე ებადრება“ — კრის ჰათჩინსი, რომან აბრამოვიჩის ბიოგრაფი.

„ჩელსის“ პატრონი მსოფლიოს უმდიდრესთაგანია 23 მილიარდ 500 მილიონი დოლარით.

ქონება მას ოფიციალურად არ ეკუთვნის და ყველაფერი შვილებზეა გაფორმებული.

აბრამოვიჩის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი და ერთგული მეგობარი მარინა გონჩაროვაა, რომელიც „სიბნეფტის“ საქმეთა მწარმოებელი გახლავთ. 80-იან წლებში რომანი და მარინა მოსკოვის ბაზარში პლასტმასის თოჯინებით ვაჭრობდნენ.

„ჩელსის“ მფლობელი საქმიან შეხვედრებს უმეტესად ასე იწყებს: „თქვენ, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებთ...“



ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი

## ლივერპული

ამერიკელებმა — **ტომ ჰიკსმა** და **ჯორჯ ჯილეტ უმცროსმა** „ლივერპული“ 2007 წლის თებერვალში იყიდეს.

ჰიკსის ქონება მილიარდ 300 მილიონი დოლარია და ის ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული კომპანიის HM Capital Partners-ის პატრონია. ეს ჰოლდინგი შიდა ინვესტიციებითაა დაკავებული. ტეხასელ ბიზნესმენს ეკუთვნის „დალას სტარსი“ (ნჰლ) და ბეისბოლის „ტეხას რეინჯერსი“. გარდა ამისა, როდეოზე გიჟდება და ამ სპორტის (ეს თუ სპორტია) უდიდეს ტურნირს „მოსკიტ ჩემპიონშიპ როდეოს“ აფინანსებს.

ტომ ჰიკსის ფინანსურმა ჯგუფმა კომპანია „დოქტორ პეპერი“ რომ ჩაყლაპა და ზღაპრული ფული მოიხვეჭა, ამის მერე წაუვიდა საქმეები განსაკუთრებით კარგად. ჩინეთში ტელეკომუნიკაციის ბიზნესი წამოიწყო, არგენტინაში კი ნავთობს ჩაუჯდა. ჰიკსი ნიუ იორკის ყოფილი მერის რუდოლფ ჯულიანის მეგობარია და მის საარჩევნო კამპანიასაც მეთაურობდა.

ჯორჯ ჯილეტ-უმცროსს არანაირი კავშირი არ აქვს წვერსაპარს „ჯილეტთან“, ის ხორცის ბიზნესშია გაბმული. მისთვის ასევე დიდი ფული მოაქვს ტელეკომუნიკაციებს და სამთოსათხილამურო VIP კლასის კურორტების მშენებლობას. 2000 წელს ჯილეტმა ამაოდ სცადა ჯერ „დენვერ ნაგითსის“, მერე კი „კოლორადო ეველანსის“ შეძენა, სამაგიეროდ, ნჰლ-ის უდიდესი კლუბის „მონრეალ კანადიენსის“ აქციების 80 პროცენტი ჩაიგდო ხელში.

ჯორჯ ჯილეტს ძალიან ეშინია „ლივერპულის“ ფანების და ამის გამო „ენფილდსაც“ არ სტუმრობს. ინტერვიუებში არაერთხელ უთქვამს, რომ მას და მისი ოჯახის წევრებს მოკვლით ემუქრებიან.



## მანჩესტერ სიტი

კლუბის პატრონია ნავთობკორპორაცია ADUG (აბუ დაბის ჯგუფი) საამიროებიდან, რომელიც ამ ქვეყნის სამეფო ოჯახის მიერაა შექმნილი. კორპორაციის მთავარი კაცია შეიხი **მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანი**, საამიროების მემკვიდრე პრინცი და ერთ-ერთი მინისტრი. მას აბუდაბელ დონალდ ტრამპსაც (ამერიკელი მილიარდერი) ეძახიან. შეიხს იმდენი ფული აქვს, რომ რომან აბრამოვიჩს თავის იახტებიანად ჩაისვამს ჯიბეში და ხურდაც დარჩება. მისი ქონება 33 მილიარდ გირვანქას ეთამაშება.

პრინცის კორპორაციამ „სიტი“ აგვისტოს ბოლოს 200 მილიონ გირვანქად იყიდა და დესერტად რობინიოც შეიძინა „რეალიდან“ 32 მილონ 500 ათასად, რაც პრემიერლიგის სატრანსფერო რეკორდია.

ოფიციალურად, კლუბის პატრონად **ჰალდუნ ალ მუბარაკი** ითვლება — ნავთობშეიხი და მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანის მარჯვენა ხელი.

## ჰალი

„პროქტერ ენდ გემბლერის“ მთავარი მარკეტოლოგი **პოლ ჯერემი დაფენი** საფეხბურთო ბიზნესში შარშან, „ჰალის“ ყიდვით გაერია.

დაფენი ბავშვობიდან „ტოტენჰემის“ ფანია და „ჰალამდე“ „ვესტ ჰემის“ და „კარდიფის“ შეძენას ლამობდა.

ახალმა პატრონმა ისეთი ფეხბურთელები იყიდა, რომლებზეც ორი წლის წინ ჰალელი ქომაგები მხოლოდ ოცნებობდნენ. მაგალითად, ჯორჯ ბოატენგი, დანიელ კუზინი, ენტონი გარდნერი, ბერნარ მენდი და ჯოვანი. სულ ცხრა მილიონი გირვანქა დაუჯდა, რაც კლუბისთვის ტრანსფერებში დახარჯული სარეკორდო თანხაა.

„ეს მხოლოდ დასაწყისია!“ — თქვა „ჰალის“ პატრონმა სეზონის წინ.

## ბოლტონი

პრემიერლიგის ყველაზე ღარიბი კლუბი, რომლის პატრონსაც, **ედი დევისს**, ანგარიშზე სულ რაღაც 98 მილიონი გირვანქა გააჩნია.

დევისის კომპანია ჩაიდნებს და თერმოსტატებს აწარმოებს.

***ინგლისური პრემიერლიგის დანარჩენი ათი გუნდის მეპატრონეებს მომდევნო „სარბიელში“ წარმოგიდგენთ***



# ათი ამბავი დავიდ ვილიაზე

**რამდენიმე დღის წინ ითქვა, დავიდ ვილიამ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას, შესაძლოა, „მანჩესტერ სიტიში" ამოჰყოს თავიო. თუ გავითვალისწინებთ „სიტის" მეპატრონე არაბი შეიხების გამორჩეულ ლტოლვას სუპერვარსკვლავებისადმი, ეს ტრანსფერი სავსებით რეალურად ჩანს. მით უმეტეს, ისიც ითქვა, „სიტი" „ვალენსიას" 32 მილიონ გირვანქას სთავაზობს ვილიას სანაცვლოდო. უზარმაზარი თანხაა და წესით, ვალენსიელებმა ცდუნებას ვერ უნდა გაუძლონ. შესაძლო ტრანსფერს თავისებურად გამოეხმაურა ინგლისური „მირორი" და ასეთი ჩამონათვალიც გამოაქვეყნა: 10 ფაქტი დავიდ ვილიას შესახებ, რომელიც ინგლისელმა გულშემატკივარმა უნდა იცოდეს. ვინძლო, ქართველი გულემატკივრისთვისაც საინტერესო იყოს...**

**პირველი:** დავიდ ვილია სანჩესი 1981 წლის 3 დეკემბერს დაიბადა ესპანეთის ჩრდილოეთ პროვინცია ასტურიის ქალაქ ლანგრეოში. მისი მეტსახელია EL GUAJE, რაც „ბავშვს" ნიშნავს. ფეხბურთელს ჰყავს მეუღლე პატრისია და ქალიშვილი საიდი.

**მეორე:** 9 წლის დავიდმა ბარძაყის უმძიმესი ტრავმა მიიღო და დიდი შანსი იყო, მისი კარიერა ბავშვობაშივე დასრულებულიყო. საბედნიეროდ, მან ტრავმა მოირჩინა და თამაში განაგრძო. პირველი კონტრაქტი კი სეგუნდადივიზიონის „ხიხონთან" გააფორმა.

**მესამე:** სამ სეზონში 50 გოლი გაიტანა, რის მერეც ვილიათი „სარაგოსა" დაინტერესდა და 2003 წელს კონტრაქტიც გაუფორმა. „სარაგოსაში" ის მალევე იქცა ვარსკვლავად. პირველივე სეზონში ვილიამ 17 გოლი გაიტანა, რომელთაგან ერთიც, სამეფო თასის ფინალში გამარჯვების გოლი იყო.

**მეოთხე:** 2005 წელს დავიდ ვილია „ვალენსიაში" გადავიდა. ვალენსიელებმა „სარაგოსას" 8 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. პირველივე სეზონში ვილიამ 25 გოლი გაიტანა და პრიმერადივიზიონის ბომბარდირთა შორის მეორე გახდა, მხოლოდ „ბარსელონას" კამერუნელ ფორვარდ სამუელ ეტოოს ჩამორჩა.

**მეხუთე:** პირველივე ვალენსიურ სეზონში, ესპანეთის ჩემპიონატის ყველა დროის ერთ-ერთი უსწრაფესი ჰეთ თრიქის ავტორი გახდა: „ატლეტიკოსთან" მატჩში სამი გოლის გასატანად სულ რალაც 5 წუთი დასჭირდა.

**მეექვსე:** დავიდ ვილიამ „ვალენსიას" შემადგენლობაში ჩატარებულ მე-100 მატჩშიც ჰეთ თრიქი შეასრულა.

**მეშვიდე:** ვილიას გოლის ფენომენალური ალღო აქვს. „ვალენსიაში" საშუალოდ ორ მატჩში ერთ გოლს იტანს. ამ სეზონში ჩატარებულ 19 შეხვედრაში უკვე 15 გოლი გაიტანა, მთლიანობაში კი 334 ვალენსიურ მატჩში 166 გოლი აქვს შეგდებული.

**მერვე:** მის კარიერაში ერთი ასეთი გოლიც არის: „დეპორტივოს" მოედნის ცენტრიდან ფანტასტიკური ბურთი გაუტანა.

**მეცხრე:** ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ვილიას დებიუტი 2005 წლის 9 თებერვალს, სან მარინოს ნაკრებთან (5:0) მატჩში შედგა. მას შემდეგ, „ფურია როხას" მაისურით 41 მატჩი ჩაატარა და 24 გოლი გაიტანა.

**მეათე:** ვილიამ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 3 გოლი გაიტანა და ფერნანდო ტორესთან ერთად ესპანეთის ნაკრების საუკეთესო მეგოლე შეიქნა. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი 4 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამასთანავე ნახევარფინალში მიღებული ტრავმის გამო გერმანიასთან ფინალი გამოტოვა.

# დიდი სისულელის ავტორი

## რომელიღაც სეზონში 64 გოლი რომ გავიტანე...

**ის და ლუის ჰემილტონი ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ჰემილტონის ბოლიდივით ვერა, მაგრამ ისე სწრაფად კი დარბის, რომ პრემიერლიგელი მცველები ვერ ეწევიან. მისი ძმა „არსენალის" ფანია, თვითონაც ბავშვობაში „მეთოფეებს" ქომაგობდა. მშობლები კი „ტოტენჰემის" გულშემატკივრები არიან. წინა სეზონში 17 საგოლე პასი მიითვლა და მხოლოდ სესკ ფაბრეგასს ჩამორჩა. პრემიერლიგის (2007-08) სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს, რომელშიც მის გარდა 10 კაცი „მანჩესტერიდან", „ჩელსიდან", „ლივერპულიდან" ან „არსენალიდან" იყო. 23 წლის ეშლი იანგი „ასტონ ვილასთვის" რონალდუცაა, დროგბაც, ჯერარდიც და ფაბრეგასიც...**

**სტივენეიჯში** დაბადებული ეშლის მშობლები ამბობენ, რომ ბავშვობაში ფეხს უტყაპუნებდა ყველაფერს, რისი გაგორებაც კი შეიძლებოდა. ქვას და კონსერვის ქილას არ აზარებდა.

ამიტომაც მიიყვანეს ხუთი წლისა კლუბ „სტივენეიჯში" და ბიჭს მეგოლის ნიჭი აღმოაჩნდა. მისი კერპი იან რაიტი გახლდათ და ფორვარდობაზე ოცნებობდა.

„რომელიღაც სეზონში 64 გოლი გავიტანე — იხსენებს იანგი — ერთ-ერთ მატჩში კი რვა. მაშინ ტურნირის მოსაგებად მეტოქის 13:0 დამარცხება გვჭირდებოდა და თამაში 14:0 დამთავრდა".

ეშლი იანგის პირველი პროფესიული კლუბი „უოტფორდი" იყო, სადაც 16 წლის ფეხბურთელში თავიდან ნიჭი ვერ დალანდეს და უთხრეს, ჯანდაბს, კვირაში ორჯერ შემოიარე და გუნდთან ერთად ივარჯიშეო.

სტივენეიჯელს გულგატეხილობა არ დასტყობია. ფუტკარივით შრომობდა იმის დასამტკიცებლად, რომ მისგან ფეხბურთელი დადგებოდა.

დაამტკიცა კიდეც. 18 წლის იანგს კონტრაქტი გაუფორმეს და 2003-ის 13 სექტემბერს „მილუოლთან" მისი დებიუტი შედგა — შეცვლაზე შესვლა და გოლი ერთი იყო.

მაშინ „უოტფორდს" რეი ლიუინგტონი თავკაცობდა, მაგრამ ეშლის წინსვლა ლუინგტონის შემცვლელის, ენდი ბუთროიდის დამსახურებაა.

ახალგაზრდა მწვრთნელმა გუნდი ისე „დაქოქა", რომ ყველა ფეხბურთელმა აშკარად მოუმატა, მათ შორის კი, გამორჩეულად, იანგმა. „ფანტასტიკური ფეხბურთელია!" — ლამის ყოველი მატჩის შემდეგ იმეორებდა ბუთროიდი.

ამიტომაც აღიარეს პირველივე სეზონში კლუბის საუკეთესო ახალგაზრდად. „უოტფორდი" პრემიერლიგაში აღზევდა (2006), მაგრამ ერთ წელიწადში ქვედა ლიგაში დაბრუნდა, ოღონდ ეშლი იანგის გარეშე.

2007-ის საიანვრო ტრანსფერებისას იანგმა თავს უშველა და „ასტონ ვილაში" გადავიდა. ბირმინგემელებმა კლუბისთვის სარეკორდო თანხა — 10 მილიონი გირვაქა გადაიხადეს. მისი ყიდვა „ვესტ ჰემსაც" სურდა, მაგრამ ფეხბურთელმა იუარა, რაკი „ჩაქუჩებიც" „უოტფორდივით" ცხრილის ბოლოში დაბორიალობდნენ.

10 მილიონი გირვანქა 21 წლის ფეხბურთელში?! „ასტონ ვილას" თავკაც მარტინ ონილს მაშინ ეს სიგიჟედ ჩაუთვალეს, თუმც ახლა გამოჩნდა, რომ ირლანდიელმა ამ ტრანსფერით ათიანში გაარტყა.

გაზაფხული იანგმა ახალ კლუბთან შეგუებას მოანდომა, ახალი სეზონიდან კი (2007-08) ონილმა ნახევარდაცვაში დასწია და აი, შედეგიც — 8 გოლი და 17 საგოლე პასი.

ენდი ბუთროიდივით უკვე მარტინ ონილი ალაპარაკდა. „იანგი ფანტასტიკური ფეხბურთელია!" — თითქმის ყოველი ტურის მერე ამბობდა ირლანდიელი.

ამ სეზონში უკვე 5 გოლი და 6 პასი მიითვალა, შარშანდელზე უკეთ თამაშობს და კიდევ ნახევარი ჩემპიონატი წინაა.

მისი დიდი წვლილიც არის იმაში, რომ „ასტონ ვილა" ზედა ხუთეულიდან ფეხს არ იცვლის და ჩემპიონთა ლიგის საგზურს ეპოტინება.

ვილელებს შემოდგომაზე უკვე მადრიდის „რეალმაც" მიუკაკუნა ფეხმარდი ნახევარმცველის თაობაზე და ფასი იკითხა. მარტინ ონილმა ამ ზაფხულს დიდი დავიდარაბით შეინარჩუნა გარეთ ბერი, ვინაც „ლივერპულში" გარბოდა და ირლანდიელს მეორე ბრძოლის გადატანა იანგის გამოც მოუწევს.



კონტრშეტევებზე მოთამაშე „ასტონ ვილასთვის" უსწრაფესი ეშლი იანგი შეუცვლელი კაცია. გარდა ამისა, მას ჯარიმების გატანაც ეხერხება და საჯარიმოში ბურთის კოხტად ჩაბზრიალებაც. კარგად უგებს გაბრიელ აგბონლაჰორს — ვილელთა კიდევ ერთ ამომავალ ვარსკვლავს. ეს დუეტი ამჟამად ახალი „ასტონ ვილას" სიმბოლოდ ითვლება — ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები ინგლისური პასპორტებით.

ეშლი იანგი კლუბისთვის ძვირფასია, მაგრამ ნაკრებში ჯერ მხოლოდ ოთხჯერ ითამაშა და ეს ადარდებს.

შარშან შემოდგომაზე სტივ მაკლარენმა დაურეკა და დაბნეულმა ფეხბურთელმა თურმე ჰკითხა: „მართლა თქვენ ხართ?" ეგონა, რომ აშაყირებდნენ. ეს ფრაზა ეშლის დღესაც დიდ სულელურ ნათქვამად მიაჩნია.

პირველად ნაკრებში ერთი წლის წინ ავსტრიასთან ითამაშა, ბოლო, მეოთხე კი წლეულს 19 ნოემბერს გერმანიასთან.

ფაბიო კაპელომ პირადად გაუგზავნა საქებარი სიტყვებით სავსე წერილი, რომელშიც იანგს ინგლისის იმედს უწოდებს.

ეშლი იანგი გულს არ იტეხს იმის გამო, რომ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩნდება. მას არც მაშინ ჩამოუშვია ცხვირი, როცა „უოტფორდში" ახალმისული დაიწუნეს. მისი უტეხობის საუკეთესო მაგალითი კი „ევერტონთან" ამასწინანდელი მატჩია. „ვილა" 2:1-ს იგებდა და ბოლოსწინა წუთზე გაუშვა. ასეთ დროს გუნდი ქულის შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ იანგს წამები ეყო საიმისოდ, რომ ლესკოტი, პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, გაებითურებინა და მესამე გაეტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

გიო ახვლედიანის



## სვეტი
ლონდონიდან

# შობის დღეების ფეხბურთი

ინგლისში საშობაო თამაშები გახურდა დ ისეთი ამბავია, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში.

გასულ სამ დღეს, თავადაც მიადევნებდით თვალს. ბარათები დროშებთან ერთად ხმაშეწყობილად ფრიალებს.

სასეირი კი ის იყო, რომ მოგებაზე დამშეულმა „მანჩესტერ სიტიმ", რობინიო რომ მინდორზე დაიბრუნა, „ჰალს" პირველ ორმოც წუთში ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა.

„ჰალის" მამაცი გუნდი კი ასეთ რამეს ჩვეული არ არის, მათივე მენეჯერის განმარტებით, ეს პირველადაა, რომ ვეფხვები დაიფანტნენ, როგორც ბანქოს შეკვრა.

მენეჯერმა ფილ ბრაუნმა კი შესვენებაზე დიდკაცური შოუ გამართა, გუნდი გასახდელში არ ჩაიყვანა, იმ ტრიბუნასთან მივიდა, სადაც ჰალელთა ქომაგებს ცხვირპირი ჩამოსტიროდათ, ბოდიშიც მოახსენა და ბიჭები მინდორზევე დასხა საშესვენებო შეგონებების მოსასმენად.

მეორე ტაიმის ბოლო ათ წუთში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს, მინდორზე სხდომა კი ფეხბურთისთვის გაუგონარი ამბავია. ძველებური რაგბი რომ ყოფილიყო, ბევრს ვერავის გაუკვირდებოდა, მაგრამ, აჰა, გააკეთა კაცმა.

ჰო, საქმეები კიდევ გახურდება: ლივერპულში რობი კინის სამიზნის წაზდენაზე რომ ალაპარაკდნენ, შობაც მოვიდა და კინმა ჯერ „ემირატებზე" შეაგდო, პარასკევს კი, კიდევ სამი მიაყოლა „ენფილდზე".

ასეთი ამბებია, თანაც ინგლისში გვარიანდ აცივდა, მაგრამ საშობაო თამაშებისთვის სიცივე რასა ჰქვია — არც არაფერი.

საშობაო თამაშებში ჩემპიონობის ბედი სანახევროზე მეტად წყდება. ყველამ იცის, რომ „მანჩესტერს" საუკეთესო ფინიში ექნება და გაზაფხულიდან ალარაფერს წააგებს, ამიტომ, სანამ დროა, უნდა იჩქარონ. სკოლარი კლუბს ეხვეწება, თავდამსხმელის საყიდელი ფული მომეცითო, „ასტონ ვილა" ჯიუტად მიიწევს მაღლა, ხოლო „ბლექბერნი" გავარდნას ალარ აპირებს. საინტერესოა, ვინ უნდა გავარდეს პრემიერლიგიდან, როცა ამას არავინ აპირებს. ყველა „ვესტ ბრომვიჩისკენ" მიუთითებს, მაგრამ ამის გარდა კიდევ ორი უნდა გაეშუროს ჩემპიონშიფში და ასეთები ჯერჯერობით არ ვამოკვეთილან.

იმ დღეს კიდევ მინი-ფეხბურთს გადავაწყდი. ის, მოგეხსენებათ, ბევრნაირია, ფუტსალიო, ესაო, ისაო. მე რომ გადავაწყდი, იმას მასტერსს ეძახიან, რადგან ვეტერანები თამაშობენ ჰოკეისავით შემორაგულ მოედანზე ხუთი-ხუთზე. ჰოდა, „სელტიკი" და „რეინჯერსი" ეკვეთნენ ერთმანეთს. გამელოტებული გორდონ დიური და ასეთი პერსონაჟები. კაი ძალი ძიძგილაობა იყო, ბებრების პირობაზე. მე კიდევ თბილისის პირველი ჩემპიონატი გამახსენდა, სპორტის სასახლეში რომ ჩატარდა ამ ოცი წლის წინათ. ფინალში ვერა და ვაკე დაეჯახნენ და იმდენი ხალხი სპორტის სასახლეში ორჯერ თუ მინახავს, ერთი ცესკა-ჟალგირისის ტურის თამაშზე და მეორეც „ატლანტა ჰოუქსი" რომ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირთან სათამაშოდ.

კაი მაგარი ფინალი იყო, ვაკემ მოიგო დიდი წვალებით. ვაკეში თამაშობდნენ თემურ ფიჩხაია, აკა ქავთარაძე და ხანდახან შემოდიოდა ზაზა ბოკერია. ვერელებში მახსოვს ბურუცა ცხოვრებაშვილი, ცხონებული ლევან ჯიჯიხია... ყველას რას ჩამოთვლი. მაგარი თამაში იყო, ვერელები ცისფერ დროშებს არხევდნენ ყველგან, ურუგვაისავით ფორმა ეცვათ.

მართლა იფიქრებდი, რომ ეს ფეხბურთი კი მინია, მაგრამ ნამდვილია.

პატარა, მაგრამ ისეთივე ნამდვილი, როგორც აი, ეს შობის დღეების ფეხბურთი.

რატომღაც ეს განწყობა სადღაც წავიდა. არადა, თითქმის მოსული იყო.

# ინგლისი

## პრემიერლიგა. XX ტური

# გილოცავთ პირველობას და ოთხბურთიან სხვაობას!

### 28 დეკემბერი

**ნიუკასლი 1:5 ლივერპული**

0:1 ჯერარდი (31), 0:2 ჰიპია (36), 1:2 ედგარი (45), 1:3 ბაბელი (50), 1:4 ჯერარდი (66), 1:5 ალონსო (76პ)

გაფრთხილება: ტეილორი, გივენი (ნიუკასლი)

**არსენალი 1:0 პორტსმუთი**

1:0 გალასი (82)

გაფრთხილება: ჰიუზი (პორტსმუთი)

**ბოლტონი 0:1 უიგანი**

0:1 ზაქი (44პ)

გაფრთხილება: ნოლანი, სტეინსონი (ბოლტონი), ტეილორი, პალასიოსი, კატერმოლი (უიგანი)

**ევერტონი 3:0 სანდერლენდი**

1:0, 2:0 არტეტა (10, 27), 3:0 გოსინდი (83)

გაფრთხილება: ჯაგიელკა (ევერტონი), მალბრანკი, ბირდსლი, ტაინიო, ვაითჰედი (სანდერლენდი)

**ფულემი 2:2 ჩელსი**

1:0 დემპსი (10), 1:1, 1:2 ლამპარდი (50, 72), 2:2 დემპსი (90)

გაფრთხილება: დროგბა, ბოსინგვა (ჩელსი)

**ვესტ ბრომვიჩი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 ბედნარი (83), 2:0 ბათი (90)

გაფრთხილება: მორისონი, ბრუნტი, ზუივერლოონი (ვესტ ბრომვიჩი), დოუსონი, ჯენარი (ტოტენჰემი)

გაძევება: აკოტო (ტოტენჰემი)

**ვესტ ჰემი 2:1 სტოკი**

0:1 ფაიე (4), 1:1 კ. კოული (51), 2:1 დ. ტრისტანი (88)

გაფრთხილება: კოული, ბოა მორტე, მიკელე (ვესტ ჰემი), ოლოფინჯანა, ჰიგინბოთემი, ფაიე (სტოკი)

გაძევება: ფულერი (სტოკი)

**ბლექბერნი 2:2 სიტი**

1:0 მაკარტი (45), 2:0 რობერტსი (84), 2:1 სტარიჯი (88), 2:2 რობინიო (90)

გაფრთხილება: თუგაი, ნელსენი (ბლექბერნი), ირელანდი (სიტი)

**მანჩესტერი — მიდლსბრო**

დღეს გაიმართება

### 26 დეკემბერი

**სტოკი 0:1 მანჩესტერი**

0:1 ტევესი (83)

გაფრთხილება: ქრესველი, უილკინსონი, ფულერი, უილკინსონი, ველამი (სტოკი), ევანსი, ნევილი (მანჩესტერი)

გაძევება: უილკინსონი (72)

**ჩელსი 2:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 დროგბა (3), 2:0 ლამპარდი (45)

გაფრთხილება: ბალაკი (ჩელსი)

**პორტსმუთი 1:4 ვესტ ჰემი**

1:0 ბელჰაჯი (8), 1:1 კოლისონი (20), 1:2 კოული (67), 1:3, 1:4 ბელამი (70, 83)

დეფომ (პორტსმუთი) ვერ გაიტანა პენალტი (45)

გაფრთხილება: ვილსონი (პორტსმუთი), ნობლი, ბეჰრამი, პარკერი (ვესტ ჰემი)

**ტოტენჰემი 0:0 ფულემი**

გაფრთხილება: კონჩესკი (ფულემი)

**ლივერპული 3:0 ბოლტონი**

1:0 რიერა (26), 2:0, 3:0 კინი (53, 58)

გაფრთხილება: აგერი (ლივერპული), ნოლანი, სტეიმსონი, მაკკანი (ბოლტონი)

**სიტი 5:1 ჰალი**

1:0, 2:0 კაისედო (15, 27), 3:0, 4:0 რობინიო (28, 36), 4:1 ფაგანი (80), 5:1 აირლენდი (82)

გაფრთხილება: ჯოვანი, ფაგანი, ზაიატე, მენდი (ჰალი)

**მიდლსბრო 0:1 ევერტონი**

0:1 კეჰილი (51)

გაფრთხილება: არკა, რიგოტი, ჯონსონი, ტეილორი, მაკმაჰონი (მიდლსბრო), ფლაინი (ევერტონი)

**სანდერლენდი 0:0 ბლექბერნი**

გაფრთხილება: ოიერი, მაკარტი, ვოგანი (ბლექბერნი)

**უიგანი 2:1 ნიუკასლი**

1:0 ტეილორი (29), 2:0 ზაქი (73პ), 2:1 გატრი (88პ)

გაფრთხილება: კატერმოული, პალასიოსი (უიგანი), ბათი, დაფი, ქეროლი (ნიუკასლი)

გაძევება: ბასონგი (ნიუკასლი 72)

**ასტონ ვილა 2:2 არსენალი**

0:1 დემილსონი (40), 0:2 დიაბი (49), 1:2 ბარი (65პ), 2:2 ნაითი (90)

გაფრთხილება: აგბონლაჰორი, რეოკოკერი, პეტროვი, ბარი (ასტონ ვილა), სონგი, ტურე, დიაბი, ვან პერსი (არსენალი)

**ნეტავ** როდის იყო ბოლოს „ლივერპული" საახალწლოდ ცხრილის თავში? ან „მანჩესტერი" ზეობდა, ან „არსენალი" ანაც „ჩელსი". რაფაელ ბენიტესისგან „ლივერპულის" ფანებმა ჩემპიონთა თასი მიიღეს, მაგრამ ჩემპიონობა უკვე 18 წელია, ენატრებათ და სწორედ ამისკენ მიაბიჯებენ.

ამ სეზონში ბენიტესის გუნდს ერთ მატჩში სამზე მეტი არ გაეტანა და გუშინ ნიუკასლში გაილაღა.

სტივენ ჯერარდმა ძელგოლი შეაგდო, რასაც მალე ჰიიპიამ ლონიერი თავურით მეორე მიაყოლა. ტაიმის მიწურულს მასპინძელმა ედგარმა სხვაობა შეამცირა.

მეორე ნახევარში კი „ნიუკასლის" მწვრთნელმა შემტევ შოლა ამეობის ბრძოლაში თავი უკრა, ოღონდ აქეთ მიიღო გოლი. რაიან ბაბელმა წამოწოლილი მცველის და მეკარის თვალწინ ლამის კარის ხაზიდან გაიტანა.

„ჯორდებმა" კი გაიწიეს დიდის ამბით სტუმართა კარისკენ, მაგრამ ჯერარდი გაძვრა შეი გივენთან პირისპირ და კოხტად გადაუგდო ბურთი თავზე.

ამას მოჰყვა ალონსოს პენალტი და „ლივერპულმა" წელი ოთხბურთიანი სხვაობით გააცილა.

კარგად ვერაა საქმე ლუიშ ფელიპე სკოლარის „ჩელსიში". ბოლო ექვს ტურში გუნდმა ორ მატჩზე მეტი ვერ მოიგო და ბრაზილიელსაც გუშინ ულვაშებზე სიბრაზე დაეტყო. „ფულემთან" დერბიში, წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ, ფრენკ ლამპარდის დუბლით სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ ბოლოს იმან გაიტანა, ვინც ანგარიში გახსნა — კლინტ დემპსიმ და, „ჩელსი" „ლივერპულს" უკვე სამი ქულით ჩამორჩება.

ლონდონში ჩავიდა ყოფილი ლოთი, შფოთი და „მეთოფე" ტონი ადამსი „პორტსმუთით", მაგრამ ყოფილ მწვრთნელ არსენ ვენგერთან დამარცხდა. პორტელები გვარიანად კი გაუძალიანდნენ „არსენალს", მაგრამ უილიამ გალასმა ბოლოსკენ გაიტანა და სამი ქულა მასპინძლებს დარჩათ.

ჯანფრანკო ძოლას „ვესტ ჰემი" 23 ნოემბრის მერე ველარ იგებდა, ამ სამ დღეში კი ორივე თამაში მოიგო. პარასკევს „პორტსმუთს" აჯობა, გუშინ კი „სტოკს", რომელთანაც მეოთხე წუთიდან აგებდა, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში კარლტონ კოულმა გაათანაბრა.

მერე სტოკელებს კაცი გაუძევეს და კაცმეტმა მასპინძლებმა ბოლოს ჩააჩაქუჩეს — დიეგო ტრისტანმა შეაგდო პირველი ვესტჰემური გოლი.

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 20 | 13 | 6 | 1 | 35:13 | 45 |
| ჩელსი | 20 | 12 | 6 | 2 | 40:9 | 42 |
| მანჩესტერი | 17 | 10 | 5 | 2 | 28:10 | 35 |
| არსენალი | 20 | 10 | 5 | 5 | 33:23 | 35 |
| ასტონ ვილა | 19 | 10 | 5 | 4 | 32:22 | 35 |
| ევერტონი | 20 | 9 | 5 | 6 | 27:25 | 32 |
| უიგანი | 19 | 8 | 4 | 7 | 24:21 | 28 |
| ჰალი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:36 | 27 |
| ფულემი | 19 | 6 | 8 | 5 | 18:14 | 26 |
| ვესტ ჰემი | 20 | 7 | 4 | 9 | 24:28 | 25 |
| ბოლტონი | 20 | 7 | 2 | 11 | 22:28 | 23 |
| პორტსმუთი | 20 | 6 | 5 | 9 | 21:33 | 23 |
| სიტი | 20 | 6 | 4 | 10 | 38:30 | 22 |
| ნიუკასლი | 20 | 5 | 7 | 8 | 26:32 | 22 |
| სანდერლენდი | 20 | 6 | 4 | 10 | 21:29 | 22 |
| ტოტენჰემი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:25 | 20 |
| მიდლსბრო | 19 | 5 | 5 | 9 | 17:28 | 20 |
| სტოკი | 20 | 5 | 5 | 10 | 18:33 | 20 |
| ბლექბერნი | 20 | 4 | 6 | 10 | 22:36 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 5 | 3 | 12 | 16:35 | 18 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანელკა (ჩელსი) | 14 |
| რობინიო (სიტი) | 11 |
| ზაქი (უიგანი) | 10 |
| აგბონლაჰორი (ასტონ ვილა) | 9 |

## ჩემპიონატი. XXVI ტური

### 28 დეკემბერი

ბირმინგემი — სუონსი 0:0; ბრისტოლი — კრ. პალასი 1:0; დონკასტერი — ბარნლი 2:1; ნორვიჩი — ნოტინგემი 2:3; ბარნსლი — პრესტონი 1:1; კარდიფი — პლიმუთი 1:0; ქოვენტრი — უენსდი 2:0; დერბი — იფსვიჩი 0:1; ქუინზ პარკი — უოტფორდი 0:0; შეფილდი — ჩარლტონი 3:1; საუთჰემპტონი — რედინგი 1:1; ბლექპული — ვულვზი დღეს გაიმართება

### 26 დეკემბერი

უოტფორდი — ბრისტოლი 2:4; ჩარლტონი — ქუინზ პარკი 2:2; კრ. პალასი — ნორვიჩი 3:1; ბარნლი — ბარნსლი 1:2; იფსვიჩი — ბირმინგემი 0:1; ნოტინგემი — დონკასტერი 2:4; პლიმუთი — საუთჰემპტონი 2:0; პრესტონი — დერბი 2:0; რედინგი — კარდიფი 1:1; უენსდი — ბლექპული 1:1; სუონსი — ქოვენტრი 0:0; ვულვზი — შეფილდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 25 | 18 | 3 | 4 | 52:28 | 57 |
| რედინგი | 26 | 15 | 6 | 5 | 53:24 | 51 |
| ბირმინგემი | 26 | 15 | 6 | 5 | 34:23 | 51 |
| კარდიფი | 26 | 11 | 11 | 4 | 36:25 | 44 |
| ბარნლი | 26 | 12 | 7 | 7 | 40:35 | 43 |
| შეფილდი | 26 | 11 | 8 | 7 | 37:25 | 41 |
| პრესტონი | 26 | 12 | 5 | 9 | 36:32 | 41 |
| ქუინზ პარკი | 26 | 10 | 8 | 8 | 25:26 | 38 |
| კრ. პალასი | 25 | 10 | 7 | 8 | 35:28 | 37 |
| იფსვიჩი | 26 | 9 | 8 | 9 | 35:28 | 35 |
| სუონსი | 26 | 7 | 14 | 5 | 33:30 | 35 |
| ბრისტოლი | 26 | 8 | 10 | 8 | 30:32 | 34 |
| უენსდი | 26 | 9 | 7 | 10 | 25:37 | 34 |
| ქოვენთრი | 26 | 8 | 9 | 9 | 29:31 | 33 |
| პლიმუთი | 26 | 9 | 6 | 11 | 27:29 | 33 |
| ბარნსლი | 26 | 9 | 5 | 12 | 28:32 | 32 |
| ბლექპული | 25 | 7 | 9 | 9 | 24:31 | 30 |
| დერბი | 26 | 7 | 8 | 11 | 28:37 | 29 |
| უოტფორდი | 26 | 7 | 6 | 13 | 38:44 | 27 |
| ნორვიჩი | 26 | 7 | 5 | 14 | 32:42 | 26 |
| ნოტინგემი | 26 | 5 | 9 | 12 | 26:38 | 24 |
| დონკასტერი | 26 | 6 | 6 | 14 | 17:31 | 24 |
| საუთჰემპტონი | 25 | 5 | 8 | 12 | 22:37 | 23 |
| ჩარლტონი | 26 | 4 | 7 | 15 | 28:45 | 19 |

# იტალიური მენიუ
## ვინ რა შეუკვეთა სანტა კლაუსს

**უდინეზე:** დროის მანქანა არ გაქვს? ორი თვის წინ იტალიაში თუ ევროპაში ჩვენი მძლეველი არ ჩანდა, ახლა კი ფრეც გვიხარია. სადღაც რაღაც დავკარგეთ და უკან თუ დაგვაბრუნებ, ვიპოვით.

**ინტერი:** თუ შეგიძლია, ბევრი გოლის გამტანი ფორვარდი მოგვიყვანე. ზლატან იბრაჰიმოვიჩი ფანტასტიკურია, მაგრამ ის ერთია და ჩვენ მეორეც გვინდა, ამ სეზონში რაიმე დიდი ჯილდო რომ მოვიგოთ.

**იუვენტუსი:** ეგებ ჩვენი ლაზარეთი როგორმე დააცარიელო. იმდენი ტრავმირებული გვყავს, რომ ძირითადი შემადგენლობისთვის ფეხბურთელებს ძლივს ვაგროვებთ და სათადარიგოებიც აღარ გვრჩება.

**მილანი:** ჩვენი გუნდის საშუალო ასაკის შემცირებას ვერ მოახერხებ? მეტოქე ფეხბურთელები პაოლო მალდინის უკვე პაპას ეძახიან. და კიდევ: კლარენს ზეედორფი ან ანდრეა პირლო მაინც იყვნენ ჯანზე, როცა ჯენარო გატუზო დაშავებულია, რადგან უგატუზოოდ გუნდი გვემლება.

**ფიორენტინა:** იქნებ როგორმე საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნო. კარგი გუნდი გვყავს, იტალიის ნაკრების წევრებიც არიან, ჯადოქარი ადრიან მუტუც ჩვენთანაა და ხელმეორედ დაბადებული ალბერტო ჯილარდინოც, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში რომ ვერ გავედით, თავდაჯერებულობის ნაკლებობის ბრალია.

**რომა:** თუ შეგიძლია, ისე გააკეთო, რომ ფრანჩესკო ტოტიზე არ ვიყოთ მიბმულები. მის გარეშე ვიშლებით და ნებისმიერი გუნდი გვჩაგრავს.



**პალერმო:** ცოტა კეთილგონიერება მოგვანიჭე. შეგვიძლია მოვუგოთ „იუვენტუსს" და „მილანს", მაგრამ „კალიარისთან" წავაგოთ. და ჩვენს პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინისაც ეგებ რამე უწამლო, თორემ ეტნასავით ამოხეთქავს ხოლმე და ყველაფერს ურევს.

# მარიო მარტინესმა ხელფასი მოიგო

„**ნუმანსიას**" ნახევარმცველმა მარიო მარტინესმა საშობაო ლატარეაში 150 ათასი ევრო მოიგო. გახარებულმა ფეხბურთელმა, რომლის წლიური შემოსავალი 200 ათასია, თქვა: „ლატარეას მხოლოდ შობის დღესასწაულზე ვთამაშობ, სხვა დროს კი ახლოსაც არ ვეკარები. ჯერჯერობით არ ვიცი, როგორ დავხარჯავ ამ ფულს".

მარტინესმა პირველ ტურში „ბარსას" გაუტანა და ის მატჩი „ნუმანსიამ" 1:0 მოიგო. მას აქეთ „ბარსელონა" აღარ დამარცხებულა.



# ესროლე ტონის!

„**ბაიერნის**" შეფ-ფეხბურთელებმა შობა ღამე ორიგინალურად, მიუნხენის ცირკ კრონეში გაატარეს.

ერთი და იგივე მოგვწყინდა, ამიტომაც რაღაც ახალი მოვიფიქრეთ — თქვა კლუბის მენეჯერმა ული ჰიონესმა.

ახალი კი ის იყო, რომ 11 მილონ ევროდ ნაყიდი ლუკა ტონი დაფასთან დააყენეს, მუხლებს შუა რეზინის ბუშტი დააკავებინეს და ... ჯამბაზი პატრიკი ბრუმბახი ბუშტს დანებს ესროდა.

ექსტრემალური გართობის მოთავე იურგენ კლინსმანი იყო, რომელმაც შოუს მერე აღიარა, ტონის გამო ცოტა კი ვნერვიულობდიო.

პატრიკ ბრუმბახი „ბაიერნის" ქომაგი აღმოჩნდა და იტალიელი ფორვარდი არ დაუჭრია.

# ამას დახვრეტა, იმას ჩამოხრჩობა!

„**დასაჯეთ!**" — ასეთი სათაური იყო ესპანური „მარკას" შაბათის პირველ გვერდზე.

„რეალის" სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს იალლიში მოუვიდა და კლუბის ფანები მის გადადგომას ითხოვენ.

„რეალმა" კლაას იან ჰუნტელაარი და ლასანა დიარა იმ იმედით იყიდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ათამაშებდა, მაგრამ მიატოვიჩი ბჭობდა, უეფას წესი იცინოდა.

წესში წერია, რომ მერვედფინალამდე კლუბებს სამ-სამი ფეხბურთელის დამატების და განაცხადში შეყვანის უფლება აქვთ, ოღონდ იქვე, მეორე პუნქტში სხვა რამეცაა მითითებული.

ეს სხვა რამე კი მიატოვიჩმა ალბათ კარგად ვერ წაიკითხა. დამატებული ფეხბურთელებიდან თუ სამივე მანამდე რომელიმე ევროთასზე თამაშობდა, მაშინ კლუბმა ერთ-ერთი უნდა აირჩიოს და ის შეიყვანოს სამერვედფინალო განაცხადში. სამივეს ვერ ათამაშებს.

ჰუნტელაარიც და დიარაც „აიაქსში" და „პორტსმუთში" უეფას თასზე გამოდიოდნენ, ამიტომ „რეალს" არჩევანის გაკეთება მოუწევს.

მიატოვიჩმა ადვოკატები დაიქირავა, ავადსახსენებლ წესში სათავისო პუნქტი რომ იპოვოს. კლუბმა ოფიციალურად გააგზავნა განცხადება უეფაში, რომელიც 5 იანვრამდე საახალწლოდ ისვენებს.

## ინგლისი

### I ლიგა

**26 დეკემბერი**

პიტერბრო — მილუოლი 1:0; ბრისტოლი — მილტონი 1:2; ბრაიტონი — კოლჩესტერი 1:2; კარლაილი — ჰადერსფილდი 3:0; ქრიუ — ოლდემი 0:3; ჰერეფორდი — ტრანმერი 2:2; ლიდსი — ლესტერი 1:1; ლეიტონი — სუინდონი 1:2; სკანთორპი — ჰარტლპული 3:0; საუთენდი — ნორტჰემპტონი 1:0; უოლსოლი — სტოკპორტი 1:0; იოვილი — ჩელტენემი 1:1

**28 დეკემბერი**

ჩელტენემი — პიტერბრო 3:6; კოლჩესტერი — ლეიტონი 1:0; ჰარტლპული — ქრიუ 1:4; ჰადერსფილდი — სკანთორპი 2:0; ლესტერი — ჰერეფორდი 2:1; მილუოლი — იოვილი 1:1; მილტონი — საუთენდი 2:0; ნორთჰემპტონი — ბრისტოლი 0:0; სუინდონი — ბრაიტონი 0:2; ტრანმერი — უოლსოლი 2:1; ოლდემი — კარლაილი 0:0; სტოკპორტი — ლიდსი 1:3

### II ლიგა

**26 დეკემბერი**

ბარნეტი — ალდერშოტი 0:3; ბრენტფორდი — ბორნმუთი 2:0; ბარი — დარლინტონი 2:2; ჩესტერი — აკრინგტონი 2:0; ჩესტერფილდი — ლუთონი 2:2; დაგენემი — ჯილინგემი 2:0; გრიმსბი — ნოთსი 0:1; ლინკოლნი — ბრედფორდი 0:0; მორეკომბი — მაკლსფილდი 4:1; როჩდეილი — შრიუსბერი 2:1; როტერჰემი — პორტ ვეილი 1:0; უიკომბი — ექსეტერი 1:1

**28 დეკემბერი**

აკრინგტონი — გრიმსბი 3:1; ალდერშოტი — დაგენემი 1:2; ბორნმუთი — ბარნეტი 0:2; ბრედფორდი — მორეკმობი 4:0; დარლინგტონი — ჩესტერფილდი 0:0; ექსეტერი — ბრენტფორდი 0:2; ჯილინგემი — უიკომბი 1:1; ლუთონი — ლინკოლნი 3:2; მაკლსფილდი — ჩესტერი 3:1; ნოთსი — როტერჰემი 0:3; პორტ ვეილი — როჩდეილი 2:1; შრიუსბერი —ბარი 1:0

### კონფერენსლიგა

ნორთვიჩი — ალტრინჩემი 0:1; კემბრიჯი — ჰისტონი 2:2; ბაროუ — რექსემი 1:1; ბარტონი — იორკი 2:1; ისტბორნი — ლიუისი 1:0; ებსფლითი — გრეისი 0:1; კეტერინგი — მანსფილდი 1:3; კიდერმინსტერი — ფორესტ გრინი 1:1; სალისბერი — ოქსფორდი 2:1; სტივენეიჯი — რაშდენი 3:1; ვეიმუთი — ტორკი 0:1; უოკინგი — ქრიული 0:0

**28 დეკემბერი**

კემბრიჯი — სტივენეიჯი 1:1; ქრიული — ისტბორნი 1:0; ფორესტ გრინი — ბაროუ 2:1; გრეისი — ჰისტონი 1:4; ოქსფორდი — ებსფლითი 5:1; ტორკი — კიდერმინსტერი 0:1; რექსემი — უოკინგი 1:1; იორკი — ალტრინჩემა 1:2. ლიუისი — კეტერინგი და ნორთვიჩი — სალისბერი გადაიდო

### სამხრეთ კონფერენსლიგა

ბასინგსტოკი — ისტლი 1:0; ბრომლი — ველინგი 1:3; ფიშერი — უიმბლდონი 0:3; ბათი — დორჩესტერი 2:0; ბოგნორი — ჰავანთი 1:5; ბრეინთრი — სტორტფორდი 2:0; ჰეიესი — მეიდენჰედი 2:0; ნიუპორტი — ვორქსტერი 1:0; სტ ალბანსი — ჰემპტონი 2:2; ვესტონი — ტიმ ბათი 0:1

### ჩრდ. კონფერენსლიგა

ალფრეტონი — ჰაკნალი 5:0; ბლითი — გეითსჰედი 0:1; ბარსკო — საუთპორტი 2:3; დროილსდენი — ვაქსჰოლი 1:2; ფლიტვუდი — ვორკინგტონი 1:0; გეინსბრო — კინგს ლინი 2:0; ჰაროგეითი — ფარსლი 1:0; ჰინკლი — ტამვორთი 1:3; ჰაიდი — სტალიბრიჯი 0:2; რედიჩი — სოლიჰალი 0:0; სტეფორდი — ტელფორდი 1:3

## ჩრდ. ირლანდია

### პრემიერლიგა

ბალიმენა — კოლერეინი 2:0; კლიფტონვილი — კრუზეიდერსი 1:1; დანგანონი — ინსტიტუტი 1:1; ლინფილდი — გლენტორანი 3:0; ლისბურნი — ბარგორი 1:0; ნიური — გლენავონი 0:2

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XVII ტური

ფეიენოორდი — ბრედა 3:1; პსვ — ტვენტე 0:0; ჰერაკლესი — გრააფსხაპი 0:0; ტილბურგი — სპარტა 3:2; ვიტესი — ვოლენდამი 3:1; აიაქსი — დენ ჰააგი 3:0; ალკმაარი — ნაიმეგენი 1:0; უტრეხტი — როდა 3:1; გრონინგენი — ჰერენვენი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 17 | 12 | 3 | 2 | 31:11 | 39 |
| აიაქსი | 17 | 12 | 2 | 3 | 41:17 | 38 |
| ტვენტე | 17 | 10 | 4 | 3 | 33:16 | 34 |
| პსვ | 17 | 9 | 3 | 5 | 30:17 | 30 |
| ბრედა | 17 | 9 | 2 | 6 | 26:25 | 29 |
| ჰერენვენი | 17 | 8 | 5 | 4 | 36:37 | 29 |
| გრონინგენი | 17 | 8 | 2 | 7 | 36:24 | 26 |
| ნაიმეგენი | 17 | 7 | 5 | 5 | 25:18 | 26 |
| უტრეხტი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:21 | 25 |
| ტილბურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 24:26 | 24 |
| ჰერაკლესი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:26 | 20 |
| ფეიენოორდი | 17 | 5 | 4 | 8 | 30:26 | 19 |
| სპარტა | 17 | 5 | 4 | 8 | 30:35 | 19 |
| დენ ჰააგი | 17 | 4 | 3 | 10 | 19:26 | 15 |
| ვიტესი | 17 | 3 | 6 | 8 | 15:30 | 15 |
| როდა | 17 | 3 | 5 | 9 | 21:34 | 14 |
| გრააფსხაპი | 17 | 3 | 4 | 10 | 12:34 | 13 |
| ვოლენდამი | 17 | 3 | 2 | 12 | 19:45 | 11 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XX ტური

რეინჯერსი — სელტიკი 0:1; აბერდინი — ჰართსი 1:0; დანდი იუნ. — ფოლკირკი 1:0; ჰიბერნიანი — კილმარნოკი 2:4; მოზერუელი — ინვერნესი 3:2; სენტ მირენი — ჰამილტონი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 20 | 16 | 2 | 2 | 45:18 | 50 |
| რეინჯერსი | 20 | 13 | 4 | 3 | 45:17 | 43 |
| დანდი იუნ. | 20 | 9 | 7 | 4 | 28:20 | 34 |
| ჰართსი | 19 | 9 | 4 | 6 | 20:21 | 31 |
| აბერდინი | 19 | 9 | 3 | 7 | 23:19 | 30 |
| ჰიბერნიანი | 20 | 7 | 5 | 8 | 26:28 | 26 |
| კილმარნოკი | 19 | 8 | 1 | 10 | 20:25 | 25 |
| სენტ მირენი | 20 | 7 | 3 | 10 | 16:22 | 24 |
| მოზერუელი | 19 | 6 | 2 | 11 | 20:31 | 20 |
| ფოლკირკი | 20 | 4 | 5 | 11 | 21:30 | 17 |
| ინვერნესი | 20 | 5 | 2 | 13 | 20:34 | 17 |
| ჰამილტონი | 20 | 5 | 2 | 13 | 17:36 | 17 |

### I დივიზიონი

ერდრი — მორტონი 1:0; პარტიკი — როსი 0:2; ქუინი — დანდი 0:1; სტ ჯონსტონი — კლაიდი 1:0. დანფერმლაინი — ლივინგსტონი გადაიდო

### II დივიზიონი

ალოა — სტრანრარი 2:2; არბროა — სტირლინგი 1:2; ისტ ფაიფი — ბრეჩინი 2:1; პიტერჰედი — რაითი 2:1. ეირი — ქუინზ პარკი გადაიდო

### III დივიზიონი

ბერვიკი — მონტროუზი 3:2; სტენჰაუზმური — ანანი 0:0; ქოუდენბითი — ფორფარი, დამბარტონი — ელგინი და ალბიონი — ისტ სტირლინგი გადაიდო

### ასოციაციის თასი

ეირი — ლოჩი 3:1

## არგენტინა

### საჩვენებო მატჩი

ბოკა ხუნიორსი — ტიგრე 0:1

## ბელგია

### II ლიგა

ბევერენი — ბრიუსელი 2:1; დაინცე — ლიეჟი 1:2; ეუპენი — ანტვერპენი 0:0; ლიერსი — ჰამე 1:0; რონსე — შარლერუა 3:2; სტ ტრუიდენი — ლეუვენი 1:0; ტურნაი — ოსტენდე 1:1; ვირტონი — ვაასლანდი 1:2; ტიენენი — ნამური 7:1

## კვიპროსი

### I დივიზიონი

აპოლონი — პაფოსი 4:1; აპოელ — ეთნიკოსი 3:0; აპეპ — აეკ 1:0; პარალიმნი — კინირასი 1:2; ათრომიტოსი — ლიმასოლი 0:3; ანორთოსისი — დოქსა 2:0; ალკი — ომონია დღეს გაიმართება

## უელსი

### პრემიერლიგა

ლანელი — კარმარტენი 5:2; კარნარფონი — ბანგორი 0:2; ნითი — პორტ თალბოტი 2:3; ნიუთაუნი — ქეარესი 0:0; ნიუ საინტსი — უელშპოლი 3:1; ჰავერფორდვესტი — აბერისვაითი 5:1; დრუიდსი — ეირბუსი 0:2; პორტმადოგი — კონაჰი 6:5; რილი — პრესტატინი 7:2

## სპორტი და ისტორია



კიდევ დიდი დრო გავა განთქმული კომბინატორის, ოსტაპ ბენდერის ოცნების ახდენამდე — პირველ საპლანეტთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ჩატარებამდე. თუმცა პირველი არადედამიწური თამაში მთელი 37 წლის წინ გაიმართა. 1971 წლის 6 თებერვალს მთავარეზე დაჯდა ამერიკული საფრენი აპარატი „აპოლო 14“, რომლის ეკიპაჟის წევრმა ალან შეპარდმა მთვარეზე გოლფი წაითამაშა.

## ანეკდოტები

სამტრედიის „ლოკომოტივი“ მეორე წრეში ქულებს აღარ კარგავს. მიზეზი: მთავარ მწვრთნელად რევიზორი დაუნიშნეს, რომელიც თითოეულ ქულას საგულდაგულოდ აღრიცხავს.

მატჩის წინ დალეული რვა კათხა ლუდის მიუხედავად, ჩვენი გუნდის მეკარემ კარი მშრალად შეინახა.

ბანალური სიტუაცია: ქმარი სახლში ბრუნდება, ცოლს კი საყვარელი ჰყავს, რომელიც ტელევიზორის უკან იმალება.

ქმარი სავარძელში ჯდება და ფეხბურთს უყურებს. ცოლი სამზარეულოში ტრიალებს და უცებ ქმრის ღრიალი ესმის:

— წარმოგიდგენია?! ამ წამს ბლოხინი გააძევეს და უცებ ჩვენს ოთახში არ აღმოჩნდა ტრუსით და მაისურით?!

ავადმყოფი ექიმთან:

— ექიმო, კოშმარები მტანჯავს, მესიზმრება, თითქოს ვირთხები ფეხბურთს თამაშობენ.

— აი, წამალი, დალევთ და დამშვიდდებით.

— შეიძლება, ზეგ დავლიო? ხვალ ვირთხებს ფინალი აქვთ და...

ტრიბუნაზე გულშემატკივარი შეუჩერებლად აგინებს მსაჯს. მეზობელი აწყნარებს:

— რას ერჩი, ნორმალურად მსაჯობს.

— შენ ვინ გეკითხება, შენ ცოლთან ხო არ დადის?!

ქმარი ტელევიზორთან ჯდება და ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, თუ რამე გინდა, ახლავე მითხარი, თორემ საფეხბურთო სეზონი იწყება და მაისამდე აღარ მეცლება.

## სახალისო ფოტო





## GUINNESS WORLD RECORDS




წელს, 11-12 ივლისს გერმანულ მოლინში, იქაურ საჩოგბურთო კლუბში საქველმოქმედო მატჩი ჩატარდა. ალბრეხტ ბარშელმა და ჰეფ დინმა 39 სეტი გაითამაშეს, რასაც 30 საათი, 30 წუთი და 30 წამი მოანდომეს. დინმა 21:18 მოიგო, ხოლო მატჩის შემოსავალი 5 ათასი ევრო ტუბერკულოზით დაავადებულთა დასახმარებლად გადაირიცხა.

ეს უხანგრძლივესი საჩოგბურთო მატჩიც გამოდგა და გინესის რეკორდთა წიგნშიც მოხვდა.

## რას არ გაიგებ კომენტატორისგან

აი, პასიიი... ალბათ, რომელიმე ნათესავს მიაწოდა ტრიბუნაზე.

„სპარტაკმა“ იმდენივე გაიტანა, რამდენიც „ინტერმა“ — არცერთი.

წვერიანია, მაგრამ ძალიან ძლიერი ფეხბურთელია.

მსაჯი დაიბნა და ყოველი შემთხვევისთვის ჯარიმა დანიშნა.

მოსკოვის არმიელები წითელსახელოიანი ლურჯი ტრუსებით თამაშობენ.

ეს ის ფეხბურთელია, რომელზეც გეუბნებოდით, რომ მასზე არაფერი ვიცი.

სათადარიგოთა სკამი ფეხზე წამოხტა.

## სარბიელის კვირის რეიტინგი

1. ირაკლი ცირეკიძე (წლის საუკეთესო სპორტსმენი სპორტულ ჟურნალისტთა და ოლიმპიური კომიტეტის გამოკითხვებით); 2. რევაზ მინდორაშვილი (მეორე ადგილი სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვაში), 3. მანუჩარ კვირკველია (მეორე ადგილი ოლიმპიური კომიტეტის გამოკითხვაში); 4. მამუკა გორგოძე (წლის საუკეთესო ქართველი მორაგბე); 5. გია ნაცვლიშვილი (ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სპორტის დასახმარებლად სპონსორებისგან მილიონი დოლარი მიიღო); 6. მაია ჩიბურდანიძე (მოჭადრაკეთა ნაკრების ლიდერი, რომელიც სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის გუნდად დაასახელეს); 7. ვიტო კოლელიშვილი (საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბე); 8. გიორგი გოგშელიძე (მეოთხე ადგილი სპორტულ ჟურნალისტთა და ოლიმპიური კომიტეტის გამოკითხვებში); 9. ვახტანგ კვარაცხელია („ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელმა ტურის მთავარ მატჩში ზესტაფონში ორი გოლი გაიტანა); 10. დავით ილარიანი (წლის საუკეთესო მძლეოსანი მძლეოსნობის ფედერაციის ვერსიით)




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი ლარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, მაია ჯიჯავა
უცხოური ფეხბურთი: გიო ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
სპორტი: ლექსო მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: მაგდა დოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge